გიორგი მაიაშვილი

წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ

1

თქვენ შენიშნავდით, რასაკვირველია, იმ მნიშვნელობით სავსე მოვლენას, რომ ყოველ განათლებულ ხალხის ლიტერატურა ბეჯითად იღწვის ამ უკანასკნელს დროს ეკონომიურ წყობილების და ვითარების გამოკვლევისა და გამორკვევისათვის. აგრეთვე, თუ აკვირდებოდით ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურს ცხოვრებას, შენიშნავდით, რომ პარტიებს შორის ბრძოლა განცხოველდა და გაცხარდა იმიტომ, რომ ეს ბრძოლა თითქმის სრულიად გამოწვეულია ამ პარტიების აზრების სხვადასხვაობით ეკონომიურს საგნებზე. მე არ ავხირდები და არ ვიტყვი, რომ მრავალი სხვადასხვა გვარი აზრი და საქმე არ გამხდარა საგნად გაცხარებულის ბაასისა პარტიებს შორის, მაგრამ მთავარს ძარღვს ამ ბაასისას ყველგან მაინც ეკონომიური საგნები შეადგენდა, ის ეკონომიური საგნები, რომელსაც აქამომდე ასე უყურადღებოდ სტოვებდენ.

მართლაც, შეხედეთ რა ხდებოდა ამ მოკლე დროში და რა ხდება დღესაც სამს დიად განათლებულს ევროპის ქვეყნებში, რომელნიც მეთაურებად ითვლებიან ევროპიულის საზოგადოებრივის მოძრაობისა და აზრისა, ე. ი. ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში.

ინგლისში უმთავრეს საგნად, მთავარს საზოგადოებრივ მოვლენად ითვლება დიაღ ცნობილი ირლანდიის საქმე. ეს საქმე გამხდარა ყოველდღიურ მასალად ჟურნალ-გაზეთობისა, მასზედ არის მიქცეული ყურადღება მთავრობისა, მისი ზრუნვა და ზომიერებანი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, უთუოდ ამ საქმის ისტორია; მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ეს მწვავე საგანი გახდა მიზეზი ბიკონსფილდის კონსერვატიკული სამინისტროს დაცემისა, რომლის მაგიერ შესდგა ლიბერალური სამინისტრო გლადსტონის თავმჯდომარეობით. ამისათვის საჭიროდ აღარ ვსთვლი მოგითხრათ კერძოობითნი დაწვლილებანი ამ საგნის შესახებ, თუმცა მათაც ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ინტერესი აქვთ. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ მომეტებულად მას, რაც ამ საგანს სარჩულად დასდებია, რაც შეადგენს მის საფუძველს, მის სულსა და გულს. რისთვის და რა საწადელისთვის სწარმოებს დღეს გაცხარებული ბრძოლა ირლანდიაში? როგორია ხასიათი და მიმართულება ირლანდიელთ მოძრაობისა. პოლიტიკური მოძრაობაა ეს მოძრაობა, თუ რომელიმე სხვა გვარი?

ირლანდია ინგლისის ბატონობასა და დამოკიდებულებაშია; მას არა აქვს თავისი დამოუკიდებელი პარლამენტი; იგი შევიწროებულია და მოკლებული ბევრს გვარს თავის ეროვნულს უფლებას და სრულიად დამოკიდებულია თავის ბედნიერი ბატონების და გამარჯვებულ ინგლისელების ნება-ყოფლობაზე. ადვილად წარმოსადგენია, იფიქროს კაცმა, რომ ამ გვარს მდგომარეობაში, ირლანდიის მოძრაობის მიზეზი პოლიტიკური ხასიათისა უნდა იყვეს უსათუოდ. მართლაც რომელი სურვილი და წადილია უფრო კანონიერი, უფრო ბუნებრივი ისე, როგორც სურვილი ხალხისა, რომ იგი იყვეს თავისუფალი, დამოუკიდებელი უცხო მფლობელობისა და ბატონობისაგან, რომ მას ჰმართავდეს და განაგებდეს

საკუთარი მართებლობა, ჰქონდეს საკუთარი ცხოვრება თავის საკუთარის მოთხოვნილებისამებრ და არა მოწერილობისამებრ უცხო ხალხის მმართებლობისა და ხელმწიფებისა! თუმც ეს ასეა, მაგრამ მაინცა და მაინც არა სურვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა შეადგენს მთავარს სალტოლველოს ირლანდიელთ მოძრაობისას, არამედ ხალხის ეკონომიურ ურთიერთობის გადაკეთება და აწინდელის მის წყობილების შეცვლა შეადგენს მთავარს ძარღვს ირლანდიელთ მოძრაობის პროგრამისას. შეცვლა სამიწა-წყლო ურთიერთობისა, გადაცემა მიწა-წყლისა ლენდ-ლორდების მიერ მიწად მომქმედთ ხელში, _ აი საწადელი და სალტოლველო ირლანდიის ხალხისა. მე სრულიად არ უარ-ვყოფ, რომ ირლანდიელთ ეროვნულის განთავისუფლების სურვილიც აქვთ, მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო სხვილის ასოებით ის უეჭველი ფაქტი, რომ ეკონომიურმა შეწუხებამ გამოიყვანა ხალხი გაბრუებისაგან, აღამხედრა საბრძოლველად და მისცა ფერი და სიცხოველე მთლად მოძრაობას. სამამულო ღალა, აგრარული ხასიათის მკვლელობანი, აგრარული ანუ სამამულო კავშირი, მებატონეები და მიწა, მიწა-და მებატონეები _ აი რა შეადგენს განუწყვეტელს და დაუშრობელს თემას ირლანდიის მოძრაობის მოთავეთათვის, აი რა შეადგენს ამ საგნის სიღრმესა და სიგანეს. უეჭველია, რომ ბრძოლის სიცხარე, მედგრობა წარმოსდგება იმისგანაც, რომ იგი შედეგია დიდი-ხნის სიმძულვარისა ირლანდიელთა ინგლისელთა მიმართ, დაჩაგრულთა დამჩაგვრელთა მიმართ, დაძლეულთა გამარჯვებულთა მიმართ. მაგრამ ბოლოს მაინც არა ეროვნულმა სიმძულვარემ, არა ქვეყნის პოლიტიკურმა ვითარებამ ააშფოთა ხალხი და ააჯანყა იგი. ამ სახით მოთავენი ირლანდიის მოძრაობისა, თუმცა სრულიადაც გულ-გრილად არ უცქერიან ეროვნულს თავისუფლებას, მაინც მათ ყველაზე უწინარეს გამოჰფინეს დროშა ეკონომიური, როგორც ნიშანი ხალხის სურვილისა და მოთხოვნილებათა. მაშინ როდესაც სხვაგან, ეროვნულ მოძრაობის დროს, მაგ. იტალიაში, დავიწყებული იქნა ხალხის ყოველი არსებითი ინტერესები, თვინიერ ეროვნულ დამოუკიდებლობისა, ჩვეულებრივ, მოღვაწენი და მოასპარეზენი ნაციონალურის ბრძოლისა იყვნენ ხოლმე ყოვლად პატიოსანნი კაცნი, ხალხის მოყვარენი და მის ინტერესების დამცველნი. მაგრამ, რაკი ხედავდენ თავის ქვეყნის პოლიტიკურს დაჩაგრულობას, ივიწყებდენ ყოველისფერს, თვინიერ ამ შევიწროებულის მდგომარეობისა. ამ დაჩაგრულობით შემსჭვალულნი, იკვლევდნენ იგინი სამოქმედო პროგრამას, რომლის ქვა-კუთხედს შეადგენდა ხოლმე დაცემული ვინაობის კვლავ აღდგენა. ამ მხოლოობითი საგნით გატაცებულნი ივიწყებდნენ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას და სტოვებდენ მას უწინდებურს არა სანატრელს მდგომარეობაში, ან არა ოდნავ სცვლიდნენ საკეთილოდ, ანუ სხვაფრივ რომ ვთქვათ: იგინი არ იკვლევდენ ცხადათ საზოგადოებრივ მოვლენათა მნიშვნელობას და სცდებოდნენ. პატრიოტები, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ხედავდენ მხოლოდ ეროვნულ მონობის უმზგავსოებას და რადგან ვერ მიხვედრილიყვნენ, სად ბუდობს უმზგავსოების ფესვი და მთავარი მიზეზი, ეძლეოდნენ აღშფოთებულს თავის გრძნობას, ჰგონებდენ მას შეგინებულად და ამ სახით ხალხის ინტერესების შეგნება ხდებოდა მათთვის შეუძლებელი. ამ გვარი მოქმედების შედეგი ის იყო ხოლმე, რომ უცხო მმართებლობა განიდევნებოდა და მის ნაცვლად საკუთარი ეროვნული მმართველობა იქნებოდა ხოლმე დაყენებული; უცხო მოხელენი და ჩინოვნიკობა ნელ-ნელა ეთხოვებოდნენ თავიანთ სამსახურს, რომელსაც უტოვებდნენ ადგილობრივ, «პატრიოტულ» ხელის უფალთ,

ჩონივნიკობას, სახელმწიფოს ცხოვრება კი ამით არ იცვლებოდა, ძველებურადვე მიტრიალებდა და ყოველის თავის სიმძიმით აწვებოდა იმავე ხალხს, რომელიც წუთის წინად ისე გაცხარებული იბრძოდა და მამაცურად სისხლსა ჰღვრიდა თავისუფლების მოპოვებისათვის. სახტად დარჩენილი ხალხი პირველ ხანებში, შემდეგ მწარე გამოცდილებით რწმუნდებოდა, რომ ცვლილება ცხოვრების მარტოოდენ გარეგან პირობათა, გადაძრობა მარტო ოდენ პოლიტიკურის სამოსელისა გარეშე ღრმა ეკონომიურ ცვლილებათა, ცხოვრების დედა-ბურჯთა შეუცვლელად, თავის დღეში ვერ მოსწევს ხალხს სასურველს თავისუფლებას და აი ხალხის გონება და აზრი კვალად წუხილით იღწვოდა და ჭირნახულობდა; ხალხის ცნობიერება კვალად ორ-კეცის ძალით იღვიძებდა; კვალად იწყებოდა დაუსრულებელი ძებნა თავისუფლებისა, ვიდრე უკეთესნი წარმომადგენელნი ხალხისა მტკიცედ არ დაასკვნიდნენ, რომ მხოლოდ ღრმა ეკონომიური ცვლილებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისადმი, მხოლოდ საუკეთესო ეკონომიურის წეს-წყობილების დამყარება ეროვნულს დამოუკიდებლობითურთ, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტს თავისუფლებას.

ამ აზრის საუკეთესო საბუთად ჩაითვლება ეხლანდელი მდგომარეობა იტალიისა. ყველამ იცის, რა გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც არის იტალიის ხალხი, იცის, რა სიღატაკით ცხოვრობს იგი და რა უილაჯობით, ათას გვარ სენით და ავადმყოფობით არის სავსე მისი სვე-უბედური არსებობა. ყველას გაეგონება, რომ ეს გაჭირვება ატანს ხალხს ძალას და ატოვებინებს მშვენიერებით სავსე თავის ტურფა ქვეყანას, რომელიც მან თავის სისხლით დაიცვა და უცხო მტარვალთ ხელიდამ გამოჰგლიჯა. მის მაგიერ იგი მიდის, მიემგზავრება და ასახლებს ჭაობიან და თითქმის გაუტეხელის ტყით დაბურულს ველებს სამხრეთ ამერიკისას. დიაღ, საყურადღებოა და საგულისხმიერო ამ მხრივ პასუხი ლომბარდიის მცხოვრებელთა, რომელიც მათ მოახსენეს შინაგან-საქმეთა მინისტრს, როცა იგი ყოველის ღონისძიებით სცდილობდა დაეყოლია ხალხი, რომ არ გადასახლებულიყო და არ დაეტოვებინა თავისი ძვირფასი სამშობლო.

_ როგორ გგონიათ, თქვენ, ბ. მინისტრო, რა არის ერი! _ ჰკითხავდნენ იგინი მინისტრს. «ბრბო საწყალთა და გაბეჩავებულთა?!» _ თუ ასეა, მაშინ სწორედ ჩვენც ერი ვართ. შემოგვხედეთ, რა გამხდარნი ვართ და რა ფერი გვაძევს სახეზე, როგორ დასნეულებული და დაუძლურებულია ჩვენი ჯანი უჯიათი შრომით და უჭმელ-უსმელობით. ჩვენ ვთესავთ და ვმკით ჭირნახულსა, მაგრამ ვერა ვჭამთ კი თეთრს პურს; ჩვენ დავამუშავებთ ხოლმე ვენახებს, მაგრამ ღვინოს კი ვერა ვსვამთ; ჩვენი მოშენებულია საქონელი, მაგრამ ხორცს კი ვერა ვჭამთ ჩვენის შეუძლებლობით და ხელ-მოკლობით, დაბრანძულნი დავდივართ და ვცხოვრობთ ნაგვიან და ბინძურ სადგომებში; ზამთრით გვაწუხებს სიცივე, ზაფხულით _ სიმშილი, ერთადერთი საჭმელი ჩვენი იტალიაში სიმინდია, მაგრამ ესეც ყოველთვის საკმარისად და მაძღრისათ არა გვაქვს, რადგან ძლიერ ძვირათა ჰღირს დიდის სახელმწიფო გადასახადისა და ხარჯისა გამო. ჩვენ მრავლად, თითქო ბუზები ვიყვნეთ, გვწყვეტს ცივებ-ცხელება და სახადები. ბოლო მოგეხსენებათ ყველა ამაებისა: უდროვო სიკვდილი ჩვენი საავათ-მყოფოში, ან და ჩვენ საცოდავ ქოხებში. და თქვენ, ბ. მინისტრო, ყოველივე ამის მცოდნე და შემმეცნებელი, გვირჩევ, ნუ დავანებებთ თავს ჩვენს სამშობლოს! მაგრამ განა დაერქმევა სამშობლო იმ ქვეყანას, სადაც არ შეიძლება იცხოვრო შრომით, თუნდ წელებზე ფეხს იდგამდე?

ასეთია შედეგები იქ, საცა გულ-გრილად უყურებენ და შესაბამ ყურადღებას არ აქცევენ ეკონომიურს საგნებს, ეკონომიურს ტკივილებს და გატაცებულნი არიან მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობით. ამ გვარსავე რიგისა და კატეგორიის მოვლენათ ემსგავსება ახლად განთავისუფლებულ ბოლგარიის ცხოვრებიდამ დასახელებული ფაქტები; ამავე მიზეზითვე აიხსნება და ეპოვება თავი და ბოლო ხალხის დრტვინვას და უკმაყოფილებას სერბიის სამთავროში. კაცს ეგონება, რომ ეს ხალხნი ეხლა უნდა იყვნენ ლხინში და განცხრომაში, ეხლა უნდა დღესასწაულობდნენ თავიანთ განთავისუფლების პირველს ტკბილს ხანას, მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის. ნამდვილად კი ხალხის დრტვინვა არ შემწყდარა, ეკონომიური არეულ-დარეულობა ისევე აწევს ხალხს მძიმე ტვირთად, რომელიც ცოტად აცხადებს თავის კმაყოფილებას ეროვნულ დამოუკიდებლობის გარეგან ბრწყინვა-ცისკროვანებისათვის და ახალის, სამეფო ხარჯის მომატებისათვის. სამწუხაროდ, აქ არც დრო მაქვს, არც ადგილი, რომ საკმარისის დაწვლილებით შევჩერდე ამ გვარ ფაქტების გამორკვევაზე, თუმცა კი ამ გამორკვევას დიდი, ღრმა, საგულისხმიერო აზრი ექმნებოდა ჩვენთვის, ქართველთათვის. ეს ფაქტები და სხვანი მრავალნი ესევე გვარნი დაურღვეველის სიცხადით ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტნი მებრძოლნი ხალხის სიკეთისათვის, პატრიოტნი, ძალუმი მოყვარენი თავის სამშობლოსი, თვისსავე საკუთარის ხელით უთხრიან ორმოს ძვირფასს თავის ქვეყანას, უკეთუ ივიწყებენ ხალხის ეკონომიურს ინტერესებს და აძლევენ უაღრეს მნიშვნელობას გარეგან პირობებს და ვითარებას ხალხის ცხოვრებისას, უკეთუ გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულს იდეებს და ტრადიციებს.

საბედნიეროდ, ირლანდიელმა პატრიოტებმა აიცილეს თავიდამ ეს შეცდომა და თავის პროგრამაში უაღრესი მნიშვნელობა მისცეს ეკონომიურს წყობილებას, რაც უფრო შეესაბამება თვით ხალხის ცხოვრებასაც, რომლის მთავარს ძარღვსაც შეადგენს ეკონომიური მოვლენანი, (ამ შემთხვევაში _ სამიწა-წყლო ურთიერთობა). მხოლოდ ამ მოვლენათა შემდეგ შეიძლება მიაქციოს საზოგადო მოღვაწეთა დასმა ყურადღება ცხოვრების პოლიტიკურ და ეროვნულ მოვლენათა, რადგან ეს უკანასკნელნი პირ-და-პირს შედეგს წარმოადგენენ ეკონომიურს მოვლენათა. მხოლოდ ამ გვარის რიგიანის შეგნებით საქმისა აიხსნება ის გასაოცარი ძალა და სიცხოველე, რომელიც მიეცა ირლანდიელთაგან დაწყებულს საქმეს, ის ვრცელი ხასიათი, რომელიც მწარედ აფიქრებს ინგლისელებს. აბა ბრძოლა ყოფილიყო მხოლოდ პოლიტიკური, აბა ირლანდიელთა საქმე არ შეჰხებოდა ეკონომიურს ინტერესებს ინგლისელ მდიდრებისას, თუ თქვენ შენიშნავდით იმ გაცოფებულს წინააღმდეგობას ირლანდიელთა მიმართ, იმ გაბრაზებას და საერთო გამწარებულს მითქმა-მოთქმას ინგლისის საზოგადოებისას და თვით პარლამენტისას, რომელსაც ეხლა ჩვენ ვხედავთ და ვაკვირდებით ამ ქვეყანაში. ინგლისელი მუშა კაცი კი, პირიქით, სულ სხვაფრივ უყურებს ამ საქმეს. იგი არ იზიარებს არც ინგლისის მმართველთა გაბრაზებას, არც მათ მუქარას ირლანდიელთა მიმართ. მწარედ გაჰყვირიან და იმუქრებიან არა ინგლისელი მუშები, რომელთა ჯიბეს არაფერი დააკლდება ირლანდიის განთავისუფლებით, _ არამედ ჰყვირიან და ჰგოდებენ ინგლისის მიწათმფლობელნი, რომელთ ჯიბე გრძნობს შევიწროებას ირლანდიის მოძრაობისა გამო. ხოლო საინტერესო და საგულისხმიერო აი რა არის: როცა მეტის უფლებით შეჭურვილთა ნივთიერი ინტერესი რაიმე საშიშროებაშია, მაშინ მათ შორის ყოველი პარტიობა ისპობა და ყველანი: ლიბერალნიც, კონსერვატორნიც ერთ-ხმად

ჰყვირიან და ჰღაღადებენ: «დასჯილ იქმნას ირლანდია»! თვით ის ინგლისის სტამბა, რომელიც თავის უხუცესის წარმომადგენლის პირით (თიმეს) ჰქადაგებდა იტალიის ხალხის მოძრაობის დროს: «დროა დაჩაგრულ ერთ შეიგნონ, რომ თავისუფალს ხალხს არ შეუძლიან არ თანაუგრძნოს მათ, ვინც ჰკვნესის მონების ჯაჭვით შებორკილიო, რომ თავისუფლება ისეთი უხუმარი თამაშობაა, რომლის დროსაც, ძველი ბერძნების თქმით, უნდა მოქმედობდნენ ხანჯლითა და ცულითა და არა სალიზღობელი და მახვილი ეპიგრამებითა, ან პეტაციებითო», _ დღეს იგივე სტამბა შვებით იხარებს და ვაშას დასძახის მთავრობას ირლანდიის მოძრაობის ბელადთა და მოთავეთა დატუსაღებისათვის. ყოველივე თავისუფლება და მისი მოთხოვნილებანი, ყოველი პლიტიკურად მონიჭებულნი უფლებანი და პოლიტიკური თავაზიანობაც დავიწყებულ და უკუ-ტყორცნილ იქნებიან ხოლმე თვით თავისუფლების მომხრეთა და მოყვარეთა მიერ, როდესაც საასპარეზოდ გამოდის სცენაზე ეკონომიური და არა პოლიტიკური საგანი და ამით კიდევ კვალად სიმტკიცე ეძლევა იმ აზრს, რომ პოლიტიკური თავისუფლება და ეკონომიური მონობა-დაჩაგრულობა ადვილად თავსდებიან ერთად ერთსა და იმავე ქვეყანაში. ეს კიდევ ცოტაა: მოისურვებს თუ არა ხალხი ეკონომიურ დაჩაგრულობას თავი დაახწიოს, მაშინვე ყოველსავე პოლიტიკურს თავისუფლებას შორს ისვრიან, როგორც მტერს, ისინივე, ვინც გუშინ და გუშინ წინ მაღლა აფრიალებდა პოლიტიკურ თავისუფლების დროშას. პოლიტიკური თავისუფლება, თუ შეძენილა და მინიჭებია ხალხს, პირობით მინიჭებია, რომ მან საზღვარს არ გადააცილოს, ე. ი. იგი თავისუფლება ბოროტად არ მოიხმაროს მეტის უფლებით შეჭურვილთა წინააღმდეგ. კარგიც ეს არის და პატიოსანიც! ასე გამოდის: თუ სასარგებლოა შენთვის, ჰქადაგობ თავისუფლებას, თუ იგი შეეხო საზიანოდ შენს სარგებლობას _ სდევნე იგი, დაჰგმე და ისწრაფოდე აღმოფხრად მისსა. თავისუფლება უსაჭიროესი საგანია, მაგრამ ამ საგნით სარგებლობა ეთავაზება ეკონომიურად ძლიერს თავის ინტერესების დასაცველად. ასეთი გახლავთ ეს ქებული პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიისა! ასეთია მისი სიღრმე და სიგანე, მისი ხატება.

საფრანგეთში მკვიდრად და საბოლოოდ დამყარდა რესპუბლიკა. არა ვთვლი საჭიროდ მოვიყვანო მრავალი საბუთი და ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნივთიერი მდგომარეობა ხალხისა მაინც ერთი ბეწვითაც არ შეცვლილა და არ განკარგებულა, თუ კიდევაც არ გაუარესებულა ფრთეთა ქვეშ რესპუბლიკანურ დაწესებულებათა. მართალია, ჩვენ ვიცით და გაზეთებშიც ვკითხულობთ, რომ ეროვნულმა სიმდიდრემ საფრანგეთში დიდათ იმატა რესპუბლიკის მკვიდრად დამყარების შემდეგ. მაგრამ სრული უმეცარი უნდა იყვეს კაცი ეკონომიურ საგნებისა და მოვლენათა, ან და გაზეთში მბღაჯნელებზედ მეტი არა უნდა იცოდეს რა კაცმა, იმ მბღაჯნელებზე, რომელნიც ბჭობენ ათას გვარ მათთვის სრულიად გაუგებარს საგნებზე, რომ გააერთიანოს, ერთ ცნებად მიიღოს კაცმა ეროვნული სიმდიდრე და ხალხის დოვლათი, აღყვავება წარმოებისა და მრეწველობისა და მშრომელი ხალხის მდგომარეობის განკარგება. აწ ყველასათვის, ვინც ჩაფიქრებით უღრმავდება და ბჭობს ამ საგნებზე, ცხადი და დიდი ხანია დამტკიცებული ჭეშმარიტებაა, მტკიცედ აღიარებული ეკონომიურის მეცნიერების მიერ, რომ ეროვნულის სიმდიდრის ზრდა, მშობლიურის მრეწველობის აღორძინება აწინდელ ხალხთა ეკონომიური ცხოვრების ვითარების მეოხებით, ჰნიშნავს მეტის უფლების მექონეთა გამდიდრებას და ხალხის გაღარიბებას, ანუ სხვაფრივ რომ

ვსთქვათ: ეროვნული სიმდიდრე და ხალხის სიმდიდრე ბუნებრივნი მტერნი არიან; პირველი აღნიშნავს ხარისხს ბურჟუაზიის დოვლათისას და საზოგადოდ მეტის უფლების მექონეთა კეთილდღეობას, ხოლო მეორე _ ხარისხს ხალხის კეთილ-დღეობისას. ვინ დაიწყებს სჯას რომელიმე აზრის მფლობელის ბრილიანტების მიხედვით მის ქვეშევრდომ ხალხის კეთილ-დღეობაზე; პირიქით, ყოველმა შემეცნებულმა და გაგებულმა კაცმა იცის, რომ ეს ბრილიანტები შეძენილია ხალხის გაღატაკებით და გაბედოვლათებით. სწორედ ამ გვარადვე, ბატონ-ყმობის დროს, არავინ არ განსჯიდა ყმის კეთილ-დღეობაზე ბატონის სიმდიდრის მიხედვით. რაც კაცთა ჯგუფი და წრე, ხალხის შრომით მცხოვრები, უფრო მდიდარია და უზრუნველი ნივთიერად, მით უფრო ცუდია და არა სანეტარო მდგომარეობა ხალხისა, _ აი ჭეშმარიტება, შემუშავებული მეცნიერებისაგან, როგორც საქმის ფაქტიკურის გამოკვლევით, ისე თეორეთიკულ და ანალიტიკურ მოსაზრებათა შემწეობით. ამისათვის ჩვენ ვერ შეგვარყევს და გზას ვერ შეგვიშლის საცოდავი გადაცემ-გადმოცემა არა ჩვეულებრივს აღორძინებაზე რესპუბლიკანურ საფრანგეთის მრეწველობისა და წარმოებისა. ჩვენ ვიცით ჭეშმარიტი აზრი ამ ფაქტისა, ჩვენ ვიცით, რა ფასით არის ნასყიდი იგი მრეწველობის აღორძინება და ამისათვის არ შევხარით მას.

აი აქ უნდა მოიძებნოს გამოცნობა იმ პირველ-შეხედვით გაუგებარის მოვლენისა, რომ, თუმცა სრულიად აღუსრულდათ ფრანცუზებს თავიანთი უგულითადესი სურვილი თავისუფალ რესპუბლიკანურ წეს-წყობილებათა დამყარებისა, მაინც გულწრფელ რესპუბლიკელთა შორის სდგება პარტიები, რომელნიც უკმაყოფილონი არიან თავიანთი ქვეყნის მდგომარეობითა და ფიცხელნი მოსურნენი ცვლილებისა. თვით ფაქტი ამ გვარი პარტიების არსებობისა და მათ აღორძინებისა თანა-მედროვე საფრანგეთში ცხადად გვიჩვენებს, რომ ხალხი დრტვინავს თავის მდგომარეობაზე და უკმაყოფილობს. მაშინ როდესაც ყოველნი, ბურჟუაზიულის გულის-თქმით აღტყინებულნი, ერთდებიან თავიანთ საერთო ინტერესების დასაცველად ერთს დიდს რესპუბლიკანურ პარტიად, გამბეტას წინამძღოლობით, ამ ბურჟუაზიის ქადაგისა და ქურუმისა, _ ნამდვილნი წარმომადგენელნი ხალხის ჭეშმარიტი ინტერესებისა, განზიდულნი და განლტოლვილნი მათგან ერთ პარტიად იკრიფებიან და სცდილობენ იბრძოლონ სასიკვდილოდ და სასიცოცხლოდ რესპუბლიკელ პარტიის ბურჟუაზიულ უმრავლესობის წინააღმდეგ. პოლიტიკური სურვილი რესუბლიკელ პარტიისა და აგრეთვე თვით ხალხისაც სრულიად დაკმაყოფილებულია ახლა და ამ მხრივ არაფერი დიდი სადავიდარაბო საგანი აღარ არსებობს. ახლა პროგრესიულ პარტიის გამოსაცდელად წამოყენებულია ეკონომიური წყობილება და ის საგანი, თუ როგორ ეკიდება იგი პარტია ხალხის ნივთიერ ინტერესებს და არასოდეს ბრძოლა მარტო პოლიტიკურის პრინციპებისათვის არა ყოფილა ისეთი მედგარი და შეურიგებელი, როგორც ბრძოლა ეკონომიური ინტერესებისათვის. თავისუფალ პოლიტიკურ დაწესებულებათა მქონე ქვეყანაში, წვრიმალი გარჩევანი პოლიტიკურს რწმენათა რესპუბლიკანელ პარტიის სხვა და სხვა ფრაქციათა შორის, ჰქრება და ნელდება სრულიად; მებრძოლთა პარტიებს ჰყოფს ამ შემთხვევაში ეკონომიური საგნები, რომელთაც აქვთ ცხოველი და არსობითი მნიშვნელობა ხალხისათვის. აი ამასა ვხედავთ ეხლა ჩვენ ნიშან-დობლივ საფრანგეთში. ეხლა აღარ არიან იქ მონარხიელნი ანუ ერთ-მთავრობის მომხრენი და რესპუბლიკელნი, კონსერვატორნი და ლიბერალნი, ზომიერნი და

შეურიგებელნი. ეხლა იქ იბრძვიან მომხრენი ბურჟუაზიისა და მოყვარე-მოკეთენი ხალხისა. პირველნი _ ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტერესებისათვის, მეორენი _ ხალხის ნივთიერ კეთილ-დღეობისათვის.

* * *

გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების განცხოველება და კერძოდ არჩევნების ბრძოლის დროს არაჩვეულებრივი გაცხარება რომ პირდაპირ შედეგია მებრძოლთა პარტიების ეკონომიური პროგრამისა _ ეს ყველასათვის ცხადია. თავად ბისმარკმა ძალიან კარგად შეიგნო, რომ სოციალური საქმე შეადგენს ქვა-კუთხედს თანა-მედროვე ცხოვრებისას, რომ იგი ბატონობს სხვათა საქმეთა-შორის და რომ მარტო მას აქვს მერმისი და მომავალი. ადვილი მისახვედრია ამ სახით, რად ჩაბღუჯა მან ამ საქმესაც ხელი, ისე როგორც სხვა ყოველგვარს საქმესაც სახელმწიფოში მოხვია მაგრად თავისი მკლავები; მან თვით მოიწადინა ამ საქმის გადაწყვეტა თავისებურად, თავის სურვილისამებრ და ამით განზრახვა აქვს ააცილოს თავიდამ, ეს საქმე სოციალისტებს, რომელთა წინააღმდეგ მან უკვე გამართა ჯერ-ჯერობით «მცირე გარშემორტყმით ომი». იგი ჰფიქრობს შეჰქმნას და გააჩინოს სახელმწიფო ანუ მმართებლობის სოციალიზმი, რომ ამით მოაკლოს მომხიბლველი ძალა და გავლენა სოციალისტების პარტიას და თანაგრძნობა აღძრას მუშა ხალხში მთავრობის ეკონომიურ ზომიერებისა და განკარგულებისადმი. ამ გვარის საქმის მოწყობით მან საშინლად გააბოროტა ყოველგვარის მიმართულების ლიბერალურნი წარმომადგენელნი ბურჟუაზიისა, რადგან მართებლობის სოციალიზმის განხორციელებისათვის იგი სხვათა შორის სთვლიდა საჭიროდ, როგორც ცნობილია, რომ მარტო მთავრობას ეკისრნა თუთუნისა და თამბაქოს წარმოება და გასაღება და კიდევ, რომ მთავრობისავე მეცადინეობით მუშების უზრუნველყოფა და დაზღვევება დაწესებილიყო. ცხადია, რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს არ ეპიტნავებოდათ ეს განზრახვა ბისმარკისა, რადგან მის ასრულებით ბურჟუაზიის ჯიბეს საგრძნობელი სისუსტე დაეტყობოდა. ბურჟუაზიას ხუმრობა აღარ ეგონა ეს ეკონომიური ჩხირ-კედელაობა გუშინ მისგანვე სათაყვანებელის კანცლერისა, შეშინდა და ერთხმად აყავყავდა: «გვძარცვავენ, გვარბევენ! გვიშველეთო!» ლიბერალნი მას განზე გაუდგნენ, და არც თვით მუშები იქმნენ მოსყიდულნი ბისმარკის იაფი და არაძვირი დაპირებით და ფეშქაშებით. მათ არა სწამდათ არც ძალა და არც მნიშვნელობა ზომიერებისა, არა სწამდათ, რომ სოციალური საგნის გადაწყვეტა შეიძლებოდეს ზე-მომავალი გზით. იგინი ფიქრობენ, რომ თამბაქოს წარმოების მონოპოლია გაამდიდრებს ხაზინას და არავითარს სარგებლობას არ მოუტანს მუშა ხალხს, როგორც ცდილობს ბისმარკი დაარწმუნოს იგი; პირიქით, სახელმწიფო შემოსავლის გაძლიერება გადააქცევს მას დამოუკიდებლად და უარესს მტარვალად; რადგან ფული საკმაოდ ექმნება, მისთვის საჭირო აღარ იქმნება რეიხსტაგი, რომლის თანხმობით შეიძლება მხოლოდ დამტკიცდეს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის სია. (ბიუჯეტი). აი ამისათვის შეწუხდა ბისმარკი, რომ არჩევანის დროს გამართულს ბრძოლას მოჰყვა მისთვის არა სასურველი შედეგი.

სოციალურ საქმეს, როგორც მიუცილებელს და საჭირო საგანს, რომელსაც უსათუოდ უნდა ადგილი ჰქონდეს ეხლანდელს პარტიების პოლიტიკურს პროგრამაში, კეთილ-ინებეს და მიაქციეს თავიანთი ყურადღება გერმანიის თვით კლერიკალურმა პარტიებმაც: კათოლიკებისამაც და პროტესტანტებისამაც. ერთნიც

და მეორენიც სთვლიან საჭიროდ მიემხრონ დაჩაგრულს მხარეს, ხალხს და ჰქადაგობენ სიმართლეს და კაცთ-მოყვარეობას უკანასკნელის მიმართ. იგინი ამტკიცებენ, რომ ქრისტიანობას ყოველთვის დაჩაგრულთა და გაძრცვნილთა მხარე სჭერია, რომ იგი ჰგმობს ომს ყოველთა და ყოველთადმი და მოიწვევს საზოგადოების სხვა და სხვა წრეთა და წოდებათა თანხმობისა და ძმობისათვის ურთიერთ დათმობით და თავაზით. რეაქციონელი სოციალისტები, როგორც მათ ზოგიერთნი ეძახიან, თავიანთი აზრების პრაქტიკულად გავრცელებისათვის მუშა ხალხთან ურთიერთობას და დამოკიდებულებას სცდილობენ, აფუძნებენ მუშების საზოგადოებას, საქველმოქმედო დაწესებულებათა და თავიანთ გაზეთებსაც სცემენ. ერთს ამ გაზეთთაგანს ჰქვიან «სახელმწიფო სოციალისტი». ყველა ეს ფაქტები საკმაოდ ცხადათ ამტკიცებენ იმ ჩემს აზრს, რომ ევროპის აწინდელი პოლიტიკური განცხოველება პირდაპირი შედეგია ეკონომიურის საგნებისა, რომელნიც ცხოვრებამ ყველა საგნებზე წინ წამოსწია. შემეძლო მრავალი სხვა მოსაზრება კიდევ მომეყვანა ჩემის აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ ეს აზრი ისე ცხადია, ისე სათვალ_ჩინოა, რომ კაცი ან უნდა ბრმა იყვეს, ან განზრახ თვალთ იბრმავებდეს, რომ ვერ დაინახოს და ვერ შეიგნოს მოვლენათა ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ეს ლაქუცი მუშა-ხალხის წინაშე, ეს თვალნი, მშრომელთადმი მიპყრობილნი, ეს სახელმწიფო ზომანი, მიღებულნი იმ ანგარიშით, რომ მათი თანაგრძნობა და სიმპატია მიიზიდონ, _ სუყველა ეს განა ცხადათ არ ამტკიცებს, რომ ევროპიულ საზოგადოების და სახელმწიფოების ცნობიერება გამორკვეულა და დამდგარა იმ აზრზედ, რომ ეკონომიური წეს-წყობილება, ვითარება უპირატესი საგანია და საფუძველი არის სრულიად სახალხო და სახელმწიფო ცხოვრებისა.

ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის სხვათა შორის მეცნიერებას და ლიტერატურას. მოწინავე წარმომადგენელნი, როგორც ერთის, ისე მეორისა დაუღალავად შეასმინებდნენ საზოგადოებას და სახელმწიფო კაცებს, რომ ასეთ თუ ისეთ გვარს ეკონომიურს წეს-წყობილებაზეა დამოკიდებული მსვლელობა ქვეყნის ცხოვრებისა, მისი მეხანიზმი. ეს აზრი უკვე დამყარდა და მტკიცედ დაისადგურა მან იმ მეცნიერთა და ლიტერატორთა გონებაში, რომელნიც ყველაზე მომეტებულად თავისუფლად მოაზრეობდნენ და ყველაზე ნაკლებ იყვნენ მოცულნი ცრუ-მორწმუნეობით. აი სხვათა შორის რით აიხსნება სიმრავლე სტატიებისა და ტრაქტატებისა ეკონომიურს საგნებზე ამ უკანასკნელ დროს. ყოველი დარბაისელი და შეგნებული ჟურნალი, თუ კი ჰსურს რომ გავლენა და ხმა მოიპოვოს, ვრცელს ალაგს უწილადებს მათ გარჩევას; ყოველი ახალი გაზეთი ისწრაფვის აუწყოს მკითხველს წინდაწინვე, რომ იგი მომეტებულს ყურადღებას მიაქცევს «დღიურის ვარამისა და ტკივილის» ახსნას, ე. ი. იმავე ეკონომიურს საგნებს. თავის მხრით მეცნიერნი და მსწავლულნი თავიანთ თხზულებათა საგნად ჰხდიან ხალხის ეკონომიურს ცხოვრებას. დისერტაციებიც კი, რომელნიც იწერებიან მეცნიერების ხარისხის მოსაპოვებლად და ჩვეულებრივ არ შეეხებიან დღიურ საჭიროებათა, მხარს ვერ უქცევენ ამ დაწყევლილს ეკონომიურს საგნებს. ასეთია საზოგადო ცნობიერება, ასეთია საზოგადო ატმოსფერო.

* * *

ასეთ მდგომარეობაშივეა საქმე სხვათა შორის რუსეთშიაც, სადაც ყოველი ძალა და ღონე საზოგადოებრივ მოღვაწეთა ამ მხრივ მიიმართება. თქვენ არ შეგეძლოთ

არ შეგენიშნათ, რომ საუკეთესო რუსული ჟურნალები ადგანან მათ გარკვევისა და გადაწყვეტის საქმეს, როგორც პუბლიცისტიკურ თხზულებების შემწეობით, ისე სამხატვრო ბელეტრისტულ ნაწარმოების მეოხებით. თქვენ მოგეხსენებათ, რა შეუშურველი და არა სანეტარო მდგომარეობაა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ რუსეთის ხალხი შთავარდნილია უკიდურეს გაჭირვებაში და სიღატაკეში, რომ მას არ შეუძლიან თავის საჭიროებას გასწვდეს, რადგან მას მცირესაგან მცირე საგლეხო ნადელები აქვს და ეს სიმცირე ნადელებისა ხელს უშლის მას დამოუკიდებელი მეურნეობა ჰქონდეს. რუსის გლეხი წელშია მოხრილი და ძლივსღა ჰსუნთქავს სახელმწიფო გადასახადების ტვირთის ქვეშ. იგი მუშაობს, წელებზედ ფეხს იდგამს თითქმის და მაინც უილაჯოა მეტის-მეტი სამძიმო ეკონომიურ და სახელმწიფო ცხოვრების ვითარების გამო. შრომა მისი უდოვლათო და უნაყოფოა, რის ვაი-ვაგლახით შეძენილი მიწა 19 თებერვლის დებულებისამებრ არ აძლევს მას იმოდენა შემოსავალს, რომ სახელმწიფო ხარჯი გაისტუმროს და თავის მეურნეობის საჭიროებასაც გასწვდეს; სხვაგან სიარულიც სამუშაოდ ვერ ჰშველის მის გაჭირვებულს მდგომარეობას. სახელმწიფო შენობა, სახელმწიფო წეს-წყობილების აგებულება შეირყა და დაინძრა ხალხის ესე გვარ მდგომარეობისა გამო, იმ ხალხის, რომლის მხრებზედაც სრულიად სახელმწიფო დამყარებულია. საზოგადოების მაღალმა წრეებმა იგრძნეს ეს უეცარი ნგრევა, შეშინდნენ და შეშფოთდნენ. პირველ საქმედ იგინი ძირს ჩამოეშვნენ დაბალ ხალხთან და მოუსვენრობით ცდილობდნენ შეეტყოთ ამ ნგრევის მიზეზი. შესდგენ მმართებლობის მიერ სხვა და სხვა გვარი კამისიები ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გამოსაძიებლად. ერობამ, ანუ უკეთ ვსთქვათ თემობამაც, მიაქცია თავის მხრითაც ყურადღება ამ საშურო საქმეს. გაჩაღდა გაცხარებული მუშაობა. თემობის გამგეობასთან ერთად დაარსდნენ სტატისტიკური განყოფილებანი, რომელთა სრული მოღვაწეობა მიქცეულ იქმნა იმ ეკონომიურ პირობების გამოკვლევაზე, რომელშიაც სცხოვრობს რუსის ხალხი. თვით მეცნიერული საზოგადოებანი ძლეულ იქმნენ დროთა-ვითარებისაგან, დაემორჩილნენ საჭიროებას და ამ მხრივ მიმართეს თავისი მუშაობა. «თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებამ» საგნად დაიდო ყოველმხრივი შესწავლა რუსეთში გავრცელებულის ერთ-გვარის მიწად მფლობელობისა, რომელსაც საერთო მიწადმფლობელობა ჰქვიან, რუსული «ობშჩინისა». ამისათვის მან გამოსცა კითხვებად დალაგებული პროგრამა ამ საგანზე ცნობათა შესაკრებად და უკვე დაბეჭდა კიდეც თვით ცნობათა კრებულის პირველი ტომი. ყოველივე ამ მეცა-დინეობის შედეგი, როგორც მთავრობის მხრივ, ისე საზოგადოებრივ დაწესე-ბულებათა მიერ, იყო გამოქვეყნება აუარებელის და ძვირფასის მასალისა გლეხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ-მხრივი შესწავლისათვის.

ამ მხრივ იყო მიმართული აგრეთვე თანხმობითი მოღვაწეობა კერძო პირთა და მშრომელთა; მათ თავის გამოკვლევით და ძიებით მოჰფინეს ნათელი ხალხის ცხოვრების ისეთ მხარეთა, გაიცნეს და გამოაქვეყნეს ისეთი უცნაური და საოცარი ფაქტები ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებიდამ, რომელთ არსებობა წარმოსადგენი არც კი იყო წინად. დღეს ამ ფაქტების ძალით თან-და-თან იძულებულნი გახდნენ ახირებული ოპტიმისტები, ეს ცრუ დამცველნი თავიანთის ქვეყნის «დიდებისა და ბრწყინვალებისა», ეს პატრიოტები თავიანთის ქვეყნისა და სამშობლოსი, როგორც ისინი თავიანთ თავს ეძახიან, _ იძულებულნი გახდნენ, ვამბობთ, შედრკენ, უკან დაიხიონ და მწუხარებით გადააგდ-გადმოაგდონ ჭაღარა

შერთული და გამოცდილებით დამარაგებული თავნი თვისნი. მართალია, განზრახვა და საწადელი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი და კერძო პირნი ეკონომიურ გამოკვლევასა და ძიების დროს იყო სხვა-და-სხვა, მრავალ-გვარი და ერთმანეთის წინააღმდეგიც, მაგრამ მაინც და მაინც გამოკვლევათა შედეგი არავითარს ეჭვს აღარ ჰბადავს მასზედ, რომ ხალხის მდგომარეობა დიდად გაჭირვებული და სასო-წარკვეთილი მდგომარეობაა.

ნუთუ მართლა, ხალხის უკიდურესი მდგომარეობა პირდაპირ შედეგია საგლეხო რეფორმისა, რომელიც 19 თებერვალს 1861 წელს იქნა გამოცხადებული? ებადება ყველას თავში ეს მწარე დამაფიქრებელი კითხვა. რა გვარად უნდა შესდგომოდა ამ გვარი ბოლო რეფორმას, რომლის საგნად იყო გლეხთა კეთილ-დღეობა, მათი მოქალაქეობრივი განთავისუფლება, გონებითი და ზნეობითი განვითარება. სად არის ეს შავ-ბედითი წინააღმდეგობა. _ კვალად იჭვნეულობენ ამ საგანზედ ისინი, ვინც გატაცებულნი იყვნენ გარეგნობით და საქმეს ღრმად არ უფიქრდებოდნენ. _ წინააღმდეგობა უნდა აიხსნას ჩვენის არა-შესაწყნარებლის და დამღუპველის გაუგებრობით საზოგადოებრივ მოვლენათა ჭეშმარიტის აზრისა, _ იძლევიან პასუხს ისინი, ვინც პირ და პირ, ცნობიერად და არა პირ-მოფერებით უცქერის ხალხის ცხოვრების მოვლენათა.

ისინი უჩვენებენ იმ მოვლენას, რომ საგლეხო რეფორმამ ორგვარი ხასიათი მიიღო და რომ ამ ორგვარობამ შესძღვნა რუსეთს ფრიად გაჭირვებული მდგომარეობა გლეხისა. ისინი დაურღვევლად ამტკიცებენ იმ მტკიცედ აღიარებულს ფაქტს, რომ რეფორმის მოღვაწენი გატაცებულ იქმნენ ევროპულ ქვეყნების წარმოებისა და მრეწველობის წარმატებით და მოინდომეს არა თუ მარტო განთავისუფლება ხალხისა ბატონ-ყმობისაგან, არა თუ მხოლოდ წაქეზება და წახალისება გლეხის შრომისა, არამედ ამ საგნებთან ერთად მათ ისიც დაიდვეს საგნად, რომ მფარველობა აღმოეჩინათ და წაეხალისებინათ შინაური და მშრობლიური მრეწველობა. ამით ეს მოქმედნი რეფორმისა დიდათ შესცდნენ და თვისის გულუბრყვილობითა ჰგონებდნენ, რომ ამ გვარად ისინი აღაყვავებენ და განავითარებენ ქვეყანას ეკონომიურად. ამ ცრუ იმედით დაიწყო ძალით მოსილთა მიერ შეწევნა და ყოველ-გვარი წახალისება კაპიტალისტებისა და ფულის პატრონებისა, რომელთაგან ელოდნენ ყოველ-გვარს წყალობას ქვეყნისათვის. გაჩაღდა გახელებული სარკინიგზო მოღვაწეობა, დაარსდა ბანაკები, აქციონერული და საკრედიტო დაწესებულებანი: დაიხარჯა დიდ ძალი ფული და შეიძლება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლიდამ რკინის-გზების გაყვანისა და მართვა-გამგეობისათვის, უცხო ქვეყნებთან აღებისა კი არა მიცემობის ვაჭრობის გაძლიერებისა და წახალისებისათვის. სრულიად საეკონომიო და საფინანსო პოლიტიკა რეფორმის შემდეგის დროს განმავლობაში იმით სულდგმულობდა, რომ შეექმნა და გაეძლიერებინა კაპიტალისტების წოდება და მომრეწველთ და მოვაჭრეთ წრე იმ ხალხისაგან, რომელიც ამ გვარისავე საქმეს ადგა წინადვე მცირედ. ამ დაწყობილობათა საწადელათ ის იყო მიღებული, რომ ძლიერს მომრეწველთა წრეს და წოდებას ეკისრნა ორგანოვანობა სახალხო და სახელმწიფო მეურნეობისა, რომ ამ სახით დაახლოვებოდა რუსეთი დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა ტიპს.

* * *

ამის გარდა, რეფორმაციულის ღვაწლის ხსენებულ ორგვარობისა და ორ-ნაირობისა გამო, არაფერი არ გარიგდა და არ გაკეთდა რეფორმის უმთავრესის მიზნის მისაღწევად _ სოფლის ყოფა-ცხოვრების განკეთილებისათვის. გლეხობას მიეცა ძალიან მცირე ნადელები და მათი გამოსასყიდი ფასი კი ისე დიდი დაიდო, რომ სრულიად მოუხერხებელი შეიქმნა მისთვის ფიქრი და ზრუნვა დამოუკიდებელ მეურნეობისათვის. საგლეხო რეფორმის მოწაღმართენი კი დარწმუნებულნი იყვნენ და ფიქრობდენ წინდაუხედავად, თუმცა კი გულ-წრფელად გატაცებულნი, ოღონდ კი განთავისუფლდეს ხალხი ბატონ-ყმობიდგან, ოღონდ კი დაიმსხვრეს საუკუნოებით ნაჭედნი ბორკილნიო, რომელიც რკინის ბეჭედივით გარს შემოჰხვევია ხალხის ცხოვრებასო, და მერე ხალხი ნეტარად და უზრუნველად იცხოვრებსო. მაგრამ ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ხალხის მდგომარეობა თუ არ გაუარესდა, არანაირად არ გაუკეთესებულა; რომ ხალხს ერთის ველურის და გამხეცებულის ბატონის მაგივრად, მეორეც მოახვიეს თავზედ. ეს მეორე გახლავთ უფრო ლიბერალი და ენა-მეტყველი მუზმუზელა ვაჭარი, რომელიც დღეს არა, ხვალ გადაიქცევა ნამდვილ კაპიტალისტად და რომელსაც უკვე ყოველი ღონე და კულტურული სახსრები ხელთ ექნება ხალხის სრულის და სისტემატურის ძარცვა_ყვლეფისათვის.

მაშინვე, საგლეხო რეფორმის დროსვე, იყვნენ კაცნი, რომელნიც აფრთხილებდნენ რეფორმის მოღვაწეთა. ისინი ეუბნებოდნენ მათ, რომ საგანი ისე არ არის დადგენილი, როგორც უნდა იყვესო; რომ მისი გარდაწყვეტა სასურველი გარდაწყვეტა არ იქნებაო, რადგან ეგ სასურველი გარდაწყვეტა იმაზედ არის დამოკიდებული, რა გვარს საეკონომიო შეხედულებასა და ეკონომიურს პრინციპებს დაუდებთ სარჩულად განზრახულს რეფორმასაო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უკეთუ ეკონომიური მხარე რეფორმისა არ იქნება რიგიანად შემუშავებული და გამორკვეულიო, თუ რეფორმატორები შეშინდებიან ან მოერიდებიან მას, რომ გადასაწყვეტი საქმე საძნელოა და რთული და არ გადაწყვეტავენ მას რადიკალურად და ერთბაშად ეხლავე, მაშინ რეფორმა გადაიქცევა არარად. მაშინ მოსალოდნელ სიკეთისა და ნეტარების მაგიერ, ხელთ დაგვრჩება ხალხის უარესი შეწუხება, მოვესწრებით მის უარესს გაღარიბებას. მაგრამ, საუბედუროდ, რეფორმატორებმა ვერ გამოიჩინეს საკმარისი სულის სიძლიერე. მათ არ მიიღეს გონივრული რჩევა ეკონომიურის ლიტერატურის წარმომადგენელთა, რომელთაც იგინი უპასუხებდნენ, რომ საჭიროა შეთანხმდეს და შეწყობილ იქმნას ინტერესები სხვა-და-სხვა წოდებათაო. რომ ამ საქმეში მონაწილე წოდებანი თანაბრად უნდა იყვნენ დაკმაყოფილებულნიო. გადა-საწყვეტი საგანი რთული კი არ უნდა გახადოთ, არამედ შეძლებისამებრ უნდა გამარტივდეს და ისე გადასწყდეს; ჯერ ხალხი განთავისუფლდეს პოლიტიკურად, მოქალაქეობრივი უფლებანი მიენიჭოს და მერე შეიძლება დამატებითი ზომიერებანი იქმნეს მიღებული რეფორმის ეკონომიურის ნაწილის გადასაწყვეტადაო. ამ სახით საგანი «გამარტივებულ იქმნა», რჩევანი «გამოუცდელ და ახირებულ» იდეალისტებისა უარ-ყოფილნი და უყურადღებოდ დატოვებულნი შეიქმნენ. რეფორმა მოხდა, ხორც-შესხმულ ფაქტად გადაიქცა და აი რუსეთი დღეს გაბეჩავებული ეზიდება მძიმე ტვირთს ამ გვარად საგნის «გამარტივებისას» და ცხოვრება ამართლებს იმ იდეალისტებს და «გამოუცდელ» ეკონომისტებს, რომელნიც წინასწარვე გრძნობდნენ, რა გამწარებული ცხოვრებაც მოჰყვებოდა მარტივად საგნის გადაწყვეტას.

მეორეს მხრით, ჩვენ ვიცით რა ხასიათისა და მიმართულებისანიც არიან «დამატებითი ზომიერებანი», რომელთაც უნდა შეემთავრებინათ და დაეგვირგვინებინათ გლეხთა რეფორმის საქმე. ვიცით, საითაც აქვთ მათ თავი მიმართული, ვის ინტერესების დამცველათაც გამოცხადებულან და ამის გამო უფრო მეტის სიმტკიცით ვაღვიარებთ ჩვენს აზრს ამ გვარის «ფრთა-მოკვეცილ რეფორმისა და მის გამარტივების" წინააღმდეგ.

ახლა, მრავალ გამოკვლევათა და გამოძიებათა შემდეგ, შემდეგ ბეჯითი შესწავლისა და შემეცნებისა იმ კანონთა და წესთა, რომელთაც ექვემდებარება საზოგადოებრივი ცხოვრება, რუსნი, მწარედ გამოცდილნი და თავის ქვეყნის ბედ-კრულობის მომსწრენი, თან-და-თან რწმუნდებიან, რომ ეკონომიურ ცხოვრების უყურადღებოდ დატოვება ძვირად უჯდება ქვეყანას, მისთვის მხარის აქცევა დამღუპველს და ძნელად გასასწორებელს შეცდომას წარმოადგენს და რომ გარეგანი სახე საზოგადოებრივის ცხოვრებისა მტკიცედ შეესაბამება მატერიალურ ცხოვრების პირობათა და ვითარებასა. ყოველი რეფორმა, ცხოვრების რომელ მხარესაც გინდა შეეხებოდეს, დარჩება უქმად და ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ იგი მტკიცედ შემეცნებულ და ცხადად გამოთქმულ პრინციპზედ არ არის დამყარებული.

აი როგორ გამოსთქვამს მოკლედ თავის შეხედულებას ამ საგანზე ერთი უდიდესი და უღრმესად შემეცნებული კაცი ჩვენის დრო და საუკუნისა. კაცი ისეთი, რომლის სრულიადმა და მტკიცე-მეცნიერულმა წარმოდგენამ მსოფლიოზე ჰქმნა დიდი ძლევა. «პირველი საგანი, რომელსაც მე მივმართე ჩემი ეჭვების გასაფანტველად, _ მოგვითხრობს იგი თავის გამოკვლევათა მსვლელობაზე, _ იყო კრიტიკულად განხილვა გეგელის სწავლა-მოძღვრებისა «უფლების» ფილოსოფიაზე. ამ გარჩევის და განხილვის შემწეობით მე დავასკვენი, რომ უფლებრივი ურთი-ერთობანი1 და აგრეთვე პოლიტიკური ფორმები არ წარმოიშობება, არ მომდინარეობს იურიდიკულს და პოლიტიკურს საფუძველთაგან და არც შეიძლება მათზედ იყვეს დამყარებული. უფრო არ შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ იგი უფლებრივი ურთი-ერთობანი წარმოსდგნენ და მომდინარეობენ ესრედ-წოდებულ კაცობრიობის სულის ზოგად განვითარებისაგან. მათი საფუძველი და დასაბამი არის მატერიალური, ქონებრივი, თვით რეალურის ცხოვრების ურთი-ერთობანი, რომელთაც ერთად თავ-მოკრეფით გეგელი «მოქალაქეობრივს საზოგადოებას» ეძახის, მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ და ფრანციელ მწერალთა მიხედულობით. ხოლო ანატომიას მოქალაქობრივის საზოგადოებისას წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომია. ასე შეიძლება გამოიხატოს მოკლედ ის აზრები, რომელნიც მე დავასკვენი მის (პოლიტიკურის ეკონომიის) შესწავლის შემდეგ: მატერიალურის წარმოების დროს კაცთა შორის არსდება ერთ-გვარი ურთი-ერთობა, წარმოებრივი ურთი-ერთობა. ეს უკანასკნელი მუდამ და ყოველთვის შეესაბამება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ფარდს წარმოადგენს შრომის იმ ნაყოფიერებისას, შემოქმედობისას, რომელიც დღეს კაცის ეკონომიურ ძალთა განვითარების წყალობით არსებობს. სულ ერთად, თავმოკრეფით აღებული წარმოებრივი ურთი-ერთობანი შეადგენენ ეკონომიურს სტრუქტურას საზოგადოებისას, რეალურს საძირკველს, რომელზედაც აგებულია პოლიტიკური და ეკონომიური შენობა და რომელსაც შეეფარდება და შეესაბამება რომელნიმე ცნობილნი ფორმები საზოგადოებრივის ცნობიერობისა. ამ სახით წარმოებრივის წესზედ დამოკიდებულია სოციალური, პოლიტიკური და

სულიერი პროცესები ცხოვრებისა. ამ უკანასკნელთ არსებობა არამც თუ არ ჰკიდია კაცის ცნობიერობაზედ, არამედ პირიქით, თვით იგი, ცნობიერება მათგან არის დამოკიდებული. შრომის ნაყოფიერობისა და შემოქმედობის რომელსამე ცნობილს ხარისხზედ მისი ძალანი შეებრძოლებიან ხოლმე კაცთა შორის დამყარებულ წარმოებრივს ურთი-ერთობას. ამისათვის იგინი სრულიად და მძლავრად ეწინააღმდეგებიან მასაც, რაც შეადგენს იურიდიკულს სახეს, იურიდიკულს გამოხატულებას, ანუ ფორმებს წარმოებრივის ურთიერთობისას, ესე იგი ეწინა-აღმდეგებიან ქონებრივს წესებს. ამ დროს წარმოებრივი ურთიერთობანი კაცთა შორის აღარ შეესაბამებიან შრომის ნაყოფიერებას, შემოქმედობას და ავიწროვებენ მას. აქედან წარმოსდგება და აქ ეძლევა დასაბამი ხალხთა ამბოხებას და აღრეულობას. ცვლილებისათანავე ეკონომიურის საძირკვლისა იცვლება ნელ-ნელ ანუ სიჩქარით თვით დიადი შენობა მასზედ აგებული და დამყარებული. ამ ამბოხებათა შესწავლის დროს მუდამ საჭიროა მტკიცედ განისაზღვროს ის ცვლილება, რომელიც მომხდარა წარმოების პირობათა შესახებ და მტკიცედ-მეცნიერულად აღიარებულ უნდა იქმნას. ეს ერთის მხრით და მეორეს მხრით, ესევე განსაზღვრული და მეცნიერულად აღიარებული უნდა იქმნას ის ცვლილებაც, რომელიც მოხდა იურიდიკულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ესტე-ტიკურ, ფილოსოფიურ, ერთის სიტყვით _ იდეოლოგიურს ფორმების შესახებ, იმ იდეოლოგიურ ფორმებისა, რომლებშიც გამოხვეულია აზრი შებრძოლებისა, რომელთ შემწეობით ამ აზრს გზა გაუკვლევია კაცობრიულ ცნობიერებამდე და რომლებშიაც ფარულად ჰსწარმოობს ბრძოლა იმ ხსენებულის მატერიალურ შეჯახების გულისათვის. თვითვეულ კაცზე იმის მიხედვით კი არა ვჰსჯით, რასაც ის თავის-თავზედ ჰფიქრობს; აგრეთვე არ შეიძლება განვსაჯოთ აღრეულობათა ეპოქაზე მის (ეპოქის) საკუთარის თვით ცნობით. პირიქით, თავათ ეგ თვით ცნობა უნდა იქმნას აღსნილი მატერიალურ ცხოვრების წინააღმდეგობათაგან, უნდა იქმნას შეგნებული იმ შებრძოლების შემეცნებით, რომელიც მომხდარა წარმოების პირობათა და შრომის ნაყოფიერების ვითარებასა შორის. საზოგადოებრივი ფორმაცია არას დროს არ განჰქრება და არ გადაშენდება, ვიდრე არ განვითარებულა შრომის ნაყოფიერობის ძალა, რომელსაც იგი აძლევს საკმარისს ალაგს და თავისუფლებას განმტკიცებისათვის. ახალი წარმოებრივი ურთი-ერთობანი არ გაჩნდებიან ძველ ურთი-ერთობათა სამაგიეროდ, ვიდრე მატერიალური პირობანი მათის არსებობისა არ შემუშავებულან და არ გაჩენილან ძველის საზოგადოების მიერ. აი რისთვის დაიდებს ხოლმე წინ კაცობრიობა გადასაწყვეტად მხოლოდ ადვილად შესასრულებელს საქმეს, განხორციელებისათვის მხოლოდ ადვილად მოსახერხებელს საგანს. ბეჯითი დაკვირვება გვამცნევს და გვიმტკიცებს, რომ გადასაწყვეტად საგანი გაჩენილა და წამოყენებულა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მატერიალური პირობანი მის გადაწყვეტისათვის ან უკვე მზად ყოფილან, ან ცხოვრების მიერ მზადდებიან და აზრის მიერ შესაძლებელია შემეცნებულ იქმნენ ამ დამზადების დროს».

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ისე როგორც იტყვის და განმარტავს ამ ღრმა მოაზრეს ერთი კომმენტატორთაგანი, ასე გამოვა: «ცვლილება იმ ურთი-ერთობისა კაცსა და ბუნებას შორის, რომელიც შეადგენს მთავარს შინაარსს და დაუშრობელს წყაროს შრომის ნაყოფიერებისას და შემოქმედობისას, გამოიწვევს ცვლილებას კაცთა შორის ეკონომიურს ურთიერთობისას; ხოლო ეს ცვლილება თავის მხრით

გამოიწვევს ცვლილებას იურიდიკულ, პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრებითს ურთიერთობისას მათთა შორისვე».

ამ სახით, როდესაც ხალხთა წოდებათა შორის ეკონომიურად დაჩაგვრა ძლიერდება, როდესაც ძლიერდება მათი ქონებათა უთანასწორობა, მათთან ერთად ძლიერდება პოლიტიკური დაჩაგვრაც. ეკონომიური ცხოვრების უსწორ-მასწოროდ მიმდინარეობა ხალხს აგრძნობინებს, თუმცა წინად ბუნდად, რომ მის ცხოვრების პირობანი არ არიან ნორმალურნი. შემდეგ ამას თან და თან უფრო ცხადათა გრძნობს ხალხი და ებადება სურვილი შესცვალოს, დაამსხვრიოს ეკონომიური ბორკილები, რომელნიც უშლიან იმის შრომის ნაყოფიერობას წესიერად მიმდინარეობდეს. ვისი ინტერესებიც ამნაირად ეკონომიურის ცხოვრების შეცვლით, საშიშროებაში ჩავარდება, ისინი საზარლად ძრწუნდებიან და ღელდებიან. და რადგანაც იურიდიკული და პოლიტიკური ფორმები სრულიად შეეხამებიან და შეესაბამებიან მატერიალურს ცხოვრების საძირკველს, ე. ი. რადგანაც იურიდიკული და პოლიტიკური დაწესებულებანი არიან ერთგულნი გუშაგნი აწმყო ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელსაც იგინი ფხიზლად და ერთგულად ჰყარაულობენ, _ ამისათვის რა წამსაც კი შენიშნავენ ხალხს ეკონო-მიურის ცხოვრების შეცვლის სურვილს, მაშინვე ეს გუშაგნი სცემენ ნაღარას, ისხამენ აბჯარს და გამოდიან მიმდინარე ეკონომიურის ცხოვრების დასაცველად.

* * *

ესევე შინაგანი გუშაგნი, რომელთაც გამოუცდელი თვალი ვერ შენიშნავს, იცავენ განწყობილებას გამარჯვებულ და დამონავებულ ქვეყნების და ნაციების შორის (მე არ ვამბობ ორ ხალხთა შორის დამოკიდებულებაზედ _ ეს სულ სხვა არის). თუ ერთხელვე არსებობს დამოკიდებულება ერთის ქვეყნისა მეორეზედ, მაშინ, რასაკვირველია, ეს დამოკიდებულება ერთ-ერთი მათგანისათვის არის უსათუოდ სასარგებლო; თუ რომ ასე არ იყოს, და ორივე ქვეყანა ამ დამოკიდებულებაში ხედავდეს თავისთვის ზარალს, მაშინ ეს დამოკიდებულება მოისპობოდა და მათ შორის საქმე მშვიდობით გათავდებოდა. ზოგჯერ კაცს ჰგონია, რომ გამარჯვებული ქვეყანა თავის დამონავებულ ქვეყნიდამ არაფერს სარგებლობას არა ხედავდეს, ეს ხომ სიგიჟე იქნება. არა განა? ან იქნება ეს იმიტომ მოსდიოდეს რომელსამე დიდ-სულოვნობით გატაცებულს ერს, რომ ჰსურდეს შეეწიოს თავის უძლურს მეზობელს? იქნება ასედაც ხდებოდეს _ მე ეს არ ვიცი. მაგრამ პირუთვნელი ისტორია და საუკუნოების გამოცდილებანი კი სრულიად სხვას გვაუწყებენ; ისინი გვეუბნებიან, რომ წინანდელს ზარალს გამარჯვებულის ერისას შემდეგში მოგება ასჯერ და ათასჯერ სჭარბობს. აი ამ მოსაზრებით ერთი ქვეყანა, ვითომ დიდ-სულოვნობით, ხარჯავს ფულს «ველურის ხალხის» გასანათლებლად და გასავითარებლად. ესევე სჩადის ანგარიშიანი ვაჭარი, რომ მოიპოვოს ნდობა თავის მუშტრების წინაშე, ჰყიდის საქონელს ძლიერ იაფად, თითქმის ზარალით. იმ იმედით, რომ შემდეგში ერთი-ორად აიყენებს მათგან თავის ზარალს.

აქედამ ცხადათა სჩანს, რომ იმ მიზეზებს, რისთვისაც ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანაზედ უფლობს, ეკონომიური თვისება აქვს, თუმცა შეიძლება სხვა პოლიტიკური მიზეზებიც ჰქონდეს; მხოლოდ და მარტო მატერიალურს სარგებლობისათვის, რომელსაც ან ამ თავითვე იღებს და ან მომავალში მოელის გამარჯვებული ერი, არ ერიდება იგი არავითარ უსიამოვნებას, სხვაზედ

გაბატონების დროს. მართალია, ამავე დროს მთელი ქვეყანა იჩაგრება, სუყველა მცხოვრებნი დამორჩილებულნი არიან, მაგრამ ეს დაჩაგვრა და დამონავება ისე ძლიერ არავის აწვება კისერზედ, როგორც ისევ იმავე მრავალ-ტანჯულს და დიდ-სულოვან უბრალო ხალხს. ყოველი ქვეყანა, რომელიც ბედისაგან ასე სასტიკად არის დასჯილი თავის ისტორიულის შეცდომებისა გამო და უნდა ნათლად გამოიკვლიოს თავის დამოკიდებულება, თავისი სამწუხარო მდგომარეობა, უნდა უსათუოდ დაადგეს ერთად ერთს სწორე გზას, ეკონომიურის წყობილების და თავის ცხოვრების მატერიალურის ვითარების გაგებისას. მოწინავე და გონიერთ ქვეყნის წინამძღოლთ, რომელთაც უყვართ თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, უნდა დაუახლოვდნენ ამ ხალხს, გულ-მოდგინედ გაუშინჯონ ბედისაგან დასმული იარები, გამოიკვლიონ მისი სამწუხარო მდგომარეობა და ნამდვილ მეცნიერულად გაიგონ: რა გავლენა ჰქონდა დამოკიდებულებას ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაზედ, რა ცვლილებანი მოახდინა მან იმის ყოფა-ცხოვრებაზედ და ეკონომიურს ურთი-ერთობაზედ წარსულ დროსთან შედარებით, ანუ უფრო მეცნიერულად რომ ვსთქვათ, შესცვალა თუ არა ახალმა დამოკიდებულმა მდგომარეობამ დაჩაგრული ქვეყნის წარმოების პირობანი და თუ შესცვალა, რა გზით? თან მოჰყვება თუ არა ამ მატერიალურ პირობების შეცვლას შესაფერი ცვლილება ხალხისათვის მძიმე და აუტანელის შენობისა, რომელიც ამართულია და აგებული ხალხის ცხოვრების მატერიალურს საძირკველზე, ზემო-მოყვანილის მოაზრეს თქმისა არ იყვეს. რომ ჩემს სიტყვას ცრუ მნიშვნელობა არ მისცენ, აქვე ვიტყვი, რომ მე უარს არა ვყოფ, რომ პოლიტიკურს ცხოვრების ფორმებს აქვსთ ერთი-ერთმანეთზედ გავლენა. მართალია, რომ ეკონომიურ წყობილებას აქვს გავლენა პოლიტიკურს წყობილებაზედ და ეს გავლენა მასში სჩანს, რომ პირველი მეორეს მოაწყობს თავის მოთხოვნილებათა გვარად, მაგრამ ისიც მართალია, რომ პოლიტიკური დაწესებულებანიც, თავის მხრით, როგორც მცველნი ეკონომიურის ცხოვრების საძირკველისა, ცდილობენ ასე თუ ისე იმოქმედონ მასზედ და დაუმორჩილონ პოლიტიკურს ცხოვრებას. ესეც სწორედ ისეა, როგორც იმ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც მატერიალური უსწორმასწორობა აგებინებს კაცს, რომ მატერიალურის წარმოების საშუალებანი უვარგისი არიან, მაშინ თვითონ კაციც ამ გამორკვეული აზრის გავლენის ქვეშ იმყოფება და ცდილობს რამე ზედმოქმედება იქონიოს უსწორ-მასწორობის მოსპობაზე.

აი ამისათვისაც ყოველი პოლიტიკური ანუ ნაციონალური ამბოხება იღებს დასაწყისს იმ ეკონომიურის წყობილებათაგან, რომელნიც ხალხში მოქმედობენ. საზოგადოების წინამძღოლნი, გატაცებულნი პოლიტიკურის ან ნაციონალურის საქმით, ისე ინთქებიან პოლიტიკურის ბრძოლის მორევში, რომ თვითონაც ვეღარ გრძნობენ, თუ საიდგან იძენენ მოქმედების ძალას, რა პირობათა ძალით დაიბადა ის პოლიტიკური მოძრაობა, რომელშიაც ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებენ. საჭიროა მხოლოდ გაცუდდეს და გაუვარგისდეს საშუალებანი მატერიალურის წარმოებისა, რომ იმავ წამსვე დაიწყოს და გაძლიერდეს პოლიტიკური ამბოხებაც, და რაც უფრო ეკონომიური წყობილება გაუვარგისდება, მით უფრო უარესად გაძლიერდება პოლიტიკური მოძრაობა. რასაკვირველია, პოლიტიკურ მომქმედ პირთ ჰგონიათ (ეს ცოტა არ არის აკმაყოფილებს იმათ თავმოყვარეობას), რომ პოლიტიკური მოძრაობა და ამბოხება იმათის მოქმედების წყალობით ხდება, მაგრამ ის კი არ იციან, რომ თვითონ ისინი არიან წარმოშობილნი პოლიტიკურის

მოძრაობისაგან, რომლის ფესვი და ძირი იმალება ეკონომიურის ცხოვრების გაუვარგისებაში და მატერიალურის წარმოების შევიწროებაში.

მე ამით არ ვამტკიცებ, რომ საზოგადოების ბელადთა პოლიტიკურს მოქმედებას არა აქვს არავითარი გავლენა პოლიტიკურს მოძრაობაზედ და ფორმებზედ. პირიქით, მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მათის წყალობით პოლიტიკური მოძრაობა თავდაპირველადვე ვერ იგებს, თუ ნამდვილად საიდგან წარმოსდგა და ამისთვისაც ღობე-ყორეს ედება ხოლმე, სანამ, მრავალთა შეცდომათა შემდეგ, არ მიხვდება, რომ დაამყაროს თავის პროგრამა ეკონომიურს პრინციპებზე, რომელნიც გვასწავლიან ხალხის მატერიალურ ყოფა-ცხოვრების განვითარების კანონებს. ყოველს მოძრაობას პირველად პოლიტიკური ან ნაციონალური ხასიათი აქვს და ეხება ცხოვრების გარეგანს ფორმებს, რადგანაც ეს მოძრაობა იწყობა მცხოვრებლების განვითარებულ პირთაგან, რომელნიც საზოგადო ცხოვრების კითხვების ახსნას მხოლოდ თავიანთ გარეშემო ეძებენ. ბევრი, ძლიერ ბევრი ისტორიული შეცდომებია საჭირო, რომ მოძრაობის მოთავენი მიხვდნენ ნამდვილს მიზეზს თავიანთი მამულის საქმეების მოუწყობლობისას, ხალხის ეკონომიურს წყობილობის დიდს მნიშვნელობას.

მეორეს მხრით ყელამდის საქმით სავსე ხალხი, რომელიც წელებზედ ფეხს იდგამს და ისე შოულობს თავის სახლობისთვის ერთს ლუკმა პურს, თავის დღეში არ მიიღებდა და არც მიიღებს მონაწილეობას საზოგადო მოძრაობაში, თუ რომ ზოგჯერ ინსტიქტურად და ზოგჯერ მოძრაობის ბელადთა ჩაგონებით, არა გრძნობდეს, რომ დაწყობილს მოძრაობას საგნად აქვს იმის ცხოვრების გაუმჯობესება და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მართალია, ის ამაში ბევრჯერ სტყუვდება, მაგრამ საჭიროა დიდი ხნის ისტორიული გამოცდილება, რომ იგი დარწმუნდეს, რომ მოძრაობას, დაწყობილს ხალხის ინტერესებისათვის, თან მოსდევს უარესად ხალხის დაჩაგვრა და შებორკილება ზოგჯერ იმ ბელად-თაგანვე, რომელნიც ამ მოძრაობით უსვინდისოდ სარგებლობენ თავის ინტერესებისათვის და ზოგჯერ კიდევ იმ ბელადთაგან, რომელნიც თუმცა ნამდვილად თანა-უგრძნობენ ხალხის ინტერესებს, მაგრამ საქმეს კი წინადვე ნამდვილს გზაზედ არ აყენებენ. არც ერთს საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ რომ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს; ხალხი აძლევს მოძრაობას დიდს ძალას და მნიშვნელობას. ხალხი დარწმუნებულია, რომ ეკონომიურ საგნებს, რომელნიც შეეხებიან იმის ტანჯულს ცხოვრებას, უჭირავთ უპირატესი ადგილი მოძრაობაში, რისთვისაც იგი იწყობს ბრძოლას, მაგრამ, საუბედუროდ, უფრო ხშირად ბრუნდება შინ მოტყუებული და გაბრაზებული იმ პირებზედ, რომელთაც ხელში ჩაიგდეს მოძრაობა და წინამძღოლობა მისი.

ასეთ ისტორიულს გამოცდილებათ, ასეთ ძვირად დამჯდარს შეცდომილებათ, რომელთაც არავინ არ უნდა შეეხნენ, თუ თავის ხალხი უყვართ, სინამ საქმე კარგად და გონივრულად არ შეისწავლონ, ბევრჯელ ჩაუგდიათ სინანულში ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი, როცა ნამდვილად უგრძვნიათ მათ თავიანთი დანაშაული ხალხის წინაშე; მაშინ ისინი დარწმუნებულან, რომ მხოლოდ ხალხის ეკონომიურის ინტერესების დაცვით შეიძლება დააკმაყოფილოს სამშობლო ქვეყნის საჭიროება და მოთხოვნილებანი, რომ მოძრაობის დროს პირველად ხალხის ეკონომიური ინტერესები უნდა ვიქონიოთ სახეში და მერე სხვა

ინტერესებიც, რომელთაც ხალხი აგრეთვე თანაუგრძნობს, _ პოლიტიკური და ნაციონალური.

ჭეშმარიტია, რომ ეკონომიურ იდეალთან ერთად ხალხს პოლიტიკური იდეალიც აქვს სახეში. რასაკვირველია, ეს იდეალი არა ჰგავს მზა-მზარეულ პოლიტიკურს პროექტებს, შედგენილთ ხალხის ბელადთაგან, რომლებშიაც გამოკვლეულია ფორმები პოლიტიკურის მოწყობილობისა და წინდაწინვე ნაჩვენებია ყოველივე დაწვრილებითნი კერძოობანი, მაგრამ იგი იდეალი მაინც საკმაოდ ცხადია და გამორკვეული, საჭიროა მხოლოდ მისი ლოღიკურად შემუშავება.

ხალხი თუმცა არ ადგენს თეორიულად ვრცელს პროექტებს, სადაც შემდგენელთ არაფერი არ ავიწყდებათ, გარდა თვითონ ხალხისა, მაგრამ მაინც ყოველთვის იკვლელს მარტივს და არა რთულს საფუძველთ საზოგადოების მოსაწყობად. ხალხი, როგორც გამოცდილი ჭკუის პატრონი, რომლის გონებაც სხოლასტიკურის სწავლით არ არის დამახინჯებული, მსჯელობის დროს იწყობს მარტივიდამ და გადადის რთულზედ, კერძოდ გადადის საზოგადოზედ. თავის მსჯელობის საფუძვლად პირველად იგი ღებულობს ცოცხალს პირს, კაცსა, მერე რამდენსამე პირთა კომბინაციას ოჯახობაში, მეურნეობაში და კომლობაში. ოჯახობა და კომლობა ერთად შეადგენენ ერთს საზოგადოებას, თემობას, რომელიც როცა სხვა თავის მაგვარს საზოგადოებას შეუერთდება, შეადგენს ერთს დიდს საზოგადოებრივ სხეულს. ამაზე შორს ხალხის გონება აღარ მიდის და უთმობს ბურთს და მოედანს ბელადთ, ჭკვიან ხალხთ, რომელნიც შეიარაღებულნი არიან მეცნიერებით და ისტორიულის გამოცდილებით. ხალხი მხოლოდ გვიჩვენებს გზას, გვაძლევს ხელში საფუძველს, გვიჩვენებს მეთოდებს, რომ გამოვიკვლიოთ იმისთანა გარეგანი ფორმები, რომელნიც შეეფერებიან ხალხის ცხოვრებას. როგორც ჰხედავთ, ხალხის მეთოდი სხვა არის და განვითარებულის კაცებისა სხვა; ეს უკანასკნელნი იწყობენ საქმეს ზოგადობიდამ, გარეგნობიდამ და ცდილობენ გადავიდნენ კერძოზედ, მაგრამ თავის დღეში კი სურვილი ვერ უსრულდებათ. საზოგადოების მოწინავე ბელადნი, შემდეგ უგზო-უკვლოდ სიარულისა და მიხვევ-მოხვევისა, მისულან იმ დასკვნამდის, რომ შესწავლა და განვითარება ხალხის ცნობიერების მიერ გამოკვლეულ გონივრულ საფუძველთა საზო-გადოებრივის ცხოვრების მოსაწყობად არის ნამდვილი წყარო საზოგადოებრივი საგნების ასაღსნელად. მათი ვალია მხოლოდ გამოიკვლიონ და შექმნან პირობანი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ხალხის იდეალს, ეკონომიურის, საზოგადოებრივის და პოლიტიკურის მხრით. ესრედ პოლიტიკური ფორმები ექვემდებარებიან ეკონომიურს ფორმებს: პოლიტიკური პროექტები მეტის უფლების მექონეთა და განათლებულთა სრულიად შეესაბამებიან მათ მიერ სასურველ ეკონომიურს წყობილებას; ხოლო საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალი ხალხისა კი სრულიად შეესაბამება ხალხისავე სურვილს და ლტოლვილებას ეკონომიურის მხრით. აქ ეკონომიურს მოტივებს პირველი ადგილი უჭირავთ.

რომ პოლიტიკური და ეკონომიური მოძრაობა ხელიხელს გადახვეულნი მიმდინარეობენ, ამის დასამტკიცებლად შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითი ავიღოთ თუნდა ჩვენის ნაციონალურის აღორძინების ისტორიიდამ, რომელიც ამ უკანასკნელს დროს დაიწყო, თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, ბატონებო... ეს ცოტა არ არის მეხამუშება, იქნებ თქვენ ჩემი აზრი არა თვალთ-მაქცურ გულის-წყრომით ერეტიკულ აზრად ჩასთვალოთ, მაგრამ გთხოვთ, ბატონებო, მრავალ-ტანჯულს და

წამებულს სამშობლოსადმი საერთო სიყვარულის სახელითა, იმ სიყვარულისა, რომელიც ჩვენცა და თქვენც გვასულდგმულებს, მოვეპყრათ საქმეს ისე კი არა, როგორც ეპყრობიან გონება-დაბნეულნი, ამპარტავნობით და ცრუ თავ-მოყვარეობით გატაცებულნი, არამედ როგორც მიუდგომელნი და გულ-აუჩქარებელნი. ასე უნდა მოვიქცეთ, უკეთუ გვსურს ერთმანეთისათვის გაუგებარნი არ დავრჩეთ.

აი რაში მდგომარეობს ჩემი აზრი: დიდი ხანია ვხედავთ ჩვენს სამშობლოს გაჩუმებულსა, გაყინულსა, რომელსაც არავითარი სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა, თითქოს იგი დავარდნილიყოს, გამოფიტულიყოს, თითქო აღხოცოდეს მას კაცები, რომელთაც შეეძლოთ იკისრონ მოთავეობა, გახდნენ ბელადნი მოძრაობისა, რომ ამით გამოაღვიძონ ხალხი იმ ღრმა ძილისაგან, რომელსაც მიეცა ისტორიულის წამებისა და ტანჯვის შემდეგ. მხოლოდ 1860 წლიდამ სჩანან მოძრაობის ნიშნები ჩვენის მიმძინარებულის ქვეყნისა, რომელიც არ «მომკვდარა, მხოლოდ სძინავს»: იგი ნელ-ნელა იდგამს ფეხს, იფშვნეტავს თვალებს, შეშინებული იყურება აქეთ-იქით. გუშინდელი მკვდარი, რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად არა სწამს თავის აღდგენა, უეცრივ მოვლინებული ბედნიერება, იჭვიანად სცდის თავის მკლავებს, რომელნიც, ჰგონია, დამდუმებიანო, და ჰხედავს, რომ მკლავები მოძრაობაში მოდიან; იშინჯავს თავს, ჰფიქრობს, მაგრად მაბია მხრებზედ თუ არაო, აგრეთვე სცდის გონებას, ტვინს, ხომ არ დამჩლუნგებიაო, ხომ არ გადაჩვეულა მუშაობასაო და ჰხედავს, რომ თავიც და ტვინიც თავის რიგზედ არის. მკვდარი მოდის მოძრაობაში, დგება ფეხზედა, უყურებს ქვეყანას და აღთქმას სდებს იმუშაოს დღე-და-ღამე, რომ დაეწიოს დაკარგულს დროს. სულის შემხუთავი ჰაერი, რომელიც მას გარშემოერტყა, ნელ-ნელა ჰქრება ამომავალის მზის შუქზედ... მითხარით ერთი, გეთაყვა, რითი აღსნით ამ ნაციონალურს მოძრაობას? ნუ თუ მარტო გარეგანის საქმით, როგორც მაგალითებრ იმით, რომ 1860 წელს დაბრუნდა რუსეთიდამ საქართველოში რამდენიმე ქართველი განათლებული ყმაწვილი-კაცი, რომელნიც სცხოვრობდნენ რუსეთის სატახტო ქალაქში, ამ ქვეყანაში შესანიშნავ მოძრაობის დროს? ნუ თუ იმითი, რომ ამ განათლებულთ ყმაწვილ-კაცთ, აღტაცებულთ მამულის სიყვარულით, დააარსეს ჟურნალ-გაზეთები, გამოსცეს წიგნები და სხვ. ეს ხომ მხოლოდ ფაქტია და არა აღსნა მისი.

ჩემის აზრით, მიზეზი სრულიად სხვა არის. წარსულს საუკუნოებიდამვე რუსეთის დაახლოვებას საქართველოსთან არ შეიძლებოდა არა ჰქონოდა გავლენა ჩვენის ხალხის ცხოვრებაზედ. უწინდელი წარმოების ფორმები გაჰქრენ, ახლები დაიბადნენ; ძველი ცხოვრების მატერიალური პირობანი შეიცვალნენ, ხალხის მიერ უცნობის პირობებით. თქვენ, რასაკვირველია, უარს არა ჰყოფთ, რომ რუსეთმა ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში ახალი ელემენტი შემოიტანა, რომელიც წინად არ იყო, რისგანაც წარმოებრივნი ურთი-ერთობანი ხალხისა ძლიერ შეიცვალა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში გლეხთა შესახებ რეფორმები მოხდა. ცვლილებამ იწარმოვა და ძველი წესები დაირღვა. და რადგანაც ცვლილება ბევრჯელ ხალხის სასარგებლოდ არ არის ხოლმე, ამისათვის ხალხი დიდ სიღარიბეში ჩავარდა, _ ეს ერთი. მეორეს მხრით, ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ახალმა წყობამ მოიყვანა მოძრაობაში თვითონ ხალხიც, რომელმაც ამ საზოგადო მოძრაობას დასდო თავისი ფერი და სიცხოველე. ეს მოძრაობა იყო ხალხში ახალი ეკონომიურის პირობების შემოტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსათვის

მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ. საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა, იგინი გამოიწვია დრომ და არა მათ დრო. ვგონებ, მათის თავ-მოყვარეობის საწყენს არაფერს ვამბობ: ეს ყველგან ასე იყო და ასეც იქნება. მე უარს არ ვყოფ მათს გავლენას ჩვენი ქვეყნის საქმეების მიმდინარეობაზედ, არა, იმათ მისცეს მიმართულება და სახე მოძრაობას. იმათ აუგზნეს ნაციონალური გრძნობა ხალხის დაწინაურებულ წოდებათა, თუმცა თვითონ ისინი იყვნენ ეკონომიურის ცხოვრების შეცვლის მიზეზნი, მათის მოღვაწეობის წყალობით, მათის დაუღალავის და კეთილშობილურის მუშაკობის მეოხებით, მოძრაობას ფერი დაედო; მაგრამ... გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ცოტა არ იყოს იმათივე მოქმედების წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთ-გვარი ხასიათი, მეტის-მეტი ნაციონალურის, მეტის-მეტი _ თუ შეიძლება ასე ვსთქვათ _ კულტურული და მხოლოდ მცირედ _ ხალხური. მოძრაობის ამისთანა მიმართულებამ არ შეიძლება არ შეაწუხოს და არ დააღონოს ჭეშმარიტი მამულის შვილნი და გულ-წრფელნი მოსურნენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისა.

2

თქვენი მოქმედება, ბატონებო, ძლიერ პატივსაცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია. ჩვენც თანაუგრძნობთ მას, მაგრამ ამასთანავე ჩვენის მხრით დიდი უზრდელობა იქნებოდა თქვენი წმინდა განზრახვათა წინაშე _ დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულით და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნებად არ მიგვაჩნია. ღაღადება სკოლებში ქართულის ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართულის თეატრის გამართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენი ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვა და სხვა. და ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგნებზედ გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და ამასთანავე კმა-ყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაებზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებული... ეს მიუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთ წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც კი სურს შეიქმნას ჭეშმარიტი გამომეტყველი და წარმომადგენელი თავის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებლობით უქცევს გზას ეკონომიურის საგნების ახსნას და გადაწყვეტას, რომლების გამოსარკვეველათაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა. მე ცოტა არ არის მრცხვენიან, რომ ამისთანა ანბანურ ჭეშმარიტებათა დასამტკიცებლად ამდენს ხანს გებაასებით, რადგან მათ უცოდინარობას მე თქვენ ვერ დაგწამებთ. მე კარგად ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი იმდენად განათლებულია და იმდენად მცოდნე საზოგადოებრივ საგნებისა, და ვალდებულიც არის იყვეს მცოდნე, რომ ადვილად დათანხმდება ჩემს დედა აზრზე.

აი ამისათვის მუდამ გვაოცებდა და გვაკვირვებდა ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაში სრულიად ვერა ვპოულობდით პოლიტიკო-ეკონომიურს სტატიებს. ჩვენ ხშირად შევხვედრივართ ჩვენს მწერლობაში სამეცნიერო სტატიებს და პოლიტიკურის ხასიათის წერილებს, რომელთ საგნად ყოფილა გარეგანი პოლიტიკური ცხოვრება და ლიტერატურა ევროპისა და რუსეთისა, მაგრამ სრულებით არ გვინახავს არამც თუ მსჯელობანი ეკონომიურს საგნებზე, არამედ

ზოგად ფილოსოფიურს1 სტატიებსაც არ შევხვედრივართ ცხოვრების რომელსამე სათვალსაჩინო მოვლენაზედ. და ეს გარემოება მაშინ შეინიშნება, როდესაც ჩვენის აზრით, ყველაზედ მომეტებული ალაგი ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში უნდა ეჭიროს ნიშანდობლივ ამგვარ სტატიებს. თქვენ თითქო განზრახ სტოვებთ უყურადღებოდ, ეკიდებით გულ-გრილად ვრცელს ნაწილს და სფერას ხალხის ცხოვრებისას და გაჰყოლიხართ მსჯელობას უნაყოფო პოლიტიკურს საგნების შესახებ ერთსა და იგივე უცვალებად თემაზე: ევროპულ მინისტრების ცვლილებაზედ და დაუსრულებელს ლიტონ დებატებზედ იქაურ სახელმწიფოთა კონსტიტუციურს პალატებთა შინა. ის კი არა თუ ეკონომიურ ტკივილების მოშორებაზე და ეკონომიურ სენთაგან განთავისუფლებაზეა დამოკიდებული ჩვენის ხალხის კეთილ-დღეობა და დოვლათი.

მაგრამ, ცხადია, რომ არ შეიძლება განკარგებაში და გაუკეთესობაში შევიყვანოთ ის, რის გაგება და ცნობა არა გვაქვს, არ შეიძლება რეფორმა მოახდინო რომელსამე საზოგადოებრივ ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გამოურკვეველი. ამისათვის არის საჭირო სვინდისიერი და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამ გვარს შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დაასკვნა ესა თუ ის დედა-აზრი, გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარიტი, რომლის შემწეობით შესაძლებელ-იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დამაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირვების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდად. მართლაც, ვიცით განა, ცოტად მაინც წესიერად, ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა? შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესი მიზეზნი წუხილისა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტის-მეტი უარარაობაა ჩვენში შესახებ იმ გვარ წყაროთა და მასალათა, რომელთ შემწეობით შეიძლებოდეს მტკიცედ _ მეცნიერულად აღიარებულ და დადგენილ იქმნას, რომ აი, ასეთი და ასეთია თანამედროვე მდგომარეობა ჩვენის ეკონო-მიურის ცხოვრებისაო. ჩვენში არ არსებობს არც კერძო ადგილობრივი გამოკვლევანი, არც სტატისტიკური შრომანი და, დასასრულ, არც ოფიციალურნი, მმართველობის მიერ გამოქვეყნებულნი ცნობანი, _ და მაინც და მაინც ჩვენ ამაყად და დარბაისლურად გამოვდივართ საასპარეზოდ საზოგადოებრივის მოღვაწეობის სარბიელზე, და ვგონებთ, რომ საქმეს იოლად წავიყვანთ, დიდი ცოდნაც რომ არა გვქონდეს, რომ საკმარისია მხოლოდ კეთილ-შობილური წადილი და ახირებული თავ-გამოდება! ვინც როგორც უნდა ჰფიქრობდეს ეკონომიურის საგნების მნიშვ-ნელობის შესახებ, მაინც უეჭველია ყველა დამეთანხმება, რომ ამ გვარ თუნდ სრულიად შემუშავებელ მასალის გარეშე, ყოველი ჩვენი დაწყობილობა და მეცადინეობა, ჩვენი განზრახულება და იმედები ფუჭად ჩაივლის, უნაყოფოდ განჰქრება და ნამდვილს ნიადაგზე არ იქმნება დამყარებული. ბოლოს და ბოლოს მაინც საჭიროა რამეზედ დაამყაროს, დააფუძნოს კაცმა თავისი მოსაზრებანი, თორემ ხელში არა დაგვრჩება რა. მერე რა თავსატეხი და ბრძნული საქმე არის შეგროვება და შეკრეფა შემუშავებულ ფაქტებისა, სტატისტიკურს ცნობათა, რომ არ გამოჩნდეს ამ საქმისათვის საკმარისად მოხერხებული და გამოსადეგი კაცები. აქ არ არის საჭირო არც ყოვლად ღრმა და დიდი ცოდნა, არც განსაკუთრებითი ნიჭი, _ საჭიროა მხოლოდ მოთმინებით იშრომოს კაცმა და კეთილ-სვინდისიერად მოეპყრას საქმეს. პირველად შეიძლებოდა მოგვეხერხებინა და გვეთხოვნა ოფიციალურად, რომ დაწესებულიყო ჩვენში სტატისტიკური კომიტეტი, რომელიც

მიჰყოფდა ხელს საჭირო მასალათა შეკრებას და მათ დალაგებას, რიგიანი წარმატება და მიმართულება სტატისტიკურის კომიტეტის შრომისა, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება იმ პირთაგან, რომელნიც შეადგენენ კომიტეტს; ამისათვის საქმის კეთილ-მსვლელობის გულისათვის საჭიროა, რომ მასში მოჰყვნენ სრულის წრფელობით და სულითა და გულით მოყვარენი კაცნი სახალხო საქმისა. მეორედ, ქალაქების რჩევათ შეეძლოთ მოეწყოთ და მოეგვარებინათ შეკრება და გამოქვეყნება ყოველგვარ ცნობათა ქალაქის მცხოვრებლების შესახებ. მესამედ, ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებს თავიანთ მხრით შეეძლოთ, აგრეთვე, მრავალის სასარგებლო და ძვირფასის მასალის შეკრება და გამოქვეყნება ცნობათა მამულებზედ და სამიწაწყლო ურთიერთობაზედ, თუ მოხერხებით და ენერგიულად მოეჭიდებოდნენ საქმეს. კერძოობით რომ ვილაპარაკოთ, მათ შეეძლოთ გაეგოთ, რაოდენი მიწაა თავად-აზნაურთა მფლობელობაში, აგრეთვე სხვა წოდებათა ხელში, გარეშე გლეხთა წოდებისა, რომელთანაც მათ ვგონებთ, არავითარი პირ-და-პირი კავშირი არა აქვთ; მათ შეეძლოთ შეეკრიბათ ძრიელ საჭირო ცნობანი მებატონეთ მეურნეობაზე და ხვნა-მთესველობაზე გლეხთა რეფორმის შემდეგ, აგრეთვე ცნობანი საადგილ-მამულო ურთიერთობაზედ გლეხთა და მათ ნაბატონართა შორის და სხვა მრავალი ამ გვარი, თუ კი მათი ნება და სურვილი იქნებოდა. მეოთხედ, კერძო პირთ და დაწესებულებათ, «დამზოგველ ამხანაგობის» მაგგვართ, რომელნიც ვინ იცის რისთვის და ვისთვის ფუძნდებიან ჩვენში, შეეძლოთ აგრეთვე არა მცირედი დახმარება აღმოეჩინათ ამ გვარ საქმისათვის. ამასთანავე სოფლის მასწავლებელთ, სამაზრო და საგუბერნიო ადვოკატებს, განათლებულ მებატონეებს, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ და საზოგადოთ ყველას, ვინც ასე თუ ისე ხალხთან დაახლოებულია, შეეძლო დიდის მოხერხებით მიეყო ხელთ თუნდ ნაწყვეტ-ნაწყვეტის და არა სრულის ცნობების შეკრებისათვის ხალხის ცხოვრების სხვა-და-სხვა კერძო საგნების შესახებ.

ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს საქმის სიძნელემ. მართალია, პირველხანობით და ერთბაშად საქმე კარგად არ წავა, _ საჭირო იქნება დიდი ცდილობა, დიდი შრომა, მაგრამ თუ მედგრად და გულს-მოდგინეთ გამოვეკიდებით ერთხელვე წინ წამოყენებულს საგანს, უთუოდ ჩვენ ჩვენსას გავიტანთ. პირველად ჩვენი ცდა, უეჭველია, მოუხერხებელი ცდა იქმნება, ჩვენი ნამუშავარი არა-დალაგებული, მაგრამ ყოველს საქმეში დაწყებაა საძნელო. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ მსურველთ შეუძლიანთ მრავალი სასარგებლო ჩვენება და საგულისხმიერო ხელმძღვანელობა ჰპოვონ რუსულ სტატისტიკურ გამოკვლევათა გადათვალიერებით (მშვენიერი გამოკვლევანია პროფესორის იანსონის გამოკვლევანი) და უფრო მომეტებულად _ რუსულ თემობისა და ერობის სხვა-და-სხვა სტატისტიკურს განყოფილებათა ნამუშევარის გადაშინჯვით. მაგ. ნაშრომი და ნაღვაწლი მოსკოვისა და ჩერნიგოვის ერობის სტატისტიკურ განყოფილებათა ჩაითვლება სწორედ სამაგალითო ნიმუშად ცნობათა შეკრებისათვის; მათივე გადათვალიერებით მოიპოვებს კაცი საჭირო თეორეთიკულ და ხელ-მძღვანელ აზრებს სტატისტიკურის მუშაობის მეტოდების შესახებ. შემდეგ შეიძლება ისარგებლოს კაცმა ამ საქმის ტეხნიკურის მხარის გასაცნობად და ნიმუშად იქონიოს დაწვრილებით შედგენილი პროგრამები ცნობათა შესაკრებად რუსულს ობშჩინაზე, გამოცემული რუსეთის «თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებისაგან» და სხვა კერძო პირთაგან (მაგ. ქალის ეფიმენკოსაგან, ბ. ტრირიოგოვისაგან). მაგრამ

უფრო ძვირფასია და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ბ. ტრიროგოვის მეტოდი გამოკვლევისათვის ეკონომიურ ცხოვრების მოვლენათა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იგი იღებს თავის დაკვირვებასა და მოსაზრებათა საფუძვლად განკერძოებულს და დამოუკიდებელს მეურნეობას გლეხისას და ჰყოფს გლეხობას რამდენსამე კატეგორიად და ჯგუფად მეურნეობრივის მოწყობილობის და შეძლებულობის მიხედულობით. ერთის მხრით იგი უყრის თავს ერთ ჯამში ყოველს შემოსავალს, ხოლო მეორეს მხრით, ერთად გამოჰყავს უსაჭიროესი და აუცილებელი ხარჯი და ამ სახით ზედ-მიწევნით დაახლოვებულად და საგულის-ხმიერო თვალ და თვალობით აჩვენებს მკითხველს მეურნეობრივის შემოსავლის და დანახარჯის სიას (ბიუჯეტს) გლეხისას. ხოლო ამ გარემოებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უადვილებს კაცს ცხადად და გარკვევით წარმოიდგინოს და შეიგნოს, რა მეურნეობრივი ძალა აქვს ხალხს და რა გვარად აწარმოებს მას (იხ. მრავალი სტატიები ამ საგანზედ ჟნტხტცნ& პფგ& და სხვა ჟურნალებში). მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ საჭიროა მხოლოდ თანხმობით და კეთილ-სვინდისიერად მოვკიდოთ საქმეს ხელი. თორემ მის აღსრულებისათვის გზა გამოჩნდება და დაწვლილებითნი კერძოობანიც შემუშავდება ცნობათა შესაკრების პროგრამისა. ხოლო მე ჩემის მხრით ამ წერილში ერთი შემიძლიან მოვახერხო. მე შემიძლიან მხოლოდ აღვნიშნო ის საგნები, რომელნიც, ჩემის ფიქრით, უფრო საყურადღებონი და უფრო ღირსნი არიან გამოკვლევისა. მე ფიქრათაც არ მამდის, რომ შევიძლებ პროგრამის შედგენას და მის გამოქვეყნებას საყოველთაო სახმარებლად. ეს მე არ შემიძლიან მოვახერხო. მე მხოლოდ, ვიმეორებ კიდევ, მკრთალად ვსახავ იმ უფრო საყურადღებო საგნებს, რომელთაც მხარს ვერ აუქცევენ საზოგადოებრივი მოღვაწენი, უკეთუ მათ ჰსურთ გამოიკვლიონ და შეიმუშავონ მეცნიერულ საფუძველზედ დამყარებული პროგრამა მოქმედობისა. თუ მე გამოვსტოვე რამ, ან ვერ შევნიშნე და შესაბამი ყურადღება ვერ მივაქციე, თქვენ, ეჭვი არა მაქვს, შეავსებთ ნაკლს, გამისწორებთ შეცდომას. მხოლოდ ამ გზით, ურთიერთ შეცდომათა გასწორებისა და ურთი-ერთ აზრის შევსებისა და განმარტებისა, შეგვიძლიან სწორედ და სამართლიანად გადავწყვიტოთ ჩვენი სადღეისო და არსებითი საგნები.

პირველი საგანი, რომელსაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს, არის შემდეგი.

I. რა ცვლილებანი იქმნენ შემოტანილი რუსეთის მიერ ქართველ ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაში ამ თითქმის ასის წლის დამოკიდებულების დროის განმავლობაში, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შემოტანილ იქმნა თუ არა რუსების მიერ ჩვენს ცხოვრებაში რომელიმე ხალხის განმანათლებელი დაწყობილება და წესი. როგორი ხასიათი ჰქონდა უმთავრესად რუსეთის მთავრობის საეკონომიო და საფინანსო ზომიერებათ, შესახებ ჩვენის ქვეყნისა, მის მფლობელობის სხვა-და-სხვა დროს კავკასიაში?

როგორ იმოქმედა ხალხის ეკონომიურს მდგომარეობაზე საგლეხო რეფორმამ? (მეტად საჭიროა შედარებითი შესწავლა ეკონომიურის წესწყობილებისა, რომელიც არსებობდა რეფორმამდე და რომელიც სუფევს დღეს). რა გვარი ახალი ეკონომიური ურთიერთობა დამყარდა რეფორმის გავლენის ქვეშ? როგორ აღსრულდა და ხორც-შესხმული იქმნა რეფორმა ფაქტიურად? რა მიმართულებისა და ხასიათისა იყო სხვა-და-სხვა მთავრობის ზომიერება, გამოცხადებული

დასამატებლად და შესავსებლად რეფორმისა? რაოდენი მიწა აქვს ეხლა გლეხს ნამდვილად? თითოს სულზე რამდენი შეხვდება?

რაოდენათ გაცუდდა მებატონეთ და საზოგადოთ თავად-აზნაურთა მეურნეობა რეფორმის გამო? როგორი ურთი-ერთობა დაარსდა გლეხთა და ნაბატონართა შორის ამ უკანასკნელს დროს? რითი სჩანს, რომ ასეთია და არა ისეთი მათ შორის ურთიერთობა? რადგან მებატონეს მოაკლდა მუქთი შრომა გლეხისა, შემცირდა თუ არა მისი ხვნა-თესვა და მამულები და არა მისი მარტო, არამედ საზოგადოთ თავად-აზნაურობისა? თუ თავად-აზნაურობა ცდილობს მიწადმოქმედობაში გამოიყენოს საუკეთესო სამეურნეო იარაღები და შეიტანოს რიგიანი წესები? ვის ხელში გადადის თავად-აზნაურობისაგან გასყიდული მიწა და მამულები _ მხვნელ-მთესველ გლეხებისა, თუ სხვა წოდების ხალხთა ხელში? რას უშვრებიან მიწებს იმისთანა მყიდველნი, მაგ., როგორც ვაჭრები და ხალხის სხვა-და-სხვა მცარცველნი არიან _ (რა ტომს ეკუთვნიან მომეტებულად ეს უკანასკნელნი)? თავათ მისდევენ ხვნა-თესვას და დამოუკიდებელ მიწადმოქმედებას, თუ მიწას გლეხებს აძლევენ იჯარით და საღალოდ? უკანასკნელს შემთხვევაში რაოდენია ხოლმე ღალა? ფულით იხდიან ამ ღალას, თუ პირ-და-პირ მოსავლითაც?

ამ საზოგადო საგნებიდამ გადავიდეთ ახლა კერძო საგნებზე, რომელნიც პირველთაგან მომდინარეობენ.

მაგრამ რომ არ დავიბნეთ და გზა არ დავკარგოთ სხვა-და-სხვა და მრავალ-გვარ ეკონომიურ მოვლენათა შორის, საჭიროა გამოკვლეულ იქმნას მთავარი საფუძველი, რომელზედაც შეიძლებოდეს მტკიცედ დამყარება. ჩემის აზრით, უფრო გამოსადეგი და მოხერხებული გზა გამოკვლევათათვის არის ის გზა, ანუ მეტოდი, რომელსაც მისდევს თვით ხალხი, ე. ი. იგი ჯერ მარტივს იკვლევს და მერე რთულს, ჯერ კერძოს და მერე საზოგადოს. ჩვენ უნდა ავიღოთ გამოკვლევისათვის დამოუკიდებელი კერძო მეურნეობა მიწად-მოქმედისა, უკეთუ სამიწათ-მოქმედო წარმოების ანგარიში და მდგომარეობა გვსურს შევიტყოთ, ანდა ცალკე ხელოსნის მუშაობის ანგარიში უნდა შევიტყოთ და გამოიკვლიოთ, თუ გვსურს მრეწველობის ვითარების შეტყობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიმუშად უნდა იქმნას აღებული ტიპიური დამოუკიდებელი მეურნეობა და აღიწეროს ვრცლად და დაწვრილებით ყოველმხრივ. 1-ლად, ცნობაში უნდა იქმნას მოყვანილი, რაოდენი მიწა აქვს გლეხს, 2. მუშა საქონელი რამდენი ჰყავს, 3. სამეურნეო იარაღების ნაკლებობას ხომ არა გრძნობს, 4. რამდენი კაცი წაღმართობს ამ მეურნეობაში, გუთნის დედაა თუ მეხრე და სხვა. შემდეგ უნდა დამტკიცდეს, რა თვისებისა და ნაყოფიერებისაა მიწა და რა მოსავალს იძლევა. მერე სრული შემოსავალი უნდა იქმნას გამოანგარიშებული და პურის რაოდენობით გამოიხატოს ეს შემოსავალი. უნდა იქმნას ნაჩვენები: რა წილი მიდის ამ პურისა სახელმწიფო ხარჯის გასასტუმრებლად, რა წილი ეძლევა ვალში, რამდენს ჰყიდის ნაღდ ფულზე და რაღამდენი რჩება შემოსავლიდან თავად მხვნელ-მთესველს თავის საკუთარის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ დარჩენილს შემოსავალს უნდა მოაკლდეს კიდევ მისი შრომის ფასი და გამოირიცხოს აგრეთვე სათესლე. რაც დარჩება, ის იქნება გლეხის წმინდა შემოსავალი და ცალკედ გამოიხატება. შეიძლება ძირს არცა რა დარჩეს რა, ან მოგების მაგიერად წაგება ენახოს და ვალი თავს დასდებოდეს. ესეც აღინიშნება და ცალკედ გამოიხატება. რასაკვირველია, ამ გვარად შევიძლებთ ცხადათ დავინახოთ რამდენად სასარგებლოა გლეხისთვის დამოუკიდებლის მეურნეობის და ხვნა-თესვის

წარმოება, ან რა მსხვერპლს ითხოვს მისგან მისი სურვილი, რომ უსათუოდ აწარ-მოებდეს ამ საქმეს დამოუკიდებლად, ამ გვარსავე გამოანგარიშების გზას უნდა ვადგეთ დამოუკიდებელის ხელოსნის შრომის გამოსაკვლევად, მაგრამ, რასაკვირველია, ასე ვერ მოვიქცევით ქარხნის მუშის შესახებ, იმიტომ რომ იგი წარმოადგენს არა დამოუკიდებელს პატრონს საქმისას, არამედ დაქირავებულია ქარხნის მეპატრონისაგან, ან მის ნებაზეა დამოკიდებული, ან და მის ნებაზედაც და იმაზედაც, თუ როგორ ფასობს მუშა კაცი დღიურად.1

გადავიდეთ ახლა სხვა საგანსა და კითხვებზედ. ჯერ პირველად კი ჩვენში მიწის მფლობელობის სხვა-და-სხვა ფორმებს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

II. რომელი ფორმა მიწათ-მფლობელობისა უფროა გავრცელებული ქართველ ხალხში? არსებობს თუ არა საერთო მამულის მფლობელობა? რაში გამოიხატება იგი? რა-და-რა ალაგას, რომელს მხარეში უფროა იგი აღორძინებული და მომეტებულად გავრცელებული? უკეთუ საერთოდ მიწის მფლობელობა არ დაცულა და არ შენახულა წმინდათ, რომელი მისი კერძო მხარე მაინც გადარ-ჩენილა, არ დარღვეულა და არსებობს კიდევ? ჰფლობენ გლეხნი საერთოდ საძოვრებს, საბალახეებს, სათივეებს და ტყეს, თუ განაწილებული აქვთ ესეები კომლობრივ? თუ სადმე არსებობს საერთოდ მამულის მფლობელობა, რა გვარად და რა ხერხით ანაწილებენ მიწას გლეხნი ურთიერთ შორის? (უნდა აღიწეროს ვრცლად და ნათლად, როგორ სწარმოებს ეს განაწილება). მთლად მიწა იყოფა რამდენსამე ნაჭრად ნაყოფიერობის მიხედვით და ყოველს გლეხს ეძლევა სხვა-და-სხვა ნაჭრის ნაწილი, თუ სხვაფრივ? ხშირია განაწილება მიწისა, თუ ერთხელ განაწილებული რამდენსამე ათსა და ოცს წელიწადს გრძელდება და მერე ისევ ხელმეორედ ანაწილებენ? საზოგადოდ, რაში მდგომარეობს გარჩევა და მსგავსება ქართველის ხალხისა და რუსეთის ხალხის საერთოდ მიწად მფლობელობას შორის, ან ჩვენსა და რუსულს ობშჩინას შუა? ვინ და როგორ მოარიგებს ქონებრივის უთანხმოების და დავის დროს მიწის ერთად მფლობელთა? როგორი ურთი-ერთობა არის დამყარებული საერთოდ მიწათ-მფლობელთა თემებს შორის, ანუ ობშჩინებს შორის. აქვთ ხოლმე თუ არა ორსა და სამს თემს ერთად საერთო მფლობელობაში ან სათივე, ან ტყე?

არსებობს თუ არა ერთობლივი შრომა, ე. ი. არის ხოლმე შემთხვევა, რომ საერთოდ მოხნას თემმა ან რამე მოინაღვაწოს საერთოდ მოსახმარებლადვე? ანუ სხვა სიტყვით: ხომ არ მოხდება ხოლმე, რომ სათემო კაცებმა ერთად გასთიბონ, ვსთქვათ, სათივე და მერე გაინაწილონ მათვე, როგორც შრომაში მონაწილეებმა? განაწილების საფუძვლად რა მიაჩნიათ? უკეთუ არაფერი ესეები არ არსებობს, მაშინ როგორ უცქერის გლეხობა ამ გვარს წესებს? არ მოსწონთ და ეჯავრებათ ამ გვარი წესები, როგორც წინააღმდეგნი მათ ზნისა და ცნება-წარმოდგენისა, თუ მოსწონთ, მაგრამ ჰგონიათ მაგგვარ წესებს ვერ ვაწარმოებთო?

III. დიდი და მძიმეა ხალხის ხარჯი და გადასახადი? შეუძლიან თუ არა გლეხის მიწის შემოსავალს გაისტუმროს ყოველი ხარჯი გლეხის მეურნეობისა და ოჯახისა, ამ ხარჯში რომ სახელმწიფო გადასახადიც ჩავაგდოთ? უკეთუ გლეხს თავისი საკუთარი მიწა არ ჰყოფნის, სად შოულობს მას და რა პირობით? რა გვარ დამოკიდებულებაში ვარდება გლეხი მიწის ნაკლებობისა გამო თავის ნაბატონარისა თუ მიწათმფლობელის მიმართ? უფრო განვითარდა და მაღალს ხარისხზედ აიწია მიწათმოქმედების და ხვნა-თესვის წარმოებამ გლეხებში, თუ უფრო დაეცა ეს უკანასკნელი წინა დროსთან შედარებით?

IV. ხშირად ჰყიდიან გლეხები თავიანთ მიწებს და ვის ხელში გადადიან ეს მიწები? რა მიზეზები აიძულებს გლეხებს მამულების გაყიდვას? რა გავლენას ახდენს გლეხობაზე ყიდვა ვაჭრების მიერ გლეხების და თავად-აზნაურების მამულებისა?

V. რამოდენათ ფასობს გლეხის დღიური სამიწათმოქმედო შრომა? ხშირად შოულობს იგი ამ გვარს სამუშაოს, თუ არა? რომელნი გლეხნი უფრო ჰკიდებენ ხელს ამ შრომას: მარტო ისინი, რომელთაც მიწა ხელიდგან გამოეცალათ, თუ ისინიც, რომელნიც გრძნობენ მიწის ნაკლებობას? გავრცელებულია, თუ არა გლეხის გადასვლა სხვაგან სამუშაოდ და რა მსგავსებაა ამ მხრივ რუსისა და ჩვენს გლეხს შორის.

VI. რა გვარ შრომას მისდევს კიდევ ჩვენი გლეხი, სამიწათმომქმედო შრომის გარდა, თავის საჭიროების და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და სახელმწიფო ხარჯის და გადასახადის გასასტუმრებლად? მისდევს თუ არა ჩვენში გლეხობა სოფლად ხელოსნობას? რამდენად შველის ჩვენს გლეხობას ეს ხელოსნობა, რომელსაც იგი ახმარებს თავის თავისუფალ დროს. თუ არიან სოფელში ისეთი ხელოსნები, რომელნიც საკუთრად ამ ხელოსნობით სცხოვრობენ? თუ არსებობს ეს ხელოსნობა _ სად უფრო გავრცელებულია, სოფლად თუ ქალაქში? აქვთ თუ არა ამ ხელოსნებს საჭირო თანხა, საკუთარი იარაღები წარმოებისა, თავიანთ საკუთარ ფულით ჰყიდულობენ საჭირო მასალას თავის ხელობისათვის, თუ წურბელა-ვაჭრებთან იჭერენ საქმეს და იგინი ყველა ამ მასალით ხელს უმართავენ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა პირობით შეეკვრიან ხოლმე ერთმანეთს? როგორ ასაღებენ ხელოსნები თავიანთ ნაწარმოებს: პირ-და-პირ ჰყიდიან მომხმარებელთ, თუ ისევ ის წურბელა ვაჭრები შუამავლობენ მწარმოებელთ და მომხმარებელთ შორის? თუ არსებობს ეს შუამავლობა, რამდენად საზარალოა ან სასარგებლო ხელოსნისათვის? რაოდენად ძლიერია ეკონომიური დამოკიდებულება ხელოსნისა ვაჭრისაგან და როგორ გამოიხატება იგი? აქვს ხელოსანს იმოდენა შემოსავალი, რომ გასწვდეს თავის საჭიროებას?

VII. როგორი მოწყობილობა აქვს ჰამქრობას ქალაქებში? როგორ შეიცვალა ეს მოწყობილობა ცხოვრების ახალ ვითარებათა გავლენის ქვეშ? რაოდენობა ხელოსნებისა, რომელნიც შეადგენენ სხვა-და-სხვა ჰამქრობას. რა-და-რა გვარი შრომისა და წარმოებისათვის მოუკიდნიათ ხელი ჰამქრებს? სდგებიან თუ არა ახალი ჰამქრობანი ეხლა? თუ სდგებიან _ რა წესით? რა გავლენა აქვთ მათ ხელოსნობის მდგომარეობაზედ?

VIII. არსებობს თუ არა ჩვენში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა? რიცხვი ფაბრიკებისა და ქარხნებისა. მათ მიერ წარმოების რაოდენობა. რომელი ნაწილი მრეწველობისა უფრო სწარმოებს ამ ფაბრიკებში და ქარხნებში? როგორის თან-და-თანობით გადადიოდა სხვა-და-სხვა ნაწილი მრეწველობისა ფაბრიკებში და ქარხნებში? სად უფრო გახშირებულია ჩვენში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა და ვის ხელშია იგი? სად საღდება განსაკუთრებით ამათი ნაწარმოებნი. საღდება თუ არა იგინი გლეხობაში? საღდება თუ არა ეს ნაწარმოებნი სამზღვარს გარეშე?

რა სახით უფრო სწარმოებს მუშაობა ფაბრიკებში, ხელითა თუ მაშინითა? რომელ ფაბრიკებში მუშაობენ მაშინით?

ვისგან შესდგება მუშა ხალხი ფაბრიკებში _ ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებთაგან შესდგება იგი? თუ ზოგი ნაწილი მუშებისა სოფლელები არიან _ სახელდობრ, რომელნი გლეხნი მიდიან მუშათ, ისინი, რომელთაც მამული არა

აქვთ, თუ ისინი, რომელთაც თუმც მამული აქვთ, მაგრამ სამუდამოდ მუშათ იქ არ რჩებიან, მხოლოდ დროებით სარგებლობენ ფაბრიკით ხელის მოსანაცვლებლად? რამდენი არიან რიცხვით ფაბრიკის მუშები? დიდი მოთხოვნილებაა და ძლიერ უჭირთ თუ არა ფაბრიკისა და ქარხნის პატრონებს შრომა? ბევრნი არიან მოკლებულნი სამუშაოს? რა ფასი ეძლევა ფაბრიკის მუშებს დღეში? რამდენს ხანს მუშაობენ დღეში? მუშაობენ თუ არა დედა-კაცები და ბავშვები ამ ადგილებში? რამდენად ნაკლებია ამათი შრომის ფასი კაცისაზე? რამდენად წესიერად არის მოწყობილი ფაბრიკა და ქარხანა ჯანმრთელობისათვის? არსებობს თუ არა თანხმობა და კეთილი ურთიერთობა მუშებსა და პატრონებს შორის? მოხდება ხოლმე მათ შორის უთანხმოება და რა მიზეზით?

IX. არსებობს ჩვენში უბინაო და უსახლ-კარო ხალხი (პროლეტარიატი) და თუ არსებობს, სად უფრო მოიძებნება იგი, სოფლად თუ ქალაქებში? საიდგან იკრეფავს თავს ეს ბოგანო ხალხი? რა მიზეზია პროლეტარიატის არსებობისა? დიდია თუ არა რიცხვი ამ გვარის ხალხისა? რამდენ პროცენტს შეადგენს იგი სრულიად მცხოვრებლებისას? რა გვარ მუშაობას მისდევენ?

X. დიდი აღებ-მიცემობა აქვს თუ არა ქვეყანასა საზოგადოთ? უფრო რა გვარს აღებ-მიცემობას მისდევენ მცხოვრებელნი? გადის თუ არა საზღვრებს გარეთ საქონელი, რომელი და რამდენისა, სახელდობრ? საითკენ უფრო გააქვთ? ვის ხელშია შინაგანი და გარეშე აღებ-მიცემობა? რაში გამოიხატება ეკონომიური როლი და მნიშვნელობა სომხებისა და ურიებისა? სად უფრო მომეტებულად მოქმედობენ ესენი, სოფლად თუ ქალაქ ადგილს? როგორ უყურებს მათ ქართველი ხალხი და რა ურთიერთობაშია მათთან?

XI. რა გვარი საშუალებანი და საღსრები არსებობენ გაცვლა-გამოცვლისა და აღებ-მიცემობისა ჩვენს ქვეყანაში? ბევრია თუ არა საკრედიტო დაწესებულებანი? _ რაში გამოიხატება მომეტებულად და უმთავრესად მათი მოქმედობა და რაოდენ სესხს და ფულს აწარმოვებს. ვის უფრო ეხმარებიან და აღმოუჩენენ თავიანთ შემწეობას ეს დაწესებულებანი? არსებობს თუ არა გლეხობისათვის კრედიტი და სესხი. ან შესაძლებლად მიაჩნია მას ისარგებლოს ეხლანდელ საკრედიტო დაწესებულებათა სესხით? რა ზედმოქმედებას იჩენენ საზოგადოთ საკრედიტო დაწესებულებანი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებაზე?

ეკონომიურ მოვლენათა გამოკვლევასთან ერთად ძლიერ საჭიროა როგორც მეცნიერულის მხრივ, აგრეთვე პრაქტიკულის მხრითაც, შესწავლა ხალხის ყოფა-ცხოვრებათა.

XII. რა ხასიათი აქვს ხალხის საოჯახო ურთიერთობას? _ წევრნი ოჯახისა ყველანი თანასწორის უფლების მექონენი არიან, თუ რომელიმე წევრთაგანი, უხუცესია და უმფროსია იგი თუ არა, მაინც ბატონობს ოჯახში, თავობს და იმორჩილებს ოჯახის სხვა წევრთ? როგორ და რაში გამოიხატება უფლება მემკვიდრეობისა, რა გვარია როლი დედა-კაცისა ანუ ქალისა ოჯახობაში და მეურნეობაში?

XIII. ხალხის იურიდიული შეხედულებანი რაში მდგომარეობენ? რამდენად ემზგავსებიან ან განირჩევიან იგინი განათლებულ და კულტურულ წოდებათა იურიდიკულ შეხედულებათაგან? იყო რამე გარჩევა უწინ, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ამ შეხედულებათა შორის ერთის მხრით ხალხისა და მეორეს მხრით მეტის უფლების მექონეთა? რაში სჩანს ეგ გარჩევა ეხლა, როცა

ჩვენში შემოღებულ იქმნა ახალი, ხალხისთვის უცნობი იურიდიკული დაწესებულებანი?

XIV. რა დასაბამი და რა საფუძველი მიაჩნია ხალხს ქვაკუთხედად თავის ცხოვრების ურთი-ერთობისათვის. ამ დასაბამად და საძირკვლად ყოველისა და ყოვლისავე შრომა ჰგონია და მიაჩნია ხალხს თუ სხვა რამე? როგორი შეხედულება აქვს ხალხს საკუთრების უფლებაზე.1

XV. როგორ და რაში გამოიხატება საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეროვნული ლტოლვილებანი ხალხისა? რაში მდგომარეობს საზოგადოთ ხალხის გონებრივი ვითარება და სულის წუხილი? _ როგორ და რაში იჩენს მისი შფოთვა და აღბორგება ცხოვრების ვითარებისა წინააღმდეგ? _ ხშირად ეძლევა თუ არა აქტივური ხასიათი ამ აღბორგებას და შფოთვას ხალხის წინააღმდეგობისას. ვის წინააღმდეგ არის მიმართული უმთავრესად ხალხის მიერ გამოცხადებული ჩივილი?2

აი მთელი დასტა კითხვებად დალაგებულ საგნებისა, რომელთ შეუსწავლელად არა ნაირად არ შეიძლება შემუშავება და გამოკვლევა ცოტათ მაინც წესიერის საზოგადოებრივის პროგრამისა. მომეტებული ნაწილი ჩვენში გამოცემულის ბროშურებისა და ჟურნალში დაბეჭდილ სტატიებისა ამტკიცებს, რომ ამ მხრივ ჩვენს მწერლობას სრულებით თავი არ შეუწუხებია. მას არა აქვს შემუშავებული, მტკიცედ მოფიქრებული და მოკლედ მოჭრილი პროგრამა. თქვენის ნაწერებით, ბატონებო, თუმცა მგონია, რომ ცოტას არა სწერთ, სრულიად არ შეიძლება მიხვდეს კაცი, რას მიელტვის თქვენი გული და გონება და რა საგანი გაქვთ წინ-წამოყენებული ქვეყნის საკეთილდღეოდ გადასაწყვეტად. ხომ არ შეიძლება, რომ კერძო საგნები, რომელთაც თქვენ გაჰყოლიხართ, შეადგენდენ სრულიადს და მთლიანს საზოგადოებრივს პროგრამას? თქვენ გიყვართ სამშობლო, თქვენი ენა, ხალხი, მაგრამ არ გეტყობათ, რომ თქვენ ცნობიერად მოფიქრებული გქონდეთ პროგრამა საზოგადოებრივის მოქმედებისა. სიყვარული _ დიაღ საქები და პატივსაცემი გრძნობაა, ცხადია, მაგრამ ცალიერის სიყვარულით ქვეყანას ვერ აღვაშენებთ და ვერ აღვადგენთ. საჭიროა თანხმობითი, მოფიქრებული და ჩვენი მდგომარეობის შესაბამი მუშაობა; საჭიროა შემუშავება და გამოკვლევა საზოგადოებრივის იდეალისა ხალხის ცხოვრების ყოველ-მხრივის დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ; საჭიროა ძმურად, შეწყობილად მისწრაფება ერთხელ შემუშავებული და წინ-წამოყენებულ იდეალისადმი, და არა მოღვაწეობა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გაფანტული, რომელსაც თან არა სდევს ხელ-მძღვანელად არავითარი ზოგადი პრინციპი. ავიღოთ საგულის-ხმიერო მაგალითი ჩვენის ლიტერატურიდამ. ზოგი ჩვენი ლიტერატორთაგანი დაადგა საქართველოს ისტორიის შესწავლას. ცხადია, რომ ეს საგანი ძლიერ უსაჭიროესი საგანია და თვით ეს საქმეც ძალიან პატიოსანი და ქების ღირსი უნდა იყოს. მაგრამ როგორ მოჰკიდეთ ხელი თქვენ ჩვენის ისტორიის შემუშავებას? რას ეძებთ თქვენ იქ საინტერესოს, რა საგულისხმიერო მაგალითები და მოძღვრებანი უნდა ამოუღოთ იქიდამ ქართველებს, როდესაც თქვენ მოგვითხრობთ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების გარეგნობაზედ, როდესაც თქვენ აღგვიწერთ სხვ-და-სხვა ლაშქრობას და სამეფო კარის ინტერიგებს და მოჰყოლიხართ მეფეებისა და დედოფლების, მათ კუდებისა და ფარეშების ამბავს. ამით განა ვის რა გინდათ ასწავლოთ, ვის რა გსურთ შეაგონოთ? რა საზოგადოობრივი საგანი ამოგიღიათ მიზნად, როცა მხოლოდ გარეგან მხარეს სწავლობთ სამშობლო ისტორიისას და შინაგანს აზრს კი

არ უღრმავდებით. თქვენი ნამუშევარი ამ მხრივ უაზროა და უნაყოფო, ამიტომ რომ მის შემწეობით ვერ გავიგებთ და ვერ შევიგნებთ ხალხის ცხოვრების აწინდელს ვითარებას. იგი ვერც ცნობის მოყვარეობას აკმაყოფილებს, ამიტომ რომ მის შემწეობით ჩვენ წინა-პართა წარსულის ცხოვრების სიღრმესა და სიგანეს ვერ ვტყობილობთ, მის ნამდვილს ხატებას ვერ ვხედავთ. იმის მაგიერ, რომ დაგვანახოთ ყოფა-ცხოვრება ხალხისა წარსულის დროს; იმის მაგიერ რომ გაგვაცნოთ მაშინდელი უფლებრივი, იურიდიკული და ეკონომიური ურთიერთობა, თქვენ სულ სხვას მოგვითხრობთ და სულ სხვა კილოზედ მოჰყოლიხართ ძველს ამბავს. იმის მაგიერ მაგ., რომ მრთელი და სრულიადი სურათი წარმოგვიდგინოთ ხალხის ტანჯვისა და წამებისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოსცადა შინაურ მოუწყობლობისაგან და გარეშე მტრისაგან; დასასრულ, იმის მაგიერ, რომ ასწეროთ როგორ სცხოვრობდნენ ჩვენი წინაპარნი, რას აკეთებდნენ, რა ზნესა და ხასიათებს ადგნენ შინაურობაში და გარეთ, ერთის სიტყვით, იმის ნაცვლად, რომ მოგვითხრათ, საინტერესო ისტორია ჩვენის ეკო-ნომიურის და გონებრივის განვითარებისა, _ თქვენ, ყველა ამის ნაცვლად, გაჰყოლიხართ, უკაცრაული ქართულია, რაღაც ქებასა და დიდებას წარსულისას და თან ამ შესხმისა და ხოტბის წერას დარბაისრულს შრომას ეძახით! მე ამას, რასაკვირველია, არ ვაბრალებ თქვენს უცოდინარობას. არა! თქვენ ძალიან კარგად იცით, როგორც უნდა შემუშავება ისტორიის, თქვენ გიკითხავთ და კარგადაც იცნობთ საუკეთესო ევროპიულ ისტორიკოსებს, აღტაცებაში მოდიხართ მათ გამოკვლევათა მეტოდებით, სთვლით თქვენ თავს მათ ნამდვილ მომხრედ, მაგრამ როგორც კი საკუთარს გამოკვლევას დაიწყობთ ჩვენს სამშობლოს შესახებ, მაშინვე უეცრივ ჰქრება თქვენში ისტორიის ფილოსოფიური ცოდნა და გვარწმუნებთ, რომ ეს ფილოსოფიური ცოდნა ისტორიისა ჩვენის ქვეყნის შესახებ არ გამოდგებაო.

ჩემის აზრით, ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ ჩვენ აქამომდე არა გვაქვს მტკიცედ გამორკვეული და მოსაზრებული პროგრამა მოქმედებისა, რომლის მიხედვით შეეძლოს ყოველ საზოგადოებრივ მოღვაწეს (გულ-წრფელს და პატიოსანს, რასაკვირველია) შრომა და მუშაობა. ჩვენ ვმოქმედობთ აქამომდე ცალ-ცალკე, უსისტემოთ და გაფანტულად. აი ამის გამო ყოველს ჩვენს დაწესებულებას რაღაც უმიზნობის და განცალკევების დაღი აზის.1

ისტორიის შესწავლას და შემუშავებას რომ თავი დავანებოთ და გადავიდეთ ჩვენს ლიტერატურის საზოგადო მდგომარეობაზედ, აქაც ჩვენ ამავე სამწუხარო სანახავს შევხდებით.

ჩვენს ნორჩს და ჯერ ისევ ფრთა-გაუშლელს ლიტერატურას აქვს ერთი დაუფასებელი ღირსება, რომელიც განასხვავებს მას სხვა უფრო განათლებულ და განვითარებულ ქვეყნების ლიტერატურათაგან. როგორც ვიცით, აწინდელი ცივილიზაციის ცალ-მხრივი და ცრუ მიმართულების გამო განათლებულ საზოგადოობის ნაწილსა და ხალხს შორის სუფევს ისეთი ზღვარი, რომელიც უშლის ორთავე მხარეს ერთ-მანეთის გაგებას. ამ განათლებულს ნაწილს საზო-გადოობისას აქვს იმ გვარად შემუშავებული ლიტერატურა, რომ იგი სრულიად უცხო და გაუგებარია ხალხისათვის, როგორც ენით, ისე შინაარსით; განცალცალკევდნენ ინტერესები, გაჩნდა სხვადასხვა სურვილი და მოთხოვნილებანი, რომელნიც უფრო უარესად განაშორებს მათ ერთიერთმანეთისაგან. ხალხი არ კითხულობს და საინტერესოდ არ სთვლის განათლებულ საზოგადოების ლიტერატურას, რომელიც ადგია ხალხისათვის

სრულიად უცხო გზას და საგანს. მაშინაც კი, როდესაც რჩეულნი პირნი საზოგადოებისა გამოდიან საასპარეზოდ ხალხის ჭეშმარიტ ინტერესების დასაცველად, საქადაგებლად და თავიანთ აზრების და იდეალების გასავრცელებლად მწერლობის შუამავლობით, მაშინაც კი ეს პირნი და მოღვაწენი ვერ პოულობენ მკითხველებს ხალხში. ხალხი აქამდის ფიქრობს, რომ ეს ლიტერატურა სდევნის სრულიად უცხოს და მათთვის არა სასარგებლო ინტერესებს. თუნდ ესეც არ იყოს, კულტურული ლიტერატურის ენა იმდენად განირჩევა ხალხის ენისაგან, რომ უბრალო ხალხისათვის მომეტებულ ნაწილად შეუძლებელია წაკითხულის გაგება, თუნდ რომ სურვილი და შეძლებაც ჰქონდეს კითხვისა. ამის გამო, თუ გსურს, რომ ხალხისთვის გაუგებარი არ დარჩე, უნდა მიჰმართო სხვა გვარ კილოს, სხვა გვარ ენის მიმოხვრას. ერთის სიტყვით, უნდა იხმარო უბრალო «სახალხო» ენა. ეს სამარცხვინო გარჩევა ენისა, რომელიც უშლის ერთსა და იგივე ერის ორ ნაწილად გაყოფილის დასის ერთმანეთის გაგებას, არის პირ-და-პირი შედეგი ხალხისადმი უგულობისა, რომელსაც მუდამ იჩენს უმრავლესობა განათლებულის საზოგადოებისა. ხალხის ინტერესების უყურადღებოდ დატოვებამ და წოდებრივ ლტოლვილებათა გამოკიდებამ, მისცა ლიტერატურას შეუსაბამო და არა ხალხური ხასიათი. ლიტერატურა შეიქმნა ყმათ და მოსამსახურეთ განათლებულ წოდებათა და ამ სახით განვითარდა ხალხისათვის გაუგებარი ენა. ლიტერატურა, რომელსაც არ შემსჭვალავდა ხალხის ვაება და წუხილი, მიდიოდა თავისთვის წინ შვებით და მასხრობით და უფრო უარესად სწყვეტდა ხალხთან კავშირს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბატონებო, რა სამწუხარო და არა სანეტარო მდგომარეობაში ჩააგდო საზოგადოთ მწერლობა ამ კულტურულ წოდებათა მოუსაზრებელმა თავმოყვარეობამ. მოგეხსენებათ აგერთვე, რა საზიზღარი შედეგი მოჰყვა მწერლობაში მის წარმომადგენელთა მიერ ლაქუცსა და ყურ-მოჭრილს ყმობას ამა სოფლის ძლიერთა და მეტის უფლებით შეჭურვილთა წინაშე. მეორეს მხრით, თქვენთვის, უეჭველია საიდუმლოს არ შეადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ უკეთეს წარმომადგენელთ ლიტერატურისას მწარე ვარამი უტრიალებთ გულში და სახმილებრ ცეცხლი ედებათ, რადგან ხალხთან დაახლოვება ჰსურთ და თავის მოუკვლელი სურვილი კი ვერ აუსრულებიათ. ამ პირებმა ძალიან კარგად იციან, რომ მათი არსებობა და სიცოცხლე ხალხის ცხოვრებისა და ინტერესების გარეშე უსარგებლოა და უნაყოფო, რომ ყოველი მათი წერა ამაოა და უსაგნო; იგინი, გულდაწყვეტილნი და დათუთქულნი, გრძნობენ, რომ თვით ხალხი, რომელსაც მათ უნდა ემსახურონ ყოველ თავის ძალ-ღონით და მტლედ დაედონ მას, თვით იგივე ხალხი მათი უმეცარია და უარმყოფელი. იგინი ჰგრძნობენ, რომ ამ საქმეში თვით უბრალონი და უზაკველნი არიან, რომ მათ თავზედ ტრიალებს წინა-პართა შეცდომილებისა და დანაშაულობის ბორბალი, მაგრამ ძალაც არა აქვთ, რომ აიცილონ ეს უბედურება მთლად და სრულიად გადაუსწორებლად ყოველ საზოგადოობრივ ურთიერთობისა.

სხვა ქვეყნების ამ გვარ მწარე გამოცდილებათა შემდეგ, შემდეგ იმ გამაფრთხილებელ და საგულის-ხმიერო შთაგონებისა ისტორიის მიერ, რომელიც ცხადათ უჩვენებს ნამდვილს გზას ცივილიზაციისას ახლად გაღვიძებულს ქვეყნებს და ერსა, _ როგორ მოქმედობენ და მოღვაწეობენ წარმომადგენელნი ჩვენის ლიტერატურისა და მწერლობისა? შეიგნეს მათ ესა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, გამოიყენეს სასარგებლოდ ეს გაფრთხილება ისტორიისა?

ჩვენი ლიტერატურა ამ მხრივ ჯერჯერობით სწორედ ბედნიერ მდგომარეობაშია. იგი არ განცალკევებულა, არ დაჰშორებია ხალხს და არ გამხდარა მისთვის გაუგებარი. ლიტერატურული ენა მცირედ განირჩევა ხალხური ენისაგან, იგი ეყურება და იზიდავს ჩვენს ხალხს. მეორეს მხრით, ყველა იტყვის, რომ ჩვენი ხალხი ცნობის-მოყვარე ხალხია, სწავლისა და ცოდნის შეძენა წყურვილად გადაქცევია და ჯერჯერობით ყურს უგდებს და თვალს ადევნებს ჩვენის მწერლობის განვითარებას. ყველა ეს გარემოება ჩვენს მწერლობას დიდს საშურველ უპირატესობას აძლევს სხვა მწერლობათა წინაშე. სხვა ერნი დიდს მსხვერპლს და სასყიდელს გაიმეტებდნენ, ოღონდ კი ამ გვარი ხასიათი მიეცათ თავის ლიტერატურისათვის და ერთ-გვარად გასაგები გაეხადნათ იგი, როგორც ხალხისათვის, ისე მთლად ერისათვის და განათლებულ საზოგადოებისათვის. მაგრამ რა გამოვიდა ყველა აქედამ? სარგებლობენ ჩვენი საზოგადოებრივი მოღვაწენი თავიანთ ლიტერატურის ამ უპირატესობით? არა!.. პირიქით, იგინი როგორც თვით-მდგომარეობას მოკლებულნი და მცირე-წლოვანნი ბავშვნი, ყურადღებას არ აქცევენ ამ უპირატესობას, განურჩევლად მისდევენ უკან კუდში სხვათა ლიტერატურებს და ამ უგვანო ბაძვით სწორედ რომ ყოველს სამზღვარს გადადიან თავიანთ სასაცილოდ და სასირცხვოდ.

წარმოიდგინეთ კი, რომ ეს საგანი ძალიან ცხადი და მარტივია, ჩვენი სურვილი და საწადელი ამ მხრივ ადვილად შესასრულებელია და განსახორციელებელი: შევაწყოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათა, ვისწავლოთ და განვვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერთადვე შევიმუშავოთ საზოგადოებრივი იდეალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უაღრესს ძალას და შეიძლებენ ყოველ-გვარ ბრძოლის და დევნის ატანას. ამის მაგივრად ჩვენი ლიტერატურა, თითქო შიშობსო, რომ დავარდნილ და უკან-ჩამორჩომილად არ დამსახონო, სცდილობს მაღალ კილოს გამოეკიდოს და ზემო ფარდებში იფრინოს. რაც შეუძლიან ძალას იტანს და იმოსება ისეთს გამოუწყობელ კულტურულ ტანისამოსით, რომელიც არც შეშვენის მას, არც უხდება და რომელიც მასთანვე უფრო სასაცილოდ და სამასხაროდ ხდის, ვიდრე დინჯ და დარბაისელ გამომხატველად საზოგადოობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა. მართლაც და რომელი მკითხველები ჰყავს სახეში ჩვენს ლიტერატურას და ვინ უნდა გაანათლოს და ცნობიერება შესძინოს მან, როდესაც იგი დაჟინებით და გაჯიბრებით ებაასება, მაგ., ევროპიელ დიპლომატიას, როდესაც იგი ვრცლად მოგვითხრობს ლუი-ბლანისა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა აწინდელს პოლიტიკურ შეხედულებაზედ, როდესაც იგი სთარგმნის და ავრცელებს გოეტეს თხზულებებსა, შექსპირისა და თუნდ გამოჩენილ ოფენბახის თარგმანებსაც და სხვ. ისე რომ ავიღოთ და ჩვენთვის რომ ვსთქვათ, რასაკვირველია, ყველა ესეები კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ განა ამაებს თხოულობს ჩვენის სამშობლოს თანამედროვე მდგომარეობა? ნუთუ შესაწყნარებელი და პატივდებაში მისაღებია ფიქრი სუბუქ და ჰაეროვან წარმოებაზედ დახე-

ლოვნებულის მზარეულისა, როცა შიმშილით მილეული და გვემული კაცი თხოულობს პურსა?

თუ გვინდა რომ ხალხმა ისარგებლოს ჩვენი ლიტერატურის მდაბიურობით და გამოიყენოს ეს დაუფასებელი თვისება ჩვენის მწერლობისა, საჭიროა, ჩვენის ფიქრით, რომ მწერლობა ხალხისათვის საჭირო და შესაფერ გონებით საზრდოს იძლეოდეს, მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ამიტომ ლიტერატურა უნდა შეიქმნას უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ მას ჰქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა, ჩვენის ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა ლიტერატურა ერთად ერთ ნამდვილ გზას და ჭეშმარიტ მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივდებაში ხალხის სურვილს, და, რაც უფრო პირველია, დაიცავს მის ინტერესებს, ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წამოყენებული იქმნება საასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები _ ეკონომიური და საზოგადოებრივი საქმეები.

1882 წ.

ძველი და ახალი თაობა და მათ გამო ლაპარაკი ჩვენში

1

ჩვენს მწერლობაში, ამ ბოლოს დროს, გაჩნდა ერთი ფრიად საგულისხმიერო და საყურადღებო საგანი. ეს საგანი საგულისხმიეროა არა მარტო იმიტომ, რომ თითონ არის ყურადღების ღირსი, არამედ იმიტომაც, რომ ამ საგანს თან აჰყოლია, ჩაჰრთვია ჩვენის ცხოვრების ბევრი სხვა საგანიცა და საქმეც, პირველზე არა ნაკლებ გულმოსახვედრი და მწვავე. მკითხველი მიხვდება, თუნდა მარტო წერილის სათაურითაც, რომ ჩვენი ლაპარაკი შეეხება თვისებასა და ავკარგიანობას ეხლანდელის ჩვენის ახალგაზრდობისას.

ამ საგანს უკვე თავისი მოკლე ისტორიაცა აქვს, მაგრამ რადგან ყოველს გულმოდგინე მკითხველს კიდევ ეცოდინება ეს ისტორია, ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია ამ საგანზე ატეხილი სიტყვა-პასუხის ამბავი დაწვრილებით ყოველივე მოვიხსენიოთ. ჩვენთვის სრულიად საკმაო იქნება, ორიოდე სიტყვით მოვაგონოთ მკითხველებს, რა თვალთახედვის ისარს ხმარობდნენ მოკამათენი.

როგორც მოგეხსენებათ, მთელი ლაპარაკი იმაზეა მიმართული, რომ მოკამათენი ადარებენ ერთმანეთს ეხლანდელს ნასწავლ ახალგაზრდობას და სამოციანი წლების თაობას. არც ერთი მოკამათე არ უარჰყოფს, რომ ამ ორ თაობას შუა დიდი გარჩევაა. ხოლო ერთნი ამ განსხვავებას ბრალსა სდებენ მარტო ახალ-გაზრდობასა და უსაყვედურებენ, ნაკლებადა ხარ ნასწავლი, ნაკლებ განათლებულიო, ნატვრითაც ვერ ნატრობ, რაც სანატრელია, და ქვეყნის გაბედნიერებას არ ეტანებიო. იქამდე მისულა ჩვენი ახალგაზრდობა, რომ ამხანაგობისა და გონიერი მეგობრობის გრძნობაც-კი ნაკლებ ემჩნევაო. მეორენი, ცოტად თუ ბევრად, ემოწმებიან პირველებს, რომ მართალია, სამწუხაროდ, რასაც თქვენ ამბობთო, მაგრამ მაინც იმედს არა ვკარგავთ და გვგონია, რომ ეხლანდელი

ახალგაზრდობაც გამოიჩენს შემდეგში თავის ძალღონეს, ისიც გაიმართავს ფრთას, გაირჯება, თავის შეძლებისა და მოხერხებისამებრ, სამშობლოს სასარგებლოდაო; რომ დღესაც ეს ახალგაზრდობა გულხელდაკრეფილი არა ზის უსაქმურად და იმას აკეთებს, რის გაკეთების ნებასაც აძლევს დრო-ჟამი და მისი დღევანდელი ვითარებაო. მერე ეხლანდელის თაობის წარმომადგენელნი ამბობენ და, საბუთიანადაც, რომ არ უნდა დავივიწყოთ, რა სხვადასხვა გზა გვქონდა გასასვლელი წარმატება-განათლებისათვის ჩვენ და სამოციანი წლების ახალგაზრდებსაო, რომ სამოციანი წლების ახალგაზრდები უფრო კარგს დროს იზრდებოდნენ აქ, თავიანთს ქვეყანაშიაც, და იქ, უცხოეთშიაც, უნივერსიტეტში ყოფნის დროსაო, და გარემოებაც უფრო ხელს უწყობდაო.

კამათის სიფიცხეში, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, ცოტა რამ ისეთიც ითქვა, რაც სათქმელი არ იყო. მოპირისპირეთ ბევრი ტყუილ-უბრალო საყვედური გააგონეს ერთმანეთს, ცუდ-უბრალო ბრალი დასდეს თავ-თავიანთ მოწინააღმდეგეს. იმას-კი აღარ ეცადნენ, რომ ის საზოგადო მიზეზი მოენახათ, რომლის შემწეობითაც შეიძლება მხოლოდ ადვილად მიხვდეს კაცი, რის გამო არსებობს განსხვავება, ავკარგიანობითა და მიმართულებით, ზემოხსენებულ თაობათა შორის.

ცხადი კია, რომ ამ საქმეში არა კმარა მარტო შედარება და შედარებითი განსჯა და დაფასება ჩვენის ცხოვრების ამა თუ იმ მოღვაწეთა კერძო ღირსება-ნაკლულევანებისა. ჯერ, ვგონებთ, არ დამდგარა დრო არც კრიტიკისათვის და არც მსჯავრის დასადებად. მართლაცდა უსამართლობა იქნება, რომ ერთმანეთს შევუდაროთ ის კაცნი, რომელიც სულ სხვადასხვა ჰასაკისანი არიან და საზოგადოებაშიაც სხვადასხვა ალაგი უჭირავთ. პირველთ განვლეს კიდეც უკეთესი გზა ცხოვრებისა, გალეწეს თავისი კალო და თითქმის გააკეთეს ყოველივე, რის გაკეთებაც შეუძლიან ახალგაზრდობის ხალისსა და მხნეობას, გამთბარსა და გასულდგმულებულს ქვეყნისათვის მხურვალე სიკეთის სურვილით. მეორენი-კი ეს არის ეხლა იწყებენ ცხოვრებას, ეხლა აპირობენ შეუდგნენ თავიანთ საქმეს, საზოგადოების სამსახურს. ამიტომ, ადვილად შესაძლოა, რომ ყოველი უპირატესობა ხნიერ მოღვაწეებს ჰქონდეთ დღესაც, სასწორმა აუცილებლად მათკენ გადაიწიოს და მათ სასარგებლოდ გადაიხაროს. მართლაცდა, თუკი იმათი მოღვაწეობა არ იყო უნაყოფო, _ ამას ხომ ვერავინ იტყვის, რომ უნაყოფო იყოვო, _ თუკი ისინი მხნეობდნენ და მოქმედებდნენ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, _ ესეც ხომ ეჭვსგარეშეა, _ რა საკვირველია, რომ უკეთესმა და უფრო გონიერმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მადლობით მიიღოს და პატივისცემით შეიწყნაროს იმათი მოღვაწეობა? მით უმეტეს რომ, ეჭვი არ არის, ის კაცნი ისე მოღვაწეობდნენ, როგორც გული და გონება ეუბნებოდათ, როგორც ესმოდათ თავიანთი მოვალეობა და სამსახური ქვეყნის წინაშე. სამოციანი წლების მოღვაწეებმა იმდენი რამ გააკეთეს ჩვენის ღარიბისა და მოუწყობელის ქვეყნისათვის, ისეთი ღრმა და წაუშლელი კვალი დააჩნიეს ჩვენის ზნეობისა და გონების წარმატების ისტორიას, რომ თვით გაბოროტებულნი და შეურიგებელნი მათი მტერნიც კი იძულებულნი იყვნენ, მცირეოდენის ხნის შემდეგ, დადუმებულიყვნენ და პატივისცემით მოედრიკათ მუხლი მათ წინაშე. თავდაპირველში უბრალო «ჯარის კაცად» გამოსულნი და სათითაოდ, ცალ-ცალკე მებრძოლნი, უკვე დიდი ხანია საზოგადოების გავლენიანი ხელმძღვანელნი შექმნილან და საყვარელ და პატივცემულ უფროს კაცებად გადაქცეულან.

ამისთანა პატივცემულსა და ყველასაგან მიჩნეულს მოღვაწეებს, რომელთაც თითქმის 25 წელიწადი უშრომნიათ კეთილსინდისიერად, ჩვენი ახალგაზრდა ყმაწვილები რომ ამოუყენო გვერდში, რა უნდა წაუყენონ სამაგიეროდ მათის ხანგრძლივის მოღვაწეობისა? რა უნდა წაუყენონ იმის მეტი, რომ ნორჩი და გამოუცდელი ძალ-ღონე აქვთ და სურთ, შეძლებისამებრ, გაისარჯნენ თავიანთი ქვეყნის საკეთილდღეოდ? ახლა რომ აიღოთ და შეადაროთ ეს ორი სულ სხვადასხვა საგანი, თითქმის ერთმანეთის შეუწონავი, ერთმანეთის შეუზომავი, ცხადია, რომ შედარება სასარგებლო არ იქნება ჯერ ისევ ფრთაშეუსხმელ ჩვენის ახალგაზრდობისათვის. მაგრამ მე მგონია, რომ ასეთი შედარება სრულიად საჭირო არ არის და ამ «შენ-ჩემობას» სულაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი კამათში.

თუ მაინცა და მაინც შედარება ამ შემთხვევაში აუცილებელია, შეიძლება შედარება გამოვიყენოთ იმისთვის კი არა, რომ გავიგოთ, ვინ რა გააკეთა, არამედ იმისათვის, რომ გამოვირკვიოთ, ვის რა უნდოდა გაეკეთებინა და ვინ რამდენად იყო მომზადებული საზოგადო სამსახურისათვის. საჭიროა ცხადად წარმოვიდგინოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ის აზრი და საზოგადოებრივი სურვილი, რომლის წარმომადგენელიც იყო ერთი თუ მეორე თაობა; საჭიროა ვიცოდეთ და აწონილი გვქონდეს, წარმატების რა გზას ადგა, აღზრდის რა ვითარებაში იყო ან ერთი, ან მეორე თაობა, რაოდენად მაღალი და ღრმა იყო განათლება და ცოდნა, რაოდენი სიძლიერე და სიცხოველე ჰქონდა იმ საზოგადოებრივ სანატრელს, რომელიც ასულდგმულებდა ან ერთსა და ან მეორე თაობას. მერე კიდევ საჭიროა, თუკი შესაძლოა, შევადაროთ უნარი შრომის მოყვარეობისა და სწავლა-განათლების განგრძობისა, სავსება და სისრულე ხასიათისა; საჭიროა შევადაროთ, რა სიყვარულითა და ძალით მიიზიდებოდა ჭეშმარიტებისა და სიმართლისაკენ ან ერთი და ან მეორე თაობა. ლაპარაკის ამტეხნი მაინც ამ მხრივ ცდილობდნენ შედარებას, მაგრამ მრავალთათვის ეს საგანი ჯერ ისევ ცხადად არ არის გამორკვეული, რადგან გამოსარკვევად მეტად ძნელია და მეტად რთულიც...

2

ჩვენ საგანს რომ ამ მხრით დავაკვირდეთ, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ნასწავლ ქართველების ეხლანდელს თაობას ცხადად ეტყობა დარდი და დაღონება, მაგრამ ეს დარდი და დაღონება კერძო ხასიათისა კი არ არის, არა! ასეთი თვისება იმის საზოგადოებრივ მოღვაწეობას დასჩემებია. ჩვენს ნასწავლს ახალგაზდობას, თითქო არაფერი აღარა სწამსო, თითქო არაფერს არ ეტანებაო; ან არა-და, თუ სწამს რამე, არა სულითა და გულით აღტაცებული და აღფრთოვანებული, არა! ისე ეტანება, თითქო მეტი ღონე არ იყოს და იმიტომ ეტანებაო; თითქო თითონ არ არის მონდომებული და ვიღასაც დაუძალადებიო; თითქო თითონ არა აქვს თანდაყოლილი და მოუკვლელი წყურვილიო; თითქო ძვალსა და რბილში არა აქვს გამჯდარი იმისი გაგება, რასაც ეტანებაო. მართალი რომ სთქვას კაცმა, ახალგაზრდობის ცხოვრება სრულიად არა სდუღს და არა სჩქეფს სიცოცხლით; ახალგაზრდობა არ ეძებს უკეთესს წეს-წყობილებას გამუდმებულის დაუცხრომლობით, არ საქმობს მხურვალედ, გულზე ცეცხლმოკიდებული, როგორც სჩვევია და ეკუთვნის ერთობ ბედნიერს სიჭაბუკეს; ჩვენს ახალგაზრდობას არ ემჩნევა სწორედ ის, რაც ერთი უკეთესი, მიმზიდველი თვისებაა საზოგადოდ ყმაწვილ-კაცობისა, ჭაბუკობისა. ჩვენი ყმაწვილები მოხუცებულებს დაჰგვანებიან, ჭკუა-

დამჯდარსა და დარბაისლებს. იმათ რომ უყურებ, ასე გგონია, ქვეყნის დარდი და ნაღველი გამოუვლიათო, ყველაფრის გამოცდილება აქვთო, უცდიათ ყოველი ღონე თავის ნატვრის ასახდენად, გულის ნადების განსახორციელებლად, მაგრამ ვაი და ვაი, რომ გამოცდილებით დარწმუნებულან, რა ამაო და ფუჭი გამომდგარა ყოველივე იგი ცდა და ღონეო... მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის გარეშე მაყურებლის კაცისათვის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას თითქო აღარ ახალისებს ახალი აზრი, არ აფხიზლებს მათ გონებას ახალი საზოგადოებრივი თეორია, ან მრავალი ახალი ამბავი საზოგადოების ცხოვრებისა. როდი დაეძებენ, როდი სცდილობენ, რომ ჭკუა ისწავლონ სხვა ერთა ცხოვრების დაკვირვებათა, სხვათა მწერლობის ქადაგებათა... ჩვენი ახალგაზრდები «ბრძენი» ხალხია, ისეთი ბრძენი, რომელმაც არ იცის არც ტკბილი მღელვარება ნორჩისა და ფიცხის გულისა, არც კეთილშობილი ეჭვი ჯერ ისევ დაუდუღებელისა, მაგრამ მახვილივით მჭრელისა და მოუსვენარის გონებისა. ასე გეგონება, რომ ყველა საგანი თეორიისა და პრაქტიკისა უკვე დაუმთავრებია და დიდს წესსა და რიგში მოუყვანია, სავალი გზა უპოვნია და ცხოვრების სავალი საგანი ერთხელ და სამუდამოდ დაუსახელებია და დაუნიშნავსო. მაშასადამე, ის-ღა დაგვრჩენია, რომ დავსხდეთ და მოვისვენოთ, რაკი ასეთის წინდახედულობითა და ნაადრევის ზრუნვით მოვიჭირნახულეთ, რაც საჭიროავო. ხოლო თუ რამ დარჩა კიდევ გასარკვევი და საძიებელი, იმაზე სხვამ იმტვრიოს თავი; იმ «წყეულისა» და გამოურკვეველის საგნების დარდით ჩვენ გულს ვერ გავიხეთქავთო... ჩვენის აზრით, ქვეყნიერება თავის თავადაც ისე კარგია და მშვენიერი, რომ ბრიყვი უნდა იყოს, ვინც იმის გადაკეთებისათვის მოიკლავს სურვილსა და ღონეს სიცოცხლით დატკბობისას, სიცოცხლით ნეტარებისას, ვინც გონებას გამოახვრევინებს გამუდმებულს ჩხრეკა-ძიებას, გულს დაიჩაგრავს ვაებითა და ქენჯნით, სიცოცხლეს მოისწრაფებს ერთხელვე აჩემებულის აზრის შესრულებისათვისაო... რა სჯობია მოსვენებულს ცხოვრებას, მდორესა და დაწყნარებულს! არც წუხილი და გულის ხეთქა, არც შიში და საფრთხე! ჯაფით რად ამოვირთვა სული, წელებზე რად დავიდგა ფეხი, აღელვებულსა და აზღვავებულს ვნება-გულისთქმას რად ავაშფოთებინო სულიო! აი, ეს გახლავთ ის მცირედი ნატვრის საგანი, რომელსაც შესტრფის დღევანდელი კაცი. ძიების თვალით რომ დასცქერდეს ახალი კაცი ჩვენს ყმაწვილ-კაცობას, მაშინ როცა ჯერ თვალი არ შეუჩვევია და იმისი ავკარგიანობა ჯერ ისევ კვალ-წაუშლელად ჩარჩენილი აქვს გონებაში, ჭეშმარიტად, სასოწარკვეთილებაში ჩავარდება. დანახვა იმ უზრუნველისა, კმაყოფილებით სავსე და გულგრილის ხალხისა ყველაფრის შესახებ, რაც კი ახლო-მახლო გარემოს დაშორებულია, ნაღველას გაუსიებს ადამიანს და, ვინ იცის, რა უნუგეშო ფიქრებმა არ წაიღოს იმისი გონება. გული სწუხს, სული შფოთავს და შიშითა თრთი, როცა ჩაუფიქრდები, რა მოელის მართლა იმ ქვყანას, საცა ნასწავლი ახალგაზრდობა, ესე იგი უკეთესი და უფრო განათლებული ნაწილი ერისა, უდროვოდ დაღლილი და თითქმის დაბერებული, უგულოდ და უსულოდ ეკიდება თავის საზოგადოებრივ მოწოდებას, თავის დანიშნულებას? რა მოელის იმ ქვეყანას, საცა დამშრალა ხალისიანი წყურვილი ვრცელისა და საკაცობრიო განათლებისა, საცა გამქრალა სურვილი და სიყვარული შეუპოვარის ჯაფისა, იმ ქვეყანას, საცა ცხოვრების წვრილმანებსა და კერძო უმნიშვნელო ინტერესებს თითეულის კუთხისას დაუძლევია უმაღლესი ხელწასატანებელი ნატვრა-იდეალები?!

ამ სავალალო ამბავს რომ ჩავუკვირდეთ და განვიხილოთ გულდამშვიდებით ისე, რომ არ გაგვიტაცოს საკუთარმა გრძნობამ ჯავრისა და გამწარებისამ _ თუმცა არც ეს იქნება გასაკვირველი, _ აი, რა უნდა დავასკვნათ. ჩვენის აზრით, შეცდომა იქნება, რომ ზემოხსენებულის გულდასაწყვეტი გარემოების მიზეზად დავასახელოთ, ანუ მივიჩნიოთ, კერძო თვისებანი თითეულის ახალგაზრდასი; ამგვარივე შეცდომა იქნება, ჩემის აზრით, რომ სამოციან წელთა თაობის მთელი სიკეთე, მათის მოღვაწეობის ნაყოფიერება, მათი მხნეობა, მივაწეროთ მხოლოდ მათს კერძო თვისებას, მათს ნიჭიერებას, მათს ქველობას, ჭკუასა და გრძნობას. როცა რომელიმე თვისება ემჩნევა ცხოვრებაში არა თითო-ოროლა წარმომადგენელს, არამედ უმრავლესობას ერთისა და იმავე თაობისას, როცა ამჩნევ, რომ ერთი თაობა თაოსანია, ღრმად სწამს თავისი სარწმენი და გამუდმებით ეტანება საზოგადო მოღვაწეობას, ხოლო მეორე-კი თითქმის სრულიად მოკლებულია ყოველს ამას, ერთის სიტყვით, როცა საზოგადო ხასიათი და მიმართულება, საზოგადო თვისება ორის შესადარებელის თაობისა ასე განსხვავდება, მაშინ ეჭვი არ არის, რომ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საზოგადო ვითარებას დროსა და გარემოებისას და არა კერძო თვისებას თაობის თითოეულის წარმომადგენელისას.

3

ყოველს დროს, ერის ცხოვრებაში, თავისი განსაკუთრებული ხასიათი და თვისება აქვს. აიღეთ, მაგალითად, ისტორია რუსეთის განათლებულის საზოგადოების წარმატებისა ამ უკანასკნელს საუკუნეში. განა ორმოციანი წელნი ჰგვანან სამოციან წლებს ხასიათითა და თვისებით? ან კიდევ სამოციანი _ სამოცდაათიანს და სამოცდაათიანი _ ოთხმოციანს? როცა ორმოციანს წლებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე ცხადად წარმოგვიდგება თვალ- წინ განსაკუთრებული ხასიათი და თვისება ამ შესანიშნავ ხანასი. ნება-უნებურად გული თბება და ლმობიერდება, როცა გვაგონდება ის მაღალი თვისებანი სულისა, რომელიც ჰქონდათ მაშინდელ თაობის წარმომადგენელთ. გვაკვირვებს და გვაოცებს, რა საზღვარდაუდებლად სწამდათ იმ კაცებს თავიანთი სარწმენი და სანატრი, რა შეურყეველი სიყვარულით უყვარდათ მართალი, რა გულდადებით იყვნენ გატაცებულნი აზრითა და იდეით; გვაოცებს იმათი ვრცელი და საფუძვლიანი განათლება, სიღრმე-სიგანე გრძნობისა, სიფაქიზე გულისა. იდეია და იდეიით ცხოვრება, ცხოვრება მარტო ჭკუითა და გონებითა, აღტაცებული ტრფიალება საზოგადოებრივ იდეალების მიმართ და არა რაის ქმნა-კი ამ იდეალების განხორციელებისათვის _ აი რა არის იმ მართლა და სახელოვან კაცთა ნიშნობლივი თვისება. მთელი დანარჩენი რუსეთი, ნამდვილი და არსებული რუსეთი თავისთვის იყო, თავისთვის ცხოვრობდა, თავისი ჭირი და ლხინი აწუხებდა, ხოლო პატარა შორს ცალკე გახიზნულიყო მცირე დასი აღტაცებულ ყმაწვილ-კაცობისა, შესტრფოდა ევროპის მეცნიერებასა და ლიტერატურას და ამათის შთაგონებით ითვისებდა ისეთს აზრსა და გრძნობას, რომელიც ძალიან შორს იყო მაშინდელი რუსეთის აზრსა და გრძნობაზე. ვინც კი, ცოტად თუ ბევრად, იცის ისტორია რუსეთის საზოგადოების გონებრივი წარმატებისა, იმას ცხადად და ნათლად აქვს თვალწინ წარმოდგენლი მეტად მიმზიდველი ცხოვრება ამ მოსკოველ ათინელთა. ეს ახალგაზრდა ათინელები უფრო მეტ დროს გერმანიის ფილოსოფიის სწავლებას ანდომებდნენ, ან არა და, დაუსრულებელსა და საამურს

სჯაში იყვნენ გართულნი ისეთის საგნების გამო, რომელსაც უფრო განყენებულისა და ურომელო საგნების თვისება ჰქონდათ. ნუთუ ასეთი ცხოვრება ამ ხალხისა მარტო სტანკევიჩისა და ბელინსკის ბრალია? ან ნუთუ მიზეზი ასეთის ცხოვრებისა იყო ბელინსკის ეგრეთწოდებული «ფილოსოფოსი მეგობარი», ის აფიცერი არტილერიისა, რომელმაც შემდეგ სახელი განითქვა ევროპაში და ისიც რითი, დაუცხრომელისა და მოუსვენარის პრაქტიკულის საქმიანობით? განა უმთავრესი და განსაკუთრებული თვისება მაშინდელის დროსი არ დაეტყო იმ დასსაც, რომელიც წინანდელს ცოტა გვიან დაარსდა, სახელდობრ გერცენისას, ოგარევისას, სატინისას და სხვათა? განა, აგრეთვე, ეს დასიც, რომელიც ბოლოს პირველს შეუერთდა, მთელს თავის თავისუფალს დროს სათეორიო საგნების განსჯასა და განხილვას არ ანდომებდა, დედა-აზრებს ისტორიისას და კაცობრიობის ცხოვრებისას არ ეტანებოდა, ვიდრე მოთავენი ამ დასისა თავის ქვეყანაში იყვნენ? მართალია, ეს დასი, ცოტად თუ ბევრად, სხვა საგანს ეტანებოდა, სხვა საგანს სწავლობდა, სხვა საგნის გამო ჰქონდა სჯა და ლაპარაკი; ისიც მართალია, რომ ამ ზემოხსენებულის გარემოების წყალობით საზოგადოებრივი წყურვილი და ნატვრა კაცობრიობისათვის უკეთესის მერმისისა ამ დასში უფრო ცხოველი იყო, უფრო სახელდებული, ნიშნობლივ წოდებული, მაგრამ განა ყოველ ამის გამო იცვალა თავისი ზოგადი ფერი მათმა ყოფა-ცხოვრებამ? განა ეს ცხოვრებაც იგივე მარტო ჭკუა-გონებით ცხოვრება არ იყო? განა აქაც აღტაცებით არ ეძლეოდნენ თეორიებს, იდეალების ნატვრას ისევე არ სცემდნენ პატივსა და გულითა და სულით არ უყვარდათ ვრცელი ევროპიული განათლება? თუ ზოგიერთი სალოცავი სხვადასხვა იყო _ დროთა განმავლობაში ეს სხვადასხვაობაც გაჰქრა, _ ეჭვი არ არის, წირვა, ლოცვა, მთელი წესგება ხომ მაინც ერთი და იგივე იყო. წმინდა და შეურევნელი იდეალიზმი _ აი რა იყო შემაერთებელი კავშირი მათ შორის, აი რა იყო ამასთანავე უმთავრესი, ნიშანდობლივი თვისება მაშინდელის დროსი.

თუმცა სამოციანი წელნი პირდაპირი და ბუნებური შედეგია ორმოციანის წლებისა, მაგრამ აბა დააკვირდით, როგორ უეცრად იცვლება სურათი! სამარის მსგავსი მდუმარებისა და დუმილის მაგიერ, რომელიც ჰსუფევდა საზოგადოებაში წინათ, ჰხედავთ ახლა დიდად ფრთაგაშლილს, გამოფხიზლებას, არაჩვეულებრივს აღტაცებას; ჰხედავთ, რომ საყოველთაოდ ინანიებენ წინანდელს ცოდვას, იჩენენ საკვირველს მხნეობასა და მოუკვლელს წყურვილს გარჯისას და საქმიანობისას! იმ მშვიდსა და წყნარ, გულკეთილსა და გულ-ტკბილ კაცთა მაგიერ, რომელნიც ორმოციან წლებში იყვნენ, თქვენ თვალ-წინ სდგანან პირ-მქუხნი და კლდესავით მტკიცე მქადაგებელნი და შეუპოვრად, უშიშრად ამხილებენ საზოგადოებაში ფესვგადგმულ ბიწიერებას; თქვენ თვალ-წინ სდგანან მხნე მოღვაწენი და იწვევენ თავის თანამედროვეთა, ერთად და მწყობრად გავისარჯნეთ ხანგრძლივის მონობისაგან ეს-ეს არის ეხლა განთავისუფლებულის ერის სასარგებლოდაო; თქვენ თვალწინ სდგანან კაცნი მსჯავრისა და რისხვისანი, რომელნიც თუ სადმე ბოროტია, გულდაგულ შეეჯახებიან, გულდაგულ შეეჭიდებიან. დაუმ-ხარდამხარეთ, ამოუყენეთ ერთმანეთს გვერდში ცეცხლმოკიდებული და მხნე დობროლუბოვი, რომელიც წმინდაა თითონაც და წმინდანობას თხოულობს სხვისაგანაც, _ ამოუყენეთ ეს კაცი გვერდში უწყინარსა და გულ-ტკბილს სტანკევიჩს? დაუმხარდამხარეთ ერთმანეთს ეს ორნი უფრო ცხადნი გამომეტყველნი თავ-თავის ეპოქისა და თქვენ მიხვდებით, რა განსაკუთრებულის თვისებისა იყო ან ერთი და ან მეორე, ასე საკვირველად განსხვავებული, დრო.

ჩემის აზრით, არც მეცნიერი დამწერი მილლის «საპოლიტიკო ეკონომიის» სხოლიოებისა, ერთის მხრით, და არც მეორეს მხრით «გაშმაგებული, გულ-ცეცხლი ბესარიონი», როგორც უწოდებდა ბოტკინი ბელინსკისა, არ არიან გამომეტყველნი თავ-თავის ეპოქისა. პირველის შესახებ უნდა ვსთქვათ, მაგალითად, რომ ბუნებამ ის კაცი სრულიად იმ ცხარე და აღტაცებულის დროისათვის არ გააჩინა, როგორიც იყო დრო სამოციანის წლებისა. სწორედ ამ კაცის მაგალითითა ვხედავთ, რა ძალა და ზედ-მოქმედება აქვს კაცზე იმ საზოგადოებურს წყობილებას, რომელსაც მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ «დროს» ან «ხანას» ვეძახით. კაცი დიდის მკვლევარის ჭკუისა, ვრცელად და ფილოსოფიურად განათლებული, საკუთრივ ფილოლოგი, სამეცნიერო და საპროფესორო მოღვაწეობისათვის მომზადებული, სრულიად უცრად და უცაბედად ჩავარდა შიგ შუაგულ ცხოვრების მორევში. მართალია, აქაც არა ჰკარგავს თავის დამჯდარს, მახვილივით მჭრელს, ეჭვიანსა და, ცოტა არ იყოს, დამცინავს გონებას; მართალია, აქაც, თუმცა გარშემო ყურთასმენა არ არის საყოველთაო ჟივილ-ხივილის გამო, ის მაინც დაწყნარებულის, სწორედს მეცნიერულის სიდინჯით არკვევს ცხოვრების სხვადასხვა გარემოებას, მაგრამ მაინც ეს საკაბინეტო მეცნიერი თითონაც გაიტაცა საყოველთაო აღტაცებამ და მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთობას, დაიჭირა ადგილი მეთაურისა, დიდის ნიჭის წყალობით, და შემოიკრიბა გარშემო ყველა გულწმინდა და გონება განათლებული მაშინდელი ახალგაზრდა მოღვაწენი. სხვა დროს, სხვა გარემოებაში ამ დიდად ნიჭიერის კაცისაგან, ეჭვი არ არის, პირველ-ხარისხოვანი სწავლული გამოვიდოდა. მაინც კი ბევრს მიაჩნია ევროპაში პირველხარისხოვან მეცნიერად და იმათ შორის ისეთის სასტიკს მსაჯულსაც კი, როგორიც არის კარლ მარქსი. და აი, ასეთი კაცი, სამოციან წლების აჩქეფებულმა და ადუღებულმა ცხოვრებამ, ძალაუნებურად ჩააყენა პირველ მებრძოლთა შორის და ატვირთებინა საქმე საზოგადოებრივი და პრაქტიკულის მოღვაწესი.

თითქმის ამისთანავე სანახავსა ვხედავთ ბელინსკის მაგალითითაც. მართლაც და სასაცილო, ანუ უკეთ ვსთქვათ, გულდამწყვეტი სანახავი არ არის, რომ ეს გულაღგზნებული კაცი, ეს მღელვარე სულის პატრონი, რომელსაც საერო ტრიბუნისა და ახალის სჯულის ფანატიკოს-მქადაგებლის უნარი უფრო აქვს, ზის და დამშვიდებით სწავლობს რაღაც «ფენომენალოგიას სულისას» ბრძენთა-ბრძენისა და მითამ წესისა და რიგის მოყვარე ჰეგელისას? კაცი დაბადებულა დიდის მოედანისათვის, დიდისა და აღტაცებულის აუდიტორიისათვის, რომ თავის აღგზნებულის მჭერმეტყველებით დასწვას და დასდაგოს გული მსმენელისა; კაცი დაბადებულა ვრცელისა და ნიაღვარივით წამომსკდარის საზოგადო მოღვაწეობისათვის, კაცს უნდა სივრცე თავის ძლიერის ფრთების გასაშლელად, და ის კი, _ თითქო ბედმა სასაცილოდ აიგდოვო, _ დროსა და გარემოების ძალით, იძულებულია გაებას ჰეგელის ფილოსოფიის გაუვალს ბარდებში და თავისი ძლიერი ნიჭი და ღონე მოახმაროს მაშინდელ ხალასს სალიტერატურო ჟურნალებს...

ან თუნდაც დობროლუბოვი? სხვა დრო და გარემოება რომ ყოფილიყო, განა ამ გულჩვილსა და მოსიყვარულე შვილისაგან, ამ უწყინარის და ღვთისნიერის ყმაწვილისაგან, _ ხომ ასე გვეხატება თვალწინ ეს კაცი იმ მიწერ-მოწერაში, რომელიც იმასა ჰქონია თავის დედ-მამასთან და რომელიც ეხლახან დაიბეჭდა, _ ჰო და, განა ასეთის დინჯისა და მშვიდობიანისაგან ისეთი მრისხანე და წარბშეკრული მქადაგებელი გამოვიდოდა ახალი აზრისა და მოძღვრებისა? განა ამ

კაცის საქმე უნდა ყოფილიყო გამკლავებოდა და პირქვე დაემხო უკვე შეწყნარებული და პატივცემული ავტორიტეტები? განა ამას უნდა დაეშალა და დაერღვია საოჯახო ანდერძები, ტრადიციები? ხომ ასეა, მაგრამ დრომ და გარემოებამ თავისი ჰქმნა, რადგანაც ყმაწვილობაშივე მოასწრო ჯერ არ დასრულებულს დობროლუბოვს, და ეს კაცი იმისთანების მქადაგებელი გამოვიდა, რომ განუსაზღვრელად და განუსჯელად მიიზიდა გული და გონება მაშინდელ ცხარე დროების ახალგაზრდობისა.

უფრო საოცარი და საკვირველი მაგალითია მეორე ნიჭიერი წარმომადგენელი სამოციანი წლების ინტელიგენციისა, სახელდობრ, დიმ. პისარევი. თუმცა ამ ფიცხსა და აღტაცებულს ყმაწვილ კაცს იმისთანა ბუნება ჰქონდა, რომ უნდა აჰყოლოდა საზოგადო მოძრაობის ნიაღვარსა და აჰყვა კიდეც, თუმცა ამისათვის დაისაჯა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ნიჭიერი პუბლიცისტი მთელს თავის ძალ-ღონეს ხმარობს და ჰსურს ახალგაზრდობა მოაშოროს პირდაპირს თავის მოვალეობას, სახელდობრ საზოგადოების სამსახურს. ისა სჯობია ისწავლოთ ბუნებისმეტყველებაო, მარტო თქვენის საკუთარის ზნეობისთვის იფიქროთ, მარტო თქვენი საკუთარი კეთილი ცხოვრება ეძიოთო... ასე ჰქადაგობს ეს კაცი მაშინაც კი, როცა სასჯელში იმყოფება იმავე იდეებისათვის, რომელსაც ყმაწვილ-კაცობას უწუნებს... აი სადამდე მიდის, ხანდახან, განსხვავება თითოეულ საზოგადო მოღვაწეს თვისებათა და იმ მოვალეობათა შორის, რომელსაც ძალაუნებურად თავს ახვევს იმ მოღვაწეს დრო და ვითარება, გარემოება ისტორიისა, ანუ საისტორიო «კონიუნქტურა», როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე დინჯი და დარბაისელნი გერმანელნი...

დააკვირდით ახლა ჩვენს საკუთარ ცხოვრებას და ნახავთ, რომ აქაც მოიძებნება ზემოხსენებულის ფარდი მაგალითები. მოიგონეთ პირველი ხანა ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადოების გამოფხიზლებისა. განსაკუთრებული, თვალსაჩინო თვისება იმ კარგის დროებისა, როგორც ყველამ უწყის, ის იყო, რომ მაშინ პირველობდა აზრი კაცთ-მოყვარეობისა და, უფრო კიდევ, აზრი ბატონ-ყმობის უარყოფისა. სამოციან წლებში ახალმა სიომ დაჰბერა ჩვენს დაობებულს ცხოვრებას და აუტეხეს კიდეც ბრძოლა დაძველებულსა და დაძაბუნებულს წესსა და რიგს, შთამომავლობით თანდაყოლილსა და დროს შეუფერებელს ჩვეულებასა და აზრს; აუტეხეს სასტიკი ომი საუკუნეთა ნაანდერძევს კაცთა სამარცხვინო ბატონ-ყმობას, რომელიც მძიმე ტვირთად დასწოლოდა ერს. ახლა არ იკითხავთ, ვინ იტვირთა ქადაგება და მახარობლობა იმ აზრებისა, რომელიც მაშინდელს დროში ღვთის გმობად მიაჩნდათ? არ იკითხავთ, ვინ ამოიღო ხმა დაჩაგრულის გლეხ-კაცობის სასარგებლოდ, ან ვინ ცდილობდა აღედგინა ფეხქვეშ დათრგუნვილი სახელი ადამიანისა და მისი სიყვარული, გლეხ-კაცის სახით, ჩანერგა ახალგაზრდობის გულში? არ იკითახვთ, დასასრულ, ვინ მიიტანა იერიში თავადაზნაურობისა და მის უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ? წარმოიდგინეთ, რომ იმავ თავად-აზნაურებმა, იმავე გვარით განთქმულ ოჯახის შვილებმა, ესე იგი სწორედ იმავ სახლის კაცებმა, რომელზედაც მიიტანეს იერიში, რომ დაექციათ, პირქვე დაემხოთ ამ სახლის ეკონომიური ციხე-სიმაგრე, ესე იგი ბატონყმობა და მუქთი ოფლი ყმებისა... პირველის შეხედვით კაცს ეგონება, რომ განათლებულ ახალგაზრდა თავადაზნაურთ მთელის თავის ღონით, მთელის თავის სწავლა-განათლებით თავი უნდა გამოედოთ, რომ შეემაგრებინათ ის უფლება-უპირატესობანი, რომელიც ხელიდან ეცლებოდა იმათსავე დედ-მამას, იმათსავე

ძმებსა და ნათესავებს; ამას ითხოვდა იმათი საზოგადოებრივი ხარისხი, ნათესავთ მოყვარეობა და საკუთარი გამორჩენა. მაგრამ არა, «ბედმა», ანუ თუნდ გნებავთ, «დრომ» ინება, რომ ისინი და სწორედ ისინი და არა სხვა ვინმე გამოსულიყვნენ და ეტვირთნათ დაცვა ადამიანისა, დაუღალავათ და განუწყვეტლივ ექადაგნათ მისი განთავისუფლების საჭიროება. ახლა მეორეს მხრით შეჰხედეთ საქმეს, დააკვირდით აბა და ნახეთ, ვინ ითავა გაწმენდა ქვეყნისა ხანგრძლივ ცოდვათაგან და ამით, ცოტად თუ ბევრად, გაჰფანტა დამძიმებული და სულის შემხუთველი ჰაერი? იტვირთეს უფრო პოეტებმა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მგოსნებმა და მწერლებმა. აბა ეხლა შეჰხედეთ, რა საოცარი ამბავია: მგოსანს პუბლიცისტის კალამი აუღია ხელში, მგოსანი მებრძოლთა პირველს რაზმში ჩამდგარა, მგოსანი პირველი სცლის თოფს, პირველი მიუძღვის მესვეურსავით საზოგადოებრივ მოძრაობას... რომელი სანახავიღაა ამაზე საინტერესო, ამაზე თავისებური, ამაზე თვალწარმტაცი?

4

წინა წერილში მხოლოდ თითო-ოროლა საბუთი დავასახელეთ, მაგრამ იმითაც საკმაოდ ცხადადა სჩანს, რომ დრო, რომელშიაც ცხოვრობს ერთი თუ მეორე საზოგადო მოღვაწე, უძლიერესს ფერსა სდებს არა თუ მარტო მთელს იმის მოღვაწეობას, ასე გასინჯეთ, თვით იმის საკუთარს ხასიათსაც კი. ეს კიდევ არაფერი. ზოგიერთი დრო, ეპოქა თითქოს ჰბადავს კიდეც თავისთვის საჭირო კაცსაო: ჰბადავს მით, რომ იწვევს საასპარეზოდ ბრძოლისათვის საჭირო მხნეობასა და სიმტკიცეს. ამისთანა დროს, თითქოს ქვეყანა აქამდე სთვლემდა და ახლა გამოფხიზლდაო, თავს იჩენს ახალი, მანამდე მიძინებული და მიბინარებული ძალ-ღონე და უცბად, თითქო მოულოდნელად, გამოდიან მოედანზედ ახალნი ნიჭიერნი და მებრძოლნი კაცნი, რომელთაც წინა დღით თითქო ვერავინ ჰხედავდა, ვერავინ ამჩნევდა. მოულოდნელობა კი არავის უნდა ეგონოს. თუ მართლა თვით საზოგადოების გულსა და სულში, იმის წიაღში არა ღვივის საკმაო ნაღვერდალი ჭკუა-გონებისა, თუ არ არის რამდენიმე ძლიერი ნიჭის პატრონი, მტკიცე ხასიათის კაცი, ვერავითარი დრო და ეპოქა, რაც უნდა დიდი და დიდებული იყოს (ან საიდან იქნება დიდი უიმისოდ!), თითონ ვერ შეჰქმნის, ვერ გააჩენს ამ ძალ-ღონის კაცებს. დროს შეუძლიან მხოლოდ მიძინებული მღვიძარედ გადააქციოს, შეუძლიან ნიშნობლივი ფერი მისცეს საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობას, შეუძლიან გააჩინოს ან ერთი, ან მეორე მიმართულება, შეუძლიან წაახალისოს და შთაბეროს სიო ახალის ცხოვრებისა ხანგრძლივი ლოდინით გულგადალეულს კაცსა.

აი სწორედ ამაზედ ამბობენ, რომ ისტორიამ იმოქმედა, აიყოლია და გამოიყენა თითოეულის კაცის ძალ-ღონე იმ საზოგადო საქმეების გასაკეთებლად, რომელიც გააჩინა, წინ წამოაყენა და თავზე მოიგდო ცხოვრების მორევმა და იმისმა ტრიალმაო. ეს ხომ ასეა, მაგრამ არც ის არის ეჭვს გარეშე, რომ ისტორიის ზედმოქმედება ერთიანი კრებულია თითოეულის კაცის ცალკე ღონისა და უღონობისა და სხვა არა-რა. ამ მხრით თითეულს კაცს დიდი და პატიოსანი საქმე აქვს წილხდომილი ისტორიაში: კაცს შეუძლიან ისტორიას დაეხმაროს, ხარიხები მოაშოროს და სიარული გაუადვილოს, შეუძლიან გაასწოროს გამრუდებული სვლა ისტორიისა, იქით მიჰმართოს გზა მისი, საითაც უკეთესია და სასურველი. ბოლოსა და ბოლოს საზოგადო ანგარიშს არა აკლდება-რა, ამაოდ არა იკარგება-რა: არც ისა, თუ ვინმე მხნედ და მღვიძარებით ჩაერია ამ წუთისოფლის საქმეებში, არც ისა, თუ

ვინმე სულითა და ხორცით მოშვებულმა თავი მოარიდა მამულიშვილობის მოვალეობას. ერთიცა და მეორეც, მოქმედებაცა და არ მოქმედებაც, ღონეცა და უღონობაც აუცილებლად დაეტყობა საზოგადო მდინარობას ცხოვრებისას და ამ სახით თითოეულს კაცს ცალკე დააჩნდება ზოგადი ხასიათი ისტორიის ზემოქმედებისა იმისდა მიხედვით, რა უფრო ჭარბად არის საზოგადოებაში, მოქმედება, თუ უქმობა, ღონე თუ უღონობა. რაიცა შეეხება საკუთრივ ამ ზედმოქმედებას ისტორიისას, იგი იმდენად ძლიერი და აუცილებელია, რომ მისის მიზეზით ქვეყნის ძალ-ღონე და თითოეულის ნიჭიერება ხან გადაიშლება და ჰყვავის ვარდივით, ხან, პირიქით, ისუსხება, ჭკნება და ხმება კიდეც სრულიად. ამ გაშლა-აყვავებასაც და დაჭკნობა-გახმობასაც მოარულივით გადამდები თვისება აქვს. თუ ფრთა გაშლილი მოძრაობა, რომელსაც ჩვეულებრივ თან მოსდევს ძლიერი სიფხიზლე-მღვიძარება და გამოცოცხლება, აჩენს და თითქო ჰბადავს ძლიერს სამეთაურო და სამესვეურო კაცებს, სამაგიეროთ ჟამსა მიყრუებისასა და მოუძლურებისას, _ როცა ტყვიასავით მძიმე დრო მაჯლაჯუნასავით აწევს ქვეყანას, თითქო უნდა დაახრჩოს და სული ამოჰხუთოსო, თითქო უნდა ამოჰგლიჯოს გულიდამ, თუ რამ სურვილი დარჩენია უკეთესის მერმისისაო, როცა ისეთი შავი და ბნელი დროა, რომ ასეთი სურვილი მასხრობად მიაჩნია ერის სიმრავლესა, ანუ სუსტსა, შემდრკალსა და უფრო კი ანგარებით შეპყრობილს, _ ამისთანა შავსა და უკუღმართს დროს არამც თუ ძნელია ახალმა ნიჭმა თავი იჩინოს, არამედ, ქვეყნის საუბედუროთა და სავალალოდ, ჰქრებიან და მცხრალ მთვარესავით ილევიან ისინიც კი, ვინც წინათ იყვნენ და კაშკაში გაჰქონდათ.

ცხოველი მაგალითი ამისა თვალწინა გვაქვს, რუსეთი, რომელმაც უკვე გემო გაიგო სამოციანის წლებისა, და ცოტა არ იყოს, პირი ჩაიმტკბანურა სამოცდაათიანებითაც, ეხლა, სამწუხაროდ, ოთხმოციანებსაც ჰხედავს. ვერავითარი სიტყვა ისე კარგად ვერ აღნიშნავს ნიშნობლივს ვითარებას ეხლანდელის დროისას, როგორც სიტყვა გათახსირება («Оскудение»). ამ ყოფამ უნუგეშობითა და სასოწარკვეთილებით ამოაკვნესა გული რუსეთის დიდებულის მწერლისა: «მე ვხედავ ნაცრის ფერს ცას, ნაცრის ფერს სიგრძე-სიგანეს, ავსებულს ნაცრის ფერისავე ლანდითა და მოჩვენებითა, _ სწერს სალტიკოვი, უკვე ცალის ფეხით სამარეში ჩამდგარი, _ ნაცრის ფერად მოცული ჭაობია და შიგ ირევიან და ფუსფუსებენ ნაცრის ფერივე ქვემძრომნი და ჭია-ღუები; ნაცრის ფერს ჰაერში ხმა ამოუღებლივ, უძრავად ქანქარებენ ნაცრის ფერი ფრინველნი; გზაც კი ისეთია, თითქო ნაცარი მოუყრიათო. გული სწუხს, იწვის უცნაურის, უზომო სევდისაგან. გულს ამძიმებს, აძმარებს ეს ნაცარი და ნაცრის ფერი. უფრო იწვის, უფრო იდაგება გული, რომ გარშემო ყოველსავე ხმა გაუკმენდია და მდუმარებს. არსაიდან ხმა, არსაიდამ ჩამი-ჩუმი... სხვა არა-რაა, მარტო ნიშნებიღაა წარწყმედისა!.. რაც უფრო შიგ შედის კაცი ამ გზადაბნეულს უდაბნოში, მით უმეტესად თრთის და ჰგრძნობს გონების დამხშობელს უიმედობას, რომელსაც ყოველივე გაუქვავებია და დაუმუნჯებია გარშემო... ყველაფერი გადამხმარა, ყველაფერი გადამჭკნარა, თანდათან მიცოცავს და გველივით მიძვრება გულში გრძნობა გათახსირებისა. და აი ვგრძნობ, რომ მოდის დრო, როცა ყოველივე ჩემი გრძნობა, ჩემი გული, არსებაც გაქვავდება, გაშეშდება...»

ეს საშინელი სურათი, დახატული შესანიშნავის მწერლის ხელოვანის კალმით, იმიტომ კი არ მოვიყვანე, რომ დავანახვო მკითხველს ეხლანდელი ყოფა და ან იმიტომ კი არა, რომ განვუმარტო, როგორ სწვავს ასეთი ყოფა, უკეთესთა კაცთა

გონებასა და გრძნობას. ამას გარდა, ფიქრად მქონდა აღმენიშნა ერთი ცხადი გარემოება, რომელსაც ჩვენ მეტად ადვილადა და ხშირად მივივიწყებთ ხოლმე, სახელდობრ ის გარემოება, რომ ეს უცნაური ჯანღი და ბურუსი სხვისა, ცოტად თუ ბევრად, ჩვენს საკუთარს ცხოვრებასაც აჩრდილებს და აბნელებს.

არ ვიცით, ვინ როგორა და რას ჰფიქრობს იმ გონებრივისა და ზნეობრივის კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ჩვენსა და რუსეთის საზოგადოებას შორის, ხოლო საკუთრად ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ რუსეთის ცხოვრების კულტურული ზედმოქმედება ჩვენსაზე მეტად დიდია და აუცილებელი, რომ მცირეოდენი ცვლილებაც კი რუსეთის მოთავე და თაოსან საზოგადოების ყოფა-მდგომარეობისა დაუყოვნებლივ სცვლის როგორც ჩვენის ინტელიგენციის ფერსა და იერს, ისე ჩვენ საზოგადოებრივ საქმეთა მიმართულებასაც.

საჭირო არ არის, რომ ამ აზრის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითი ჩამოვთვალოთ. დავასახელებთ მხოლოდ გახსენებისათვის იმ ყველასაგან ცნობილს გარემოებას, რომ რეფორმების დრომ რუსეთის სახელმწიფო ცხოვრებისამ სამოციანი წლების დამდეგს პატარა ხანს უკან ჩვენც ბევრგვარი ცვლილება მოგვიტანა და ბევრი რამ შესცვალა არსებითად ჩვენს საერო და სამოქალაქო ცხოვრებაში. არა ნაკლებ ცნობილია ყველასაგან ის გარემოებაც, რომ წარსულის მეფობის დასასრულს, როცა ისე შესამჩნევად გამოფხიზლდა რუსეთის საზოგადოება და ლიტერატურა, როცა გაჩნდა დიდი პროექტები და პლანები, როცა დაიბადა მოუთმენელი და ძლიერი ლოდინი რუსეთის ცხოვრების შეცვლისა ძირეულად და არსებითად, ჩვენც მაშინვე თითქო გონს მოვედით. მაშინ ჩვენმა მიძინებულმა და გულხელდაკრეფილმა საზოგადოებამაც იგრძნო თვისი მოვალეობა, თვისი კაცადი კაცობა და როგორც იყო გაბედა პირდაპირ და უშიშრად დაჰკვირვებოდა თავის ყოფა-ცხოვრებას. ასეთი გამობრუნება საზოგადოებისა კიდევ მაშინვე დაეტყო ჩვენს მწერლობასაც და უცბად წელში გაიშალა, შეიბერტყა ფრთები, გამოცოცხლდა. ვის არ ახსოვს ჩვენში ის კარგი და იმედიანი დრო? ასე გასინჯეთ, თვით ჩვენც კი, თუმცა ძალიან დაშორებული ვიყავით მშობელს ქვეყანასა და იმის საქმეებს და მხოლოდ თითოოროლა გაზეთის ნაწყვეტით თუ შეგვეძლო ყური გვეგდო საზოგადო ცხოვრების მაჯის ცემისათვის, ჩვენც კი დიდის ხნით გამოუცდელს აღტაცებასა ვგრძნობდით. მაგრამ ვაი რომ ისე ამაო და ადრეული გამოდგა ჩვენი იმედი და სასოება!.. მალე და ძალიან მალეც ჩვენი ქვეყანა კვლავ მოიცვა წინანდელმა ნაცნობმა მდუმარებამ და მცირეს ხნის აღფრთოვანება სულისა კვლავ შესცვალა უმოძრაობამ, თავმოყვარეობამ და გონებრივმა სიმდაბლემ!..

განა ცხადი არ არის ყველასათვის, ვინც კი ერთხელვე აჩემებულს აზრს არ ადგია, რომ ამ წაღმა-უკუღმა ტრიალს ჩვენის ცხოვრებისას, ამ აღფრთოვანებასა და ფრთების ჩამოყრას სათავე რუსეთში აქვს, რადგანაც რუსეთის ცხოვრების ცვლილება მაშინვე ზედ დაეტყობა ხოლმე ჩვენსასაცა? ეს იგივეობა და ერთ-ხანიანობა ცვლილებისა, და მხარდამხარ სვლა განა აუცილებლად არ აფიქ-რებინებს კაცს, რომ მათი დამბადებელი მიზეზიც, მათი გამჩენი საბუთიც ერთი და იგივე უნდა იყოს? ნუ გავარკვევთ იმას, კარგია თუ ავი, რომ ასე სხვის წაბაძვითა და წახედულობითა ვცხოვრობთ, რომ სხვისი ნათელი გვინათებს და სხვისი სითბო გვათბობს, რომ ჩვენც ფეხს ავიდგამთ ხოლმე მარტო მაშინ, როცა სხვა დაიწყებს სიარულსა. კარგია თუ ავია, საქმე, უეჭველია, ასეა. ხოლო რაკი ასეა საქმე, ისიც უნდა ვიცოდეთ, რა მოსდევს და რა აუცილებელი შედეგი აქვს

ამისთანა ამბავს. უნდა ვიცოდეთ გაბედვით თვალი თვალს გავუყაროთ და განზრახ არ დავამცირეთ მისი მნიშვნელობა. გარჯა და მუშაობა მერმისისათვის მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა, უპირველეს ყოვლისა, აწმყოს ნიადაგს არა შორდება და ამ ნიადაგზე აქვს ფეხი მომაგრებული: არ შეიძლება, რაც უნდა ვეცადნეთ, ხიდი გავდოთ მერმისსა და ნამყოს შორის და ამასთანავე გზა ავუქციოთ აწმყოს. ათასიც რომ სამწუხარო და უნუგეშო იყოს აწინდელი ვითარება და ყოფა-ცხოვრება, მაინც უნდა ვეცადნეთ, ის ღალა მოვაცემინოთ და ის სარგებლობა მოვაღებინოთ, რის მოცემა და მოღებაც კი შეუძლიან. რაკი ერთხელ და ერთხელ ბედი ქვეყნისა და ბედი რუსეთის საზოგადოებისა ასე დამოკიდებულია ერთმანეთზე, რაკი რუსეთის ცხოვრების ვითარება და მიმართულება ასე აუცილებლად, ცოტათ თუ ბევრად, ზემოქმედობს ჩვენში, ცხადი არ არის განა, რომ კულტურულს წარმატებას რუსეთისას ბეჯითად თვალი უნდა ვადევნოთ და გულ-ხელ დაკრეფით არ უნდა შევცქეროდეთ. პირიქით, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ფხიზლად და თვალგაფაციცებით ვადევნებდეთ თვალ-ყურს და ვიძიებდეთ რუსეთის ცხოვრების ვითარებასა და, შემლებისადაგვარად, ჩვენც ხელს ვუმართავდეთ რუსეთში და მით ჩვენშიაც კეთილის ზნეობისა და უკეთესის ცხოვრების დამყარებას.

ხოლო ვინ არ იცის, რომ ჩვენ, არამც თუ ამას, იმასაც კი არა ვცდილვართ, რომ რუსეთის საზოგადოებას ჩვენის შემწეობით გაეცნო ჩვენი კულტურული და ზნეობრივი ვინაობა. მაგრამ ეს კიდევ ისე მძიმე ცოდვა არ არის, რადგან ეს ცოდვა იქნებ უნებურიც იყოს. ჩვენ სხვა უფრო მძიმე ცოდვა მიგვიძღვის: ეს ის ცოდვაა, რომ ჩვენ თითქო განგებ, ხან ნებით და ხან უნებლიეთ, ვცდილობთ გვერდი ავუქციოთ, უყურადღებოდ დავტოვოთ რუსეთის ცხოვრება, ვერიდებით და გვეუცხოვება რუსეთის ინტელიგენცია და ვივიწყებთ, რა მძიმე და სამწუხარო შედეგი მოსდევს ასეთს ქცევასა და მოქმედებას.

5

წინა წერილში თქმული რომ ლიტონ სიტყვათ არავინ ჩამოგვართვას, დავაკვირდეთ ერთს გარემოებას, რომელიც მეტად ახლოა ჩვენს საუბარზე. დავაკვირდეთ და ვნახოთ, რა შედეგი მოაქვს იმ ბრძნულის რჩევის დავიწყებას, რომელიც მოგვცა სახელოვანმა ლესინგმა ჯერ ისევ 1778 წელს. გერმანიის ლიტერატურის მამამთავარმა გადაჭარბებით აღტაცებულ და ცალ-კერძად მიმარ-თულ კაცთა გასაფრთხილებლად დასწერა: «სასურველია, დიდად სასურველია, რომ ყოველს ქვეყანას ჰყავდეს ისეთი კაცები, რომელნიც არ იშვნევენ ერის ცხოვრებაში ფესვგადგმულს ცრუ და ამაო მოძღვრება-მორწმუნეობას, ისეთი კაცები, რომელთაც კარგად ახსოვთ, სახელდობრ როდის აღარ ჩაითვლება პატრიოტობა ქველობად»... პატრიოტობა, ჩემის აზრით, სწორედ იმ დროდან აღარ უნდა მივიჩნიოთ ქველობად, როცა კარს უხშობს და უკეტავს ქვეყნის წარმატებას, როცა აჯობინებს იყოლიოს ერი დამძიმებულსა და დახშულს ჰაერში და გადაჭარბებით ცდილობს, არ მიაკაროს სხვათა ერთა განათლების სარგებლო სიო და მაცოცხლებელი ნიავი. ეხლავე ვნახავთ, რომ ეს საანბანო ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, ძალიან და ძალიან ხშირად დავიწყებაშია ხოლმე.

ყველამ იცის, რომ ერთი დიდი ნაწილი ჩვენის განათლებულებისა, ჩვენი ინტელიგენციისა, უმაღლესს სწავლას რუსეთის უნივერსიტეტებსა და სხვა მაღალ სასწავლებლებში იძენს. უკეთესს დროს, თითქმის მთელს თავის ყმაწვილ-კაცობას,

_ ამ მშვენიერს გაზაფხულს თითოეულის კაცის სიცოცხლისას, _ როცა გულს სწყურიან სიკეთე და «გონება ცას იქით ეძიებს სადგურს», როცა ის-ის არის უნდა ჩამოიქნას ხასიათი ყმაწვილის კაცისა და ჩაედგას საძირკველი მის შემდეგს სარწმენსა და სათაყვანებელს, _ აი სწორედ ამ დრო-ჟამს ჩვენი სტუდენტი ატარებს, ანუ შეუძლიან გაატაროს რუსეთის ყმაწვილობასთან აზრთა აღებ-მიცემობითა. რა დასამალია, ან ვინ არ იცის, რომ უკეთესი ნაწილი რუსეთის სტუდენტობისა გამსჭვალულია ფრიად სასურველისა და კაცთმოყვარე მიმართულებით, რომ მისი გული და გონება ერთან არის და ამ ერის საბედნიეროდ სწყურიან გარჯა და მოქმედება. თითეული წევრი ამ ჭაბუკთა კრებულისა ფიქრობს, რომ ცხოვრებაში საზოგადო მოღვაწეობა მომელისო და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს მეტი ცოდნა შესძინოს თავის გონებას, ფაქიზად მოუაროს და გაწვრთნას თავისი ზნეობრივი გრძნობანი, განამტკიცოს და გამობრძმედოს თავისი ხასიათი, მოიკრიბოს ძალა ვაჟკაცობისა და მოიპოვოს უნარი მხნეობისა, რომელიც ასე საჭიროა ცხოვრების სიბრიყვისა და უგუნურობის გასამკლავებლად და დასაძლევად. ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კაცისათვის ასეთ წმინდასა და მარგებელს ჰაერში ყოფნას, რანაირ უნდა ამაღლებდეს და სწრთვნიდეს ასეთი საურთიერთო კრებული, აღსავსე ასეთის გრძნობითა და აზრით. ხოლო ვისაც უნდა, რომ უნივერსიტეტი იმისთანა სასწავლებლად არ გადაექცეს, რომელიც მხოლოდ დიპლომს იძლევა სამსახურში კარგის ადგილის დასაჭერად, ან საამხანაგო კრებული არ გაუხდეს საამფსონოდ ქეიფისა და დროს გატარების მოედნად, საჭიროა ყმაწვილმა კაცმა ჯერ თითონვე გაიჩინოს და გაიმტკიცოს ხალისი საზოგადოებრივ მეცნიერებისა და იმ ცხოველისა და საყურადღებო საგნებისა, რომელსაც ეძლევა რუსეთის უკეთესი სტუდენტობა. საკმაო არ არის ცარიელი ყოფნა უნივერსიტეტში. საჭიროა, ამას გარდა, დაუახლოვდე, დაუმეგობრდე შენს ამხანაგებს სიტყვა-პასუხით, გონებისა და აზრის აღებ-მიცემით. რაკი ჩვენი საკუთარი უნივერსიტეტი არა გვაქვს, რაკი ჩვენში არ არსებობს საკუთარი ცენტრო გონებრივის ცხოვრების და ამიტომ აუცილებელია და სავალდებულო წასვლა ცივ ჩრდილოეთად, იმას მაინც უნდა ვეცადოთ, რომ ღალა ავიღოთ ყოველ იმისაგან, რასაც მოგვცემს სულ სხვა ტომის ახალგაზრდობასთან ყოფნა, ერთად სწავლა, ერთად განათლება, სულ სხვა ხასიათებისა და სულ სხვა ზნე-ჩვეულების ნახვა და განცდა. თუკი კარგის ნაცნობის შეხვედრა და მასთან ლაპარაკი უსარგებლოდ არ ჩაივლის ხოლმე ჩვენთვის, თუკი ახლად გაცნობილი კაცის საუბარი გამოგვაცოცხლებს ხოლმე, მაშ რამდენად უფრო სასარგებლო და საგულისხმიერო უნდა იყოს ჩვენის ახალ-გაზრდობისათვის ახლო ყოფნა, საფუძვლიანი გაცნობა იმათი, ვინც სულ სხვა გარემოში განვითარებულა, სულ სხვა ბუნებაში წამოზრდილა, ვისზედაც სულ სხვა საისტორიო ვითარებასა და ანდერძებს უმოქმედნია და ვისთვისაც სულ სხვაგვარად აგებულსა და მოწყობილს ოჯახს მოუვლია და უპატრონებია.

ვითომ ეს გარემოება არ უნდა იყოს, სხვათა შორის, მიზეზი იმისა, რომ ინგლისის აღზრდა-განათლების წესი საჭიროდ სთვლის, ახალგაზრდა კაცმა მოიაროს უცხო ქვეყნები და გაიგოს იქაური ამბავი და გარემოება? ჭკვიანმა ინგლისელებმა კარგად იციან, რომ გაცნობა და გაგება უცხო ზნისა და ჩვეულებისა, თვალდათვალ ნახვა და დაკვირვება სხვათა კულტურისა და ერთა წარმატების სხვადასხვა სახისა და მრავალფერის ვითარებისა აუცილებლად განადიდებს თვალთახედვის ისარს ყმაწვილის კაცისას და დაამთავრებს,

დააგვირგვინებს სკოლაში შეძენილს აღზრდა-განათლებას. და თუმცა ინგლისელი არსად და არასოდეს არ ივიწყებს, რომ ინგლისელი ვარო, წარმომადგენელი მდიდარისა, ძლიერისა და თავისუფალის ერისაო, ისიც მუდამ ახსოვს, რომ კარჩაკეტილში ცხოვრება, სხვის მიუკარებლობა და გარშემო კედლის შემოვლება სამარეა ერის ძალ-ღონეთა თავისუფალი და მრავალკერძად განვითარება-წარმატებისათვის. მართლაცდა საშიში და მავნებელი ის კი არ არის, რომ დაუახლოვდე და დაუმეგობრდე თუნდა სულ სხვა სარწმუნოებისა და სხვა ტომის კაცს, არამედ საშიში და მავნებელი ის არის, რომ უმეცრებითა და უგუნრებით, მხდალსა და ლაჩარ კაცსავით, თავს იმალავდე შინ, თავს იკეტავდე სახლში და განგებ ერიდებოდე თანამედროვე ცხოვრების კულტურულ მდინარეობის ძლიერს ზედმოქმედებას.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ინგლისელების სანაქებო ჩვეულების დასახელებას არ იკმარებენ საბუთად ჩემი მკითხველები და უფრო ძლიერს საბუთს მომთხოვენ. მაშ მოგახსენებთ, _ რა გვარად ექცეოდა იტალიის ინტელიგენცია ევროპის დემოკრატიას. იტალიისათვის იმ ფრიად სამწუხარო დროს, როცა ეს მშვენიერი ქვეყანა ხარბისა და ანგაარების მოყვარე ავსტრიელების ხელში იყო, როცა დანაწილებული, შეგინებული და დამონებული უცხოობის მძიმე უღელ ქვეშ იდრიკებოდა, განა იმ დროს თავგანწირულნი მოღვაწენი იტალიის განთავისუფლებისა კარჩაკეტილნი ისხდნენ შინ და მარტო თავის სამშობლოში მუშაობასა სჯერდებოდნენ? განა ისინი არ იყვნენ, რომ, პირიქით, ისეთის ხალისით ეტანებოდნენ ევროპის მეთაურ ინტელიგენციას? ვინ არ იცის, რომ იყო დრო, როცა ხშირად და ძალიან ხშირად ევროპის დემოკრატიის საზოგადოებრივ დაწყობილების ყველა საბლის წვერები მაძინს სჭერია თავის გამოცდილსა და ძლიერს ხელში? ვინ არ იცის ის, პირველი შეხედვით, უფრო საკვირველი გარემოება, რომ პირვანდელი პროექტი მუშების საერთაშორისო ამხანაგობისა შეადგინა, თუმცა არ-კი შეიწყნარეს, იმავ დაუღალავმა იტალიის დემოკრატმა და მამულის შვილმა. მართლა მარტო უცხო სტუმართა უხვის გამასპინძლებითა, მათთვის სადილების გამართვითა და მხურვალედ წარმოთქმულის სანადიმო სიტყვებით კი არ მოუპოვებიათ იტალიელებს თანაგრძნობა ევროპის საზოგადოებისა. გავისარჯოთ ევროპის უკეთეს კაცებთან ერთადაო, დავუახლოვდეთ იქაურ მეთაურებს, გავუამხანაგდეთ იმათაო, დამჯდარის ჭკუით ვისწავლოთ და ვიცოდეთ, რა გზით მიდის საერთოდ წარმატება კაცობრიობისაო, მხნედ ჩავერიოთ ევროპის სხვათა ერთა საქმეშიაც, როცა საჭირო იყოსო, _ აი ეს არის შესაფერი გზა ჩვენის სანატრელისაო, _ ამბობდნენ მამამთავარნი და პირველნი დამცველნი იტალიის ბედისანი. და მართლაც, ვინ არ იცის, რა სახელი შესძინა იტალიელებს ს. ამერიკის ლაშქრობით გარიბალდიმ, ამ დიდებულის გულის კაცმა და უფრო დიდებულმა პატრიოტმა? სულ ერთი მუჭა იტალიელები კი ჰყვანდა თან ამ საკვირველს კაცს და ამ ერთის მუჭა მეომრებით იცავდა თავისუფლებას სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებისას. ჯერ ეხლაც კი თავს იჩენს ის მეგობრობა, რომელიც ჰქონიათ ოდესმე იტალიის პატრიოტებსა და საფრანგეთის დემოკრატიას: ვინც კი გაზეთებს თვალ-ყურს ადევნებს, კარგად უნდა იცოდეს, რა თვალით უცქერის იტალიის დემოკრატია იტალია-გერმანიის ხელშეკრულებას, რომელსაც საფრანგეთის დასუსტება აქვს საგნად; აგრეთვე კარგად უნდა იცოდეს, რა პატივი სცეს ფრანგებმა იტალიელ მეგობრებს, რომელთაც დეპუტაცია გაჰგზავნეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ.

ამისთანა ამბავსავე ვხედავთ პოლშაშიაც. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ პოლშელებს არ ეტყობოდეთ, ცოტად თუ ბევრად განზე დგომა, რომ თავს არ იწონებდნენ და შინ არ იკეტავდნენ; ვერ ვიტყვით, რომ ცოტად თუ ბევრად, თავი არ მოჰქონდეთ თავიანთის სახელოვანის წარსულითა და მართლა მდიდარის ლიტერატურით; მაგრამ ამ ბოლოს დროს იქაც დიდი ცვლილება მოხდა ამ მხრით. ვისაც კი თვალ-ყური უდევნებია პოლშელების ცხოვრებისათვის, უსათუოდ შენიშნავდა რანაირ გაუძლიერდა პოლშის ინტელიგენციას ხალისი რუსეთის ცხოვრებისა და ლიტერატურის ცოდნისა. პოლშის ინტელიგენცია დიდი ხანია წი-ნანდებურად აღარ უბღვერის, მტრად აღარ მიაჩნია რუსეთის განათლებული საზოგადოება. პოლშის ინტელიგენციამ შეიგნო, რომ საერთო გონებრივი და ზნეობრივი ინტერესები შემაერთებელი ხიდია ჩვენსა და რუსეთის ინტელიგენციის უკეთეს ნაწილს შორისაო და, რაკი მიხვდა ამას, თანდათან უახლოვდება კიდეც ამ უკეთესს ნაწილს.

დასასრულ, ახალი ხანა ირლანდიის საეროვნო-მოძრაობისა უფრო უკეთესი საბუთია ჩემის აზრის დასამტკიცებლად. ვინ არ იცის, რომ ირლანდიის თვითმმართველობის მძებნელთ ათასგვარი ღონისძიება სცადეს, ათასგვარი ხერხით შეებრძოლნენ ინგლისის ბატონობას, მაგრამ ბოლოს გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ თუ გვინდა ჩვენს საწადელს მივაღწიოთ, გულწრფელად უნდა დავუახლოვდეთ ინგლისის ლიბერალებსაო, შევკრათ იმათთან კავშირი და ერთობით ვიმოქმედოთო. ჯერ ისევ გუშინ შეურიგებელნი მტერნი, ისეთი მტერნი, რომელთაც მორიგება შეუძლებელ საქმედ მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, რომ ჩვენი საწადელი სულ სხვაა და იმათი-სხვაო, დღეს ხელს უწვდიან ერთმანეთს და შეერთებულის ძალით მოქმედობენ. ამ სახით შეერთებულნი, ერთობითა და ძმურის გარჯით, დაუღალავი ქადაგებით ცდილობენ მოიახლოვონ დრო ირლანდიის ერის სანატრელი სურვილის შესრულებისა. ჭეშმარიტად, ეს მომხრეობა და კავშირი სახელგანთქმულ ირლანდიელთა მეთაურის პარნელისა და ინგლისელ ლიბერალების მესვეურისა «დიდის მოხუცის» გლადსტონისა, ისეთი საგულისხმიერო მაგალითია, რომლისთანაც იშვიათია მთელს მსოფლიო ისტორიაში! გამწვავებულმა ომმა და ერთმანეთის გაუგებრობამ ალაგი დაუთმო დიდის გულდადებით მოფიქრებულ ბრძოლის წესსა და რიგს ორის მოპირისპირე დასისას, რომელთა აწ შეერთებულსა და ერთიანს მოღვაწეობას მოჰყავს დღე საბოლოვო და უეჭველის გამარჯვებისა. მე მგონია, რომ მთელს იმ ხანაში, რაც ხანი ისე გმირულად და თავგანწირულად ებრძვიან ირლანდიელები ინგლისის ბატონობას, ირლანდიას არა ჰყოლია უფრო მეტად გულწრფელი, უფრო მეტად სასარგებლო და მხნე მოკეთენი, ვიდრე არიან მისთვის დღეს ინგლისის ლიბერალები. ეს დასი იმას როდი კმარობს, რომ შორით თანაუგრძნობდეს ირ-ლანდიის მოღვაწეთა სურვილსა და განზრახვას, მხოლოდ გულით იყოს მონდომებული მათს ბედნიერებას, არა, თვით საქმითაც, გარჯითა და მხნეობითაც ცდილობს ნამდვილი და ჭეშმარიტი სამსახური და მოკეთეობა გაუწიოს. არა ჰზოგავს არც ფულსა და შეძლებას, არც დროსა და ჯაფას, უკან აყენებს დროებით ყველა სხვა საქმეს, რომლის გაკეთებასაც თხოულობს თვით ინგლისის ცხოვრება, და მთელს თავის ძალ-ღონეს, თავის გულისყურსა და თავის ნიჭიერ წარმომადგენელთა გამრჯელობას ზედ ახმარებს ირლანდიის გამწვავებულ საქმეს. მართალია, ასეთი საქციელი, პირველ შეხედვით, დიახ უცნაური და საკვირველი, გამოწვეულია იმით, რომ, უპირველეს ყოვლისა, თითონ ინგლისისათვის არის

სახეირო და საბედნიერო, მაგრამ კიდეც ეგ არის საოცარი და საგულისხმიერო: გაცხარებულსა და გამწვავებულს საეროვნო ბრძოლაში მეთაურებმა გამოიჩინეს იმდენი გამბედაობა და შორსმხედველობა, რომ მეგობრულად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი და მიხვდნენ, რომ ურთიერთობით საქმის დაჭერა ჯერ ხანად მაინც ორსავ მხარესათვის სახეიროა.

ყველა ეს მაგალითები, მგონია, ცხადად გვიჩვენებს, საით უნდა ჰქონდეს, სხვათა შორის, გულისყური ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას რუსეთში ყოფნის დროს. რუსეთის ინტელიგენცია მეტად მიმზიდველი და საყვარელი ინტელიგენციაა სხვა ინტელიგენციათა შორის. ვრცელი განათლება, პატიოსანი კაცობრივი ნატვრა-სურვილნი, პირდაპირი, გულუბრყვილო და პატიოსანი ხასიათი, უნარი აღტაცებისა იმ დიდებულის აზრითა და საქმით, რომელიც აღელვებს მთელს ეხლანდელს კაცობრიობას, _ აი რა არის განსაკუთრებული და ნიშნობლივი მისი თვისება. რა თქმა უნდა, აქ ჩვენ სახეში გვყავს არა მთელი ინტელიგენცია რუსეთისა, არამედ მისი უმაღლესი და უკეთესი ნაწილი. დაახლოვება ინტელიგენციის ამისთანა ნაწილთან საკეთილოა არა თუ ჩვენის ახალგაზრდობისათვის, არამედ, მე მგონია, რომ ამ მახლობლობას მცირედი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ექმნებოდა მთელი ჩვენის ქვეყნისათვისაც.

6

რა უნდა იყოს და რას-კი ვხედავთ? დღითი-დღე უფრო შორს უდგება ჩვენი სტუდენტობა რუსეთისას, დღითი-დღე უფრო განზე მიიწევს. ვინ რას იტყოდა კიდევ, რომ მიზეზი მათის დაშორებისა და განზე დგომისა თან დაყოლილი ზნე-ჩვეულებისა და ეროვნულის ხასიათების სხვადასხვაობა იყოს. ამას კიდევ გაუძლებს ადამიანი, უბედურება ის არის, რომ მიზეზი დაშორებისა თითქო სხვა რამ უფროა, სახელდობრ ისა, რომ გონების წარმატებით არიან სხვადასხვანი, მომზადება აქვთ სხვადასხვა, საზოგადოების სამსახური ესმით სხვადასხვაგვარად, სხვადასხვანაირად უყურებენ გარშემო ცხოვრებას. გარნა უპირველეს ყოვლისა და უფრო მომეტებულად იმითი განსხვავდებიან, რომ სულ სხვადასხვაგვარი საქმე და მეცადინეობა აქვთ სკოლის გარეშე. მაშინ როცა რუსი სტუდენტი ხარბად ეწაფება ევროპულს მეცნიერებას, ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, შეიძინოს ის, რაც დააკლო გიმნაზიაში სწავლამ, ცდილობს შეიგნოს საფუძველი და ვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა გარემოებისა, _ ერთი სიტყვით, მაშინ, როცა რუსი სტუდენტი გულდადებით ეჭიდება და ეტანება სოციოლოგიურსა, ეკონომიურსა, ისტორია-ფილოსოფიურსა და სხვაგვარ სწავლას, საფუძვლიანად სწვრთნის თავის ხასიათსა და ჭკუა-გონებას, ჩვენი სტუდენტი გულუბრ-ყვილობით ჰგონებს: რა გზასაც უნდა დავადგე ცხოვრებაში, ის გზა ხომ უჩემოდაც გაკვალულია; რასაც უნდა მივსდევდე, ესეც ხომ მტკიცედ არის გადაჭრილიო. იმას აღარ თაკილობს, რომ თუ გზა გაკვალულია, სხვისის მხნეობით არის გაკვალული, სანატრელიც თუ აღნიშნულია, ამისთვის თითონ თითიც არ გაუნძრევია.

აბა თავს რაღად შეიწუხებს, რომ თავის მცირე სწავლა-ცოდნას მოუმატოს რამე, აზრი განიზოგადოს, ზოგად საგნებს გაუწვდინოს თვალი. პირიქით, დიდის გაბედულებითა და კადნიერებით ხელს სჭიდებს იმისთანა საქმეებს, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო ჰშვენის ჭკუა-დამჯდარსა და ცხოვრებაში უკვე გამოცდილს საზოგადო მოღვაწეს, ვიდრე სტუდენტს. გამოიხატავს თავში ამისთანა ცრუ-მიმართული და მწვანე კიტრივით თავმომწონე ყმაწვილი კაცი, რომ ისტორიამ

მაკისრა დიდი მოვალეობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შევასრულოვო, და ჰკიდებს ხელს საკუთრად თავის სუსტის ღონით არა თუ მარტო სწავლას, არამედ ძიებასა და კვლევას ქართული ლიტერატურის ძველის-ძველ ძეგლ-ნაშთებისა, ჰკიდებს ხელს ისეთს კვლევასა და ძიებას, რომელიც, ჩემის აზრით, მხოლოდ მაშინ გამოიღებს ნაყოფს, მაშინ იქნება სასარგებლო, როცა მკვლევარს უკვე შეუძენია ვრცელი სოციოლოგიური და ისტორია-ფილოსოფიური განათლება; ჰკიდებს ის ყმაწვილი ხელს ამისთანა ძიება-კვლევას, ანდომებს მთელს თავისუფალს დროს ჩხრეკას ისტორიისა და არხეოლოგიის წვრილმან საგნებისას და მთელი მისი გულისყური, ჭკუა და გონება მიდის მიყრუებულსა და ხავსმოკიდებულს წარსულში, იქ, საცა სუფევს მხოლოდ ეტრატები და ძველის-ძველი, დაობებული ხელნაწერები. ერთის სიტყვით, ვიმეორებ, ეჭიდება ისეთს საქმეს, რომლისათვისაც ჯერ არავითარი სამზადისი და საგზალი არა აქვს და რომელიც საბოლოოდ ჰღუპავს მის ჭკუაგონებასა და უკლავს ხალისს იმისას, რომ შიგ გულში ჩახედოს ცხოველს ავკარგიანობას ცხოვრებისას. რაღად უნდა გვიკვირდეს შემდეგ ამისა, რომ ჩვენმა სტუდენტმა და რუსმა სტუდენტმა ვეღარა გაიგონ რა ერთმანეთისა და დაშორდნენ, და თითქო სრულიად უცხონი არიანო, ზურგი შეუქციონ ერთმანეთს. გამოდის, რომ, ერთის მხრით, ქართველი სტუდენტი, თავის მოუმზადებლობის გამო, ვერ მისწვდება რუსის სტუდენტს და, მეორეს მხრით, რუსის სტუდენტს ვერ გაუგია, ეს რა პრაქტიკულს საქმეს მოჰკიდებია ჩემი ამხანაგი, ეს რა იმედები ასულდგმულებს იმასაო. როცა ორი ამისთანა ამხანაგი შეხვდება ერთმანეთს, _ ხომ არ შეიძლება რომ ამხანაგობაში ათასში ერთხელ მაინც კაცი კაცს არ შეხვდეს, _ ჰო და, როცა შეხვდებიან ერთმანეთს, ერთი ფიქრობს: საწყალი ჩემი ამხანაგი, გაუნათლებლობისა და განუვითარებლობის გამო, გულგრილია კაცობრიობის ბედის მიმართო და იმის თავში სრულიად არ მოიძებნება იდეა-აზრებიო. ხოლო მეორე ფიქრობს: ეს ჩემი ამხანაგი რუსი, მარტო იმიტომ რომ რუსია, ვეღარ ახერხებს მიხვდეს და თანაუგრძნოს ჩემს სურვილსა და ნატვრას და არც შეუძლიან ჩემი ჭირი ჭირად მიიჩნიოს და ლხინი ლხინადაო. ცხადია, რომ ჩნდება განზე დგომა, ერთმანეთის გაუგებრობა, დამღუპველი ერთისათვისაცა და მეორესათვისაცა, მაგრამ უფრო კი, რასაკვირველია, ჩვენი სტუდენტისათვის.

ღვთის წინაშე, წინადაც კი ჩვენი სტუდენტობის ნიშნობლივი თვისება ის იყო, რომ ცოტად თუ ბევრად, განზე უდგა დანარჩენს სტუდენტობას. თუ გნებავთ ეს ადვილად მისახვედრიც არის: ასე თუ ისე, რაკი უცხოობაში ჩავარდებოდნენ ხოლმე ჩვენი სტუდენტები, უფრო ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, ვიდრე სხვებს. მაგრამ რამდენადაც ვიცი, ქართველი ახალგაზრდობა სამოციანისა და სამოცდაათიანის წლებისა არასდროს პრინციპიალურად არ დაშორებია დანარჩენ ახალგაზრდობას, იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირი გონებრივი და ზნეობრივი ინტერესები ჰქონდათ, ერთნაირი სასურველი და ერთნაირი გაგება, როგორც თავიანთის უფლებისა, ისე მოვალეობისაცა. ქართველი სტუდენტობა მაშინ სრულიად და სავსებით იყო ჩარეული მთელის სტუდენტობის ცხოვრებაში. სწავლობდა და ვითარდებოდა სხვასთან ერთად; სხვასთან ერთადვე იძენდა საფუძვლიანს გაგებას უმთავრესის საგნებისას და საზოგადოდ ქვეყნისა და კაცობრიობისას. ამ სახით, რაკი ერთგვარ ვითარებაში იზრდებოდნენ, ერთგვარი გონებრივის საგზლით იკვებებოდნენ, ერთისა და იმავე ბრწყინვალე და კაცთ-მოყვარე ლიტერატურის ზედმოქმედებას ექვემდებარებოდნენ, გასაკვირველიც არა არის რა, რომ ერთი და იგივე ღმერთები სწამდათ, ერთსა და იმავე ხატებს

ეთაყვანებოდნენ. ამგვარად ჩნდებოდა ერთნაირი ჰაერი, წმინდა და მარგებელი; იბადებოდა მტკიცე და ყველასათვის სასარგებლო ამხანაგობა და კავშირი. რაკი ერთგვარად ესმოდათ და ეყურებოდათ საგნები, ერთმანეთში მეტი ნდობაცა ჰქონდათ. ამისთანა გარემოებასა და ვითარებაში ქართველ ახალგაზრდობას შეეძლო ორისავე ხელით ეღო ღალასავით ყოველივე, რასაც იღებდა ყველა სხვა რიგიანი და გონება წარმატებული სტუდენტი. ესე იგი, ჩვენს სტუდენტობას ღონე და შეძლება ჰქონდა გაეგო და გაეცნო მაშინდელი ახალ-ახალი და წარმატებული იდეა-აზრები, მაშინდელის კაცობრიობის უმაღლესი იდეალები და ნატვრა-სურვილნი, რომელთა ძალა და სიტკბოება ჯადოსავით ჰხიბლავს ყოველს პატიოსანსა და გულწმინდა ადამიანს.

სწორედ ასეთი გარემოება და ვითარებაა მიზეზი, რომ სამოციან წლების წარმომადგენელნი ასე აღემატებოდნენ და, ცოტად თუ ბევრად, აღემატებიან დღესაც თავიანთ მომდევნო თაობას. აღემატებოდნენ და აღემატებიან იმითაც, რომ უფრო ვრცელი განათლება აქვთ შეძენილი და უფრო ცხოვლად სწამთ საერთო-საკაცობრიო იდეალები და იმითაც, რომ უფრო მეტად მზად ყოფნა და წყურვილი ეტყობათ საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. ჩვენი «მამანი» ავარჯიშებდნენ თავიანთ ჭკუა-გონებას მით, რომ უფიქრდებოდნენ, უღრმავდებოდნენ მთელის კაცობრიობის საქმე-ვითარებასა და ამის გამო უფრო უკეთესის იდეალებით განიმსჭვალნენ. ამის გამოვე შეიძინეს ის გრძნობა უკმარობისა, რომელიც სიფხიზლითა და მღვიძარებით ადევნებს თვალ-ყურს ცხოვრების მოუწყობლობას, არა სჯერდება, არ მოსწონს უკვე არსებული წეს-წყობილება და მამა-პაპური რიგი ცხოვრებისა; ის გრძნობა უკმარისობისა, ურომლისოდაც შეუძლებელია ცხოვრების წარმატება და წინმსვლელობა. მართლაცდა ვინც თავი არ შეიწუხა და არ გაიგო ის დიდი და ვრცელი გასაკეთებელი და გადასაწყვეტი საქმეები, არ შეიგნო ის იდეალები, რომელიც ასულდგმულებს ეხლანდელს განათლებულს კაცობრიობას, ვინც არ მოინდომა, ან მეტ ბარგად სთვლის შეიტყოს, რა დიდს წარმატებაში არიან ამჟამად მოწინავე ერნი და კიდევ უფრო რა დიდს წარმატებასა და აღმატებულობას გვიქადის მერმისი, ჰოდა ვინც ყოველ ამისათვის თავი არ შეიტკივა, ის იმოდენა შნოს ვერ იქონიებს, რომ დამჯდარისა და მიუდგომელის ჭკუით განსჭვრიტოს ყოველივე ვითარება საზოგადო ცხოვრებისა და გონიერებითა და რიგიანობით მოითხოვოს იგი სავსება, ურომლისობა არ ასვენებს ცოცხალს გონებას და ყურმახვილობას განათლებულის კაცისას, როცა ჰხედავს უკუღმართობასა და მოუწყობლობას თავის გარეშემო. ამისთანა კაცი ცოტა რასმე ჰკმარობს, ცოტა რამით ჰნუგეშობს, იმისათვის საკმაოა სადაც ლომია, იქ ბუზს შეეჭიდოს და ბუზზე გამარჯვება იკმაროს. საცა მორევია, იქ პატარა წყალში იჭყუპალაოს. ხოლო ვინც იცის, რა საზღვარდაუდებელი და დაუსრულებელია გზა კაცობრიობის წარმატებისა, ვისაც აქვს შნო ნატვრისა და იმისი სანატრელი ბევრად შორსა სცემს, იმას განუქრობლივ უღვივის ის წმინდა ნაღვერდალი უკმარობისა, რომელიც ნებას არ აძლევს კაცს მიიძინოს, უქმად იყოს გულ-ხელ-დაკრეფილი და რომელიც პირიქით ამხნევებს და აგულიანებს გასარჯელად, რომ იმით ცოტათი მაინც მოიახლოვოს თავისი სანატრელი, თავისი იდეალი. «ქვეყნის დამღუპველს თავმოყვარეობასა და მომაკვდინებელს გულცივობას კი _ ამბობს ერთი ფრიად სასიყვარულო მოაზრე გერმანიისა, სახელდობრ, ლანგე «მატერიალიზმის ისტორიაში», _ დასძლევს მხოლოდ ის დიდი სანატრი და ის იდეალი, რომელიც მოვა მსგავსად «ძველის ქვეყნიერების მგზავრისა» განცვიფრებულ ერთა შორის და

წაეტანება რა შეუძლებელს, მით უკვე არსებულს ჩამოჰგლეჯს ანჯამებიდან, ერთის სიტყვით, გაღმა გაიწევს, რომ გამოღმა დაინარჩუნოს».

სწორედ ეს გარემოება გვიჩვენებს, ჩემის აზრით, მთელ იმ სხვადასხვაობას, რომელიც არსებობს ძველსა და ახალს თაობას შუა. ერთი იზრდებოდა და იწვრთნებოდა, აკვირდებოდა მთელის მაშინდელის კაცობრიობის საკუთვნებელს და სატვირთელს, მეორე კი _ კერძოსა და პრაქტიკულს საქმეს დღეინდელის დღისასა და მხოლოდ ერთი რომელისამე ქვეყნისას; ერთი იწყებდა თავის ვარჯიშსა და წვრთვნას საზოგადო აზრთა შეთვისებით და მეორე _ კერძოზედ გადადიოდა; ერთი ჯერ კაცობრიობას და მის ზრუნვას უფიქრდებოდა, მერე თითეულს კერძო ქვეყანასა და მის მაშინდელს ყოფასაც ხელს ჰკიდებდა, მეორე კი იწყებს კიდეც და ათავებს კიდეც კერძო საქმეებითა და საზრუნავით, იმ კერძო და დაწვრილებულის საქმეებით, რომელიც, მართალია, მეტად საყურადღებოა და არც გადაიდება, რადგან პრაქტიკულ მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რომელიც გამოუყენებელია, უღონოა და უქმი თვით საზოგადო მოღვაწეთა გონებისა და ჭკუის წვრთვნა-ვარჯიშისათვის. ამის გამო, ერთნი ისეთნი გონებრივი საგზლის პატრონები იყვნენ, რომ შეეძლოთ ნაწილი მისი დაეხარჯათ ყოველდღიური პრაქტიკული საქმეების გასაძღოლად და ამ გაძღოლით არაფერი არ დაჰკლებოდათ-კი, პირიქით, კიდევაც ბლომად დაეზოგათ თავისი ძალ-ღონე შავის დღისა და გაჭირვებისათვის. ხოლო მეორენი ისეთის სუსტის საგზლის პატრონები არიან, რომ მალე ელევათ ძალ-ღონე და სრულიად უძლურნი და უღონონი შეჰყურებენ დროებას, რომელსაც ყოველ დღე ახალ-ახალი და უფრო რთული საქმეები მოაქვს საზრუნავათ და მოსავლელად. ის დიდი საგზალი ზნეობრივისა და გონებრივის ძალ-ღონისა, რომელიც შეიძინეს ჩვენმა «მამებმა» საკაცობრივო აღზრდა-განათლებით, ნებას აძლევდა და ნებას აძლევს დღესაც შეუფერონ თავისი მოღვაწეობა დროსა და ადგილის გარემოებასა და ვითარებასა. იმავე საგზლის გამო ჩვენი «მამები» უფრო მოხერხებულნი არიან, უფრო მტკიცენი და უფრო მეტის ამტანნი ცხოვრების ჭიდილსა და ბრძოლაში. ამიტომაც არის, რომ ისინი მალე არ ჰკარგავენ იმედს და პირველსავე განსაცდელის გამო არ მოეშვებიან სულითა და ხორცით, არამედ უფრო მედგრად ირჯებიან, უფრო მეტად შრომობენ და ბეჯითობენ სამერმისოდ, საშვილიშვილოდ.

რაც შეეხება ეხლანდელს თაობას, რომლის აღზრდასაც სცდილობდნენ თითქმის განსაკუთრებით ჩვენის საზოგადო ცხოვრების კერძო და პრაქტიკულ საგნების ჩაგონებითა, რასაკვირველია, ამისთანა სავარჯიშო არ მოსთხოვდა ჩვენს ახალგაზრდობას არც ჭკუა-გონების დიდ გარჯასა და არც ხასიათის წვრთვნასა და ცეცხლში გამოტარებას. იმის თვალწინ იყო გასარკვევად ისეთი მარტივი და ურთული საქმეები, რომელიც ადვილად მისახვედრია სულ განუვითარებელი ჭკუა-გონებისათვის, მისახვედრია სულ მარტივი გრძნობისთვისაც კი. ახალგაზრდობას არ ესაჭიროებოდა ამისათვის არც ვრცელი ევროპიული განათლება, არც ღრმა ცოდნა ფილოსოფიისა და სოციოლოგიისა, არც ჭიდილი და ბრძოლა, არც ეჭვი და იჭვნეულობა, არც ტოკვა და ყოყმანი, ყოველივე ისე ცხადი იყო, ისე საოცრად მარტივი, ყოველივე წინდახედულობით და ადრევე გადაწყვეტილი მზა-მზარეულის ფორმულებითა და თეორემებით! ახალგაზრდობის ჭკუა-გონებას არ აწუხებდა «წყეული ამოცანები», ამის გულს არ აღელვებდა ის გრძნობა, რომელიც ჩვეულებრივი ხვედრია სიჭაბუკისა და რომელიც ჩასჩურჩულებს ახალგაზრდას, რა არის შენი ძალ-ღონე თვა-

ლუწვდენელი საქმის წინაშე, სად შეგიძლიან შეასრულო ის, რასაც წინ გიყენებს შენ მიერვე აღსარებული პრინციპები და სარწმენიო. ჩვენი ახალგაზრდობა ისე გამოდიოდა ცხოვრებაში, ისე ემზადებოდა საზოგადო სამსახურისათვის, ვითომც აქ არაფერიაო, მხიარულად და უზრუნველად. იმას ეგონა, რომ ცხოვრება გაცხარებული და დაუნდობელი ჭიდილია და ომის მოედანი კი არ არის, არამედ საარქეოლოგიო მუზეუმიაო. თითქმის ან არა და, ცოტათ თუ ბევრად, საამური თამაშია ჯარისაო... ხოლო ცხადია, რომ ომისათვის სულ სხვა ძალის მხედრობაა საჭირო, სულ სხვა საომარი საჭურველი და სამზადისი, ჯარის თამაშისათვის კი სულ სხვა...

ამ სახით სამოციანისა და ცოტა ოდნად სამოცდაათიანის წლების ახალგაზრდებიც მოდიოდნენ სამშობლოში და მოჰქონდათ დიდი საგზალი იდეა-აზრებისა, მხურვალე სიყვარული იდეალებისა, ფიქრი და ზრუნვა თავის უკან ჩამორჩენილის სამშობლოსათვის. ვრცელი განათლება და გატაცება საერთო საკაცობრიო იდეალებით არამც თუ უშლიდა იმ ახალგაზრდებს თვალი თავიანთ სამშობლოსაკენ სჭეროდათ, არამედ უფრო აძლიერებდა იმათს გულში სამშობლოს სიყვარულსა და ტრფიალებას. განვითარებული გრძნობა და განათლებული გონება მეტს სიგრძე-სიმაღლეს, მეტს აზრსა და მეტს ჭკუას აძლევდა ამ სიყვარულს და მრავლად შეძენილი ცოდნა კი შველოდა ღონე და ხერხი აღმოეჩინა გარეშემო სიბნელისა და უმეცრების შეჭიდებისათვის. თუ პირველშივე მშობელმა ქვეყანამ ხელ-აღპყრობით არ მიიღო და სიყვარულით გულში არ ჩაიკრა; თუ პირველში გულგრილად დაუხვდა და არ ენდო, შემდეგ ხომ მაინც დაუღალავისა და შეუფერხებელის მოღვაწეობით მოინადირეს გული ქვეყნისა, ჩააგონეს, რომ წმინდა გულით მოვსულვართო. მოსვლისას კარი დაკეტილი დახვდათ, მაგრამ შემდეგ მოახერხეს, გააღეს ის კარი და დიდის ამბით შევიდნენ შიგ თავმოწონებულნი, რომ ძლევა ჩვენ დაგვრჩაო. დღეს კი კარი ყურთამდე ღიაა. არც ჩაქუჩის ცემა უნდა და არც შემტვრევაა საჭირო. მაგრამ ეხლანდელნი ყმაწვილნი კაცნი არა ცდილობენ შევიდნენ ასეთ სტუმართმოყვარე და კარ-ღია სახლში და რჩეობენ გზა აუქციონ... ან კი რასაკვირველია! მე მგონია, რცხვენიათ და ეთაკილებათ, რომ ჩვენი არარაობა არ გამომჟღავნდესო; ჩვენი დიდი იმედი ჰქონდათ და ვაი თუ ახლა სულ გაუმტყუნდეთო, რადგანაც, მართლა რომ ხელცარიელნი მოდიან. «მამებს» კიდევ მოჰქონდათ რამე, შეეძლოთ ახალი რამ ეთქვათ, თავისი საკუთარი სათქმელი გაემჟღავნებინათ, _ შეეძლოთ თავმოწონებით თვალი თვალს გაეყარნათ ძველებისათვის. იმათ სწამდათ თავიანთი ძალ-ღონე, სწამდათ, რომ სხვაზე თუ მაღლა არ იდგნენ, უკან არავის ჩამოუვარდებოდნენ. იყვნენ განათლებულნი, ჰქონდათ ვრცელი საზოგადო პროგრამა, იცოდნენ ცხოვრება სიღრმე-სიგანით. ერთის სიტყვით, დროს შესაფერად იყვნენ მომზადებულნი და არა ჰგრძნობდნენ უღონობას. რა ძალ-ღონითღა მოდიან ახლა ჩვენი ეხლანდელი ახალგაზრდები? რა შესძინა იმათ რუსეთში ყოფნამ, განვითარებულ და პატიოსან ინტელიგენციაში ცხოვრებამ? თითქმის სულ არაფერი. მოდიან თითქმის იმავ საანბანო, ნაწყვეტ-ნაწყვეტის ცოდნით, რაც აქედან წაიღეს, როცა მიდიოდნენ შორს ქვეყანაში; მოაქვთ თან იგივე აზრი და შეხედულება, რაც ყმაწვილობიდამვე შინვე შეუთვისებიათ. თითქმის არაფრით არც კი განირჩევიან დანარჩენის საზოგადოებისაგან, და თუ განირჩევიან, იმითი, თუ რომ საზოგადოება ყურადღებას აქცევს, აქაო და უმაღლესი სწავლა შეუძენიათ და შორს ქვეყნებში ყოფილან. იგივე თანდაყოლილი ზოოლოგიური

სიყვარული სამშობლოსი, მცირედ მოაზრებული და ნაგრძნობი, იგივე მოდაში შემოსული გატაცება წარსულითა და სრული უზრუნველობა, რომ ევროპიულის მეცნიერების ნათელი მოჰფინონ იმ წარსულსა, იგივე მზა-მზარეული ფორმულები და ერთხელვე და ერთნაირად გადაკვეთილი გადაჭრა იმისი, რაც ჩვენ გვიჭირს და რაც ჩვენ მოგვიხდება, _ ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც ზეპირად იცის ყველა იმ უმეცარმა ჩვენის საზოგადოების წევრმაც კი, რომელიც კითხულობს ჩვენს გაზეთებს. რა გასაკვირველია, რომ ამისთანა საჭურველით შეიარაღებული ჩვენი ყმაწვილი კაცი, პირველსავე გაჭირების დროს, დარწმუნდეს, რომ სრულიად მოუმზადებელია ცხოვრებაში ჭიდილისათვის და, დარწმუნებისთანავე, მაშინვე ჩამოჰყაროს ყურები? ასეთი ყმაწვილი კაცი ვეღარ გაიწევს წინ, ვეღარ წარსდგამს ფეხს იქ, პირველ რაზმებისაკენ, საცა განსაცდელი უფრო მეტია, ბრძოლა უფრო გამწვავებული, ცეცხლი უფრო ძლიერი, ხმალთა ქნევა მოურიდებელი და საცა ძალ-ღონეც მეტია საჭირო. მაშინათვე უკან იწევს, ბოლო რაზმებში, უერთდება დანარჩენს უმრავლესობას და მალე, ძალიან მალე ეძლევა მოსვენებულს ცხოვრებას, განცხრომას. თანდათან და შეუმჩნევლად უტოლ-უსწორდება ზნითა და ჩვეულებით გარშემო წრის კაცს, ითვისებს იმის აზრებსა და გრძნობას, ცხოვრობს იმისებურად და ეკიდება იმისებურსავე სახლ-კარიანობას. ასეთი საქციელი მით უფრო ადვილია მათთვის და, ჩემის აზრით _ კი, მით უფრო საშიშია, რომ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ განსაკუთრებულ ვითარების გამო ასეთი შერევა თითოეულის ცოტად-თუ ბევრად ნასწავლის კაცისა საზოგადოების უმრავლესობაში, ასეთი დაახლოვება და გაერთიანება მის დანარჩენ წევრებთან, ბევრს მიაჩნია ნიშნად წარმატებულისა და პატრიოტულის აზრებისა, ღვაწლად უთვლის «განათლებულს» კაცს ამისთანა საქციელს და თითქმის საეროვნო საქმე და ქველობა ჰგონია. ამაზე ჰმართავს რა უღელს თავის ცხოვრების სასწორისას, ეძლევა კმა-ყოფასა და უდარდელობას. რა კი ცოტად თუ ბევრად საპატიო ალაგიც უჭირავს საზოგადოებაში. რაკი ან ადვოკატია ან წევრი სასამართლოსი, მკურნალი, მასწავლებელი, გამგე ან კასსირი ბანკისა, ერთის სიტყვით, რაკი საჭირო კაცია, რაკი ცოტად თუ ბევრად შეძლებულია, ენა-მეტყველი, ცოტაოდნად განათლებულიც, საზოგადოებაში პატივცემულ კაცადაც არის მიჩნეული; იმის ლაპარაკს ყურს უგდებენ, იმის გულის მოგებას ცდილობენ, და რაკი ისეთის კაცის სახელიცა აქვს, რომ ვითომც მაღალი სწავლა დაუმთავრებია, მისი საქმე ხომ უფრო წინ მიდის და კოჭიც ალჩუ უჯდება. და აი ცოტა ხანიც გადის და თქვენ თვალწინ გამოტყვრება ფრიად ნაკლებად მიმზიდველის ტიპის კაცი, რომელიც კმაყოფილია მით, რომ მე არცა მშივა და არცა მცივა და სხვამ კი თავისი იცოდესო. როგორღა შეგიძლიათ ჩამოუგდოთ ამისთანა კაცს ლაპარაკი უმაღლესის იდეალების გამო, საზოგადოების სამსახურის თაობაზე, სამშობლოსათვის მსხვერპლის გაწირვის შესახებ, ის თქვენსას ვერას გაიგებს, ან არა-და, თქვენვე დაგცინებთ და მასხარად აგიგდებთ. აი ეს არის უფრო უარესი და გულსატკენი! თითქო ასე ჰგონია, რომ ყოველ ჩემს მამულიშვილობის მოვალეობას ვასრულებო. აქაო-და შემთხვევით მხიარულ ამფსონებში ორიოდე სიტყვას ვიტყვი სხვათა შორის ბანკის საქმეებისას, ან სამშობლო ენის დიდს მნიშვნელობისას, აქაო-და გაკვრით შევეხები მას, თუ რა დიდად საჭიროა ჩვენთვის შეკრება საერო ზეპირსიტყვაობისაო და საეთნოგრაფიო მასალისაო, ანუ გავიხსენებ აზარფეშით ხელში წინაპართა მოღვაწეობას და იმათ ქველობით სავსე საქმეებსაო, აქაო-და ჩვენ ყმაწვილ ქალებში სიხარულით მივეგებები ქარგაზე საკერ ქართულ ასოების დაბეჭვდასაო, ანუ, დასასრულ,

ქართულ თეატრში წავალ და მოვისმენ ქართულს სიმღერასაო. ეს არის და ეს. კაციც მე ვარ და ქუდიც მე მხურავსო. რასაკვირველია, აქ სახეში მყავს მარტო უმრავლესობა, მარტო საშუალო ტიპის კაცი. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც არიან თითო-ოროლანი, რომელნიც ამ უმრავლესობის კონდაკს არ ეწყობიან. საქმე და მოღვაწეობა ამისთანა თითო-ოროლასი, რომელნიც მოსწყვეტიან დანარჩენს ბრბოს, ჯერ კიდევ წინ არის. ისინი უფრო «მამებსა» ჰგვანან, ვიდრე თავიანთ ტოლ-ამხანაგებს, ისინი უცხონი არიან თავიანთ ტოლ-ამხანაგებში, თავიანთ თაობაში, თუმცა მჭრელი თვალი იმათაც შეამჩნევს აუცილებელსა და წყეულს ზედმოქმედებას დრო-ჟამისა და გარემო-ვითარებისას.

7

ჩვენ მივადექით ფრიად საჭოჭმანო ბურჯს ამ ჩვენის წერილისას. მეტი ღონე არ არის, უნდა ვიკითხოთ, რა არის მიზეზი იმისი, რომ ასეთი სხვადასხვაობაა ძველსა და ახალს თაობაში? სად არის მიზეზი იმისი, რომ ერთი ისე სასურველად აღზრდილა და მომზადებულა გონებითა და ზნეობით, ხოლო მეორე კი არა, და ამის გამო ერთი ისე მხნეა და თაოსანი, მეორე კი მოდუნებული და უსიცოცხლოა?

ჩემის აზრით, ორგვარი მიზეზი უნდა იყოს აქ. ერთი მიზეზი იმისი, რომ ჩვენი ახალი თაობა ასეთი მიუმზიდველია, ასე მოკლებული ღრმა იდეალებსა და ნატვრა-სურვილს, ასე ფრთებ ჩამოყრილი და სულითა და ხორცით მოშვებული არის თვით იმ სტუდენტობის წრე, საცა ჩვენს ინტელიგენციას გაუტარებია თავისი ჭაბუკობისა და ახალგაზრდობის დღენი; ხოლო მეორე მიზეზია ხასიათი და მიმართულება ჩვენის სამშობლოს ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრისა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ოცდაათ წელიწადში რუსეთის ახალგაზრდობის წარმატების ისტორიამ ორი ხანა გამოიარა, ორივე ერთი-ერთმანეთისგან საკამოდ დიდად გარჩეული და განსხვავებული. სამოციანსა და სამოცდაათიანის წლების დამდეგს ფრთა აქვს გაშლილი გონებას, იბრძვის ერთმანეთში სხვადასხვაგვარი აზრი და მიმართულება, გაძლიერებით იღვწის სათეორიო ფიქრი და იკვლევს არსებითს, საპრინციპო საგნებს საზოგადოებრივი ცხოვრებისას. ამ ხანებში მთელი ძალ-ღონე ახალგაზრდობის იმაზეა მიმართული, რომ თითონ გაითვალისწინოს თავი თვისი, მოუაროს თავის გონებასა და გააფაქიზოს თავისი ზნეობა. ახალგაზრდობის ერთი წყურვილი და ნატვრა ჯერ კიდევ ის არის, რომ მე ჩემითვე განვითარდე, წარვიმატოვო. ასე მიმართულს აზრსა და გონებას ის მოჰყვა, რომ ახალგაზრდობა უწყალოდ და შეუბრალებლად ეკიდებოდა თავის თავსაცა და სხვასაც. თვით წმინდანი სხვასაც წმინდანობასა სთხოვდა. საკმაოდ განათლებული უნდა ყოფილიყავ, საფუძვლიანი ცოდნა უნდა გქონოდა შეძენილი შესახებ კაცთა კრებულის მეცნიერებისა, დიდის ზნეობრივი სიწმინდით უნდა მოქცეულიყავ, რომ წინ წასულს ახალგაზრდობაში წილი ჩაგედო, შიგ იმათში გარეულიყავ და მაშინდელი დრო-ჟამის საზრუნველი გაგეგო. მხოლოდ ვრცელი განათლება და უზადო, წუნდაუდებელი ქცევა გაღირსებდა მაშინ ამ წილს, ამ პატივს.

მეორე ხანა დაიწყო 70-იანი წლების დამლევს. ამ ხანას უფრო პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა. წინანდელ ხანის დედა-აზრებმა იდეით მოსილმა მიმართულებამ და განყენებულმა სჯამ ალაგი დაუთმო წმინდა პრაქტიკულს საქმეებს, ისეთს სხვადასხვა «საჭირ-ბოროტოს დღისას», რომელსაც თეორიით განსჯა და განხილვა კი აღარ ეჭირვება, არამედ დაუყოვნებელი გაკეთება, განხორციელება. წინა დრო სულ სხვასა სთხოვდა ადამიანს და ეს ახალი დრო სულ სხვასა. გარჩევა მათ შორის

ადვილად შესამჩნევია: თუ ერთი თხოულობდა, ზნე-მაღალი იყავ და ფილოსოფიურად განათლებულიო, ახლა დრო თხოულობდა _ მხნე იყავ და გულადიო, გქონდეს პრაქტიკული მოხერხება და სიმარდე, იცოდე სატეხნიკო საქმის ყოველივე წვლილიო. რაკი ამისთანა მოთხოვნილება გამოვიდა საასპარეზოდ, ბრძოლა აზრებისა და აღებ-მიცემა გონებრივი თანდათან ჩრდილში მიდგა და ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი კვალი არ დაემჩნია ახალი დროების მოღვაწეთა გულისა და გრძნობისათვის. უნდა ვთქვათ, რომ იდეით მოსილს მოძრაობას ამ დროსაც არ მოჰღებია ბოლო, მისი მაცოცხლებელი სიო ხანდახან კიდევ დაჰკრავდა ხოლმე, ისე რომ ბევრნი ამ გაჭირვებულს ვითარებაშიაც ახერხებდნენ თავის საკუთარს წარმატებასა და გონებრივს განვითარებას. ჩვენი ახალგაზრდობა კი სულ მოაკლდა იმ სიოს იდეისას, რომელიც მისთვის ისე ადვილად მოსახმარებელი და გამოსაყენებელი იყო მანამდე, ისე ადვილად გამოსაყანებელი, რომ თუნდა მოენდომებინა კიდეც, მაინც თავიდან ვერ მოიშორებდა; ისე ძლიერი იყო და ფრთა-გაშლილი, რომ ყველას თავ-პირში სცემდა. რაკი მოაკლდა ამ სასურველს სიოს და ხშირად ან მოხერხება და ან ხალისი არა ჰქონდა, რომ თითონაც ჩამდგარიყო საქმეში, ხელი აღარ გაანძრია, სრულიად აღარ მოინდომა თავის მხრივ დაახლოვებოდა მაშინდელის რუსეთის ინტელიგენციის უფრო შესამჩნევ წარმომადგენელთ. ამ სახით ჩვენს ახალგაზრდობას ნახტომი შეეშალა, ნირი შეეცვალა და შუა წყალში ამოჰყო თავი.

აი სწორედ ამ დროს, ამ გაჭირვებულს ყოფაში, წამოესწრო ახალგაზრდობას ჩვენი სამშობლო ლიტერატურა, მოუყვა თავის ცალკერძად მიმართულ ქადაგებას და უფრო უარესად დაუბნია დავთრები. ჩვენის ლიტერატურის ძველ მოღვაწეებს დაავიწყდათ, რომ ისინი განვითარდნენ საერთო საკაცობრიო და სადედააზრო საგნების კვლევითა და ძიებით; დაავიწყდათ ესა, როცა ცხოვრებაში გამოვიდნენ და სავსებით განიმსჭვალნენ იმ ცალ-კერძის აზრით, რომ დღევანდელს ყოფას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღებაო. ამ აზრით გატაცებულებმა სრულიად დაივიწყეს, რა გზით შეიძინეს თითონ თავისი ცოდნა და გაგება ცხოვრებისა და ქვეყნიერობისა, ადგნენ და წამოაყენეს მრავალი საქმე, მრავალი საგანი თვით პრაქტიკულის ცხოვრებისა. ვინ იტყვის, რომ ეს საქმეცა და ეს საგანიც დიდად საყურადღებო არ არის ჩვენის ცხოვრებისათვისაო, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ სამწუხაროდ, ის საქმე და საგანი ძალიან ნაკლებად არის გამოსადეგი სამერმისო მოღვაწეთა ნორჩის ძალ-ღონის შესამუშავებლად და ასაღორძინებლად. სრულიად დაივიწყეს ის ფრიად სადა მოსაზრება, რომ საზოგადოების უფროს-ერთის გამოფხიზლება და გაღვიძება სულ სხვა არის და ახალგაზრდა ინტელიგენციის აზრისა და გრძნობის აღზრდა, კვება _ სულ სხვა. რაკი თავი და თავი საქმე და დანიშნულება ინტელიგენციისა ის არის, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს, მიმართულება მისცეს საზოგადოების აზრს, მაშ ცხადია, რომ ინტელიგენციას უფრო მეტი განათლება და წარმატება უნდა ჰქონდეს, ვიდრე საზოგადოებასა აქვს. ამისათვის კი საჭიროა, რომ ინტელიგენციის წარმომადგენელნი იზრდებოდნენ უფრო მაღალის წრის აზრებში და არა იმ ყველასათვის ადვილ-გასაგებ სჯა-ბაასში, რომელიც გააბა ჩვენმა ლიტერატურამ საზოგადოების უმრავლესობისათვის.

მართლა და, რა ვარჯიშობითა და წვრთნით უნდა შეეძინა ახალგაზრდის ჯერ ისევ დაუდუღებელ და ჩვილ გონებას ვრცელი, საზოგადოებრივი აზრები? რომლის გონებრივ და კულტურულ თვალ-მარგალიტის ხილვით უნდა ეგრძნო ყმაწვილ კაცს თრთოლა და ღელვა გულისა? საიდან უნდა გასჩენოდა ძლიერი

სურვილი საზოგადო სამსახურისა? საეჭვოა, რომ იმ მეტად საანბანო რჩევას, _ გიყვარდეს შენი სამშობლო, პატივსა სცემდე ჩვენი წარსულის ძეგლ-ნაშთებსაო, იცოდე დედა-ენა და იზრუნე მისი წარმატებისათვისაო, _ შეეძლოს დაკმაყოფილება ახალგაზრდის ცნობისმოყვარე გონებისა და ყურ-მახვილის გრძნობისა. ყოველი ეგ რჩევა და ქადაგება მეტად მარტივია, მეტად ურთული და იმის გაგებას არავითარი თავის მტვრევა არ უნდა. ესეც რომ არ იყოს, მე მაინც ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ვერავითარი მცოდნე სამშობლოს ისტორიისა და არქეოლოგიისა, თუ მტკიცე და ღრმა ფილოსოფიური და სოციოლოგიური განათლება არა აქვს, ვერავითარი ზეაღმატებული ხელოვანი პროზისა და პოეზიისა ვერ შეიძლებს რიგიანად და ცნობიერად გააკეთოს თუნდ ის ადვილი და ურთული საქმეები, რომელიც თავზე მოიგდო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ტრიალმა და წინ წამოაყენა ჩვენმა ლიტერატურამ. ამისთანა კაცი ვერც საზოგადოების საქმეს შეიგნებს სრულიად და სავსებით, ვერც იმდენს უნარს გამოიჩენს, რომ თავის საკუთარი ჭკუით გაარჩიოს ახალი გარემოებანი და თავისი მოქმედება შეუფეროს, შეუწონოს ახალ დროების უფრო და უფრო მეტის გაბმა-გამობმით დაწნულსა და დახლართულს ვითარებას.

ყველა ლიტერატურაში, რომელსაც კი ესმის თავისი მაღალი დანიშნულება და ღირსია ლიტერატურის სახელწოდებისა, ჩემის აზრით, ორგვარ საგანს უნდა ჰქონდეს მიქცეული ყურადღება. ლიტერატურაში უნდა ჰქონდეს ადგილი სადედა-აზრო, სათეორიო საგნებსაც და პრაქტიკულს, საყოველდღეო ცხოვრებისასაც. ლიტერატურა მოვალეა იმ მწვავე ტკივილსაც პასუხი აძლიოს, რომელიც დღევანდელს დღეს გაუჩენია და რომელსაც თავს ვერ მოარიდებს ვერც ერთი ყურმახვილი საზოგადო მოღვაწე და იმ დიდი წყლულისა და იარის მორჩენისათვისაც ნაღვლობდეს, რომელიც აღელვებს და აშფოთებს მთელს ეხლანდელს კაცობრიობას და რომლის დაამება და დაშუშებაა თავიცა და ბოლოც საერთო საკაცობრიო ნატვრა-სურვილისა. ლიტერატურა თავის საკუთარ ადგილობრივ საქმეს უნდა ადგეს, მაგრამ, ამასთანავე, თუ არ უნდა აზარალოს და შეასუსტოს წარმატება საზოგადოებისა, ნება არა აქვს გულაცრუებით მოეკიდოს იმ ძლიერს, საერთო-საკაცობრიო ნატვრა-სურვილსა, რომელიც თავს იჩენს ერთა ეხლანდელს ცხოვრებაში. თითეულს ამბავსა და გარემოებას სამშობლოს ცხოვრებისას ლიტერატურამ უნდა შუქი მიაყენოს და განმარტოს განზო-გადებულისა და სათეორიო-საპრინციპო აზრებისამებრ. კერძოსა, ნიშნობლივსა და სახელდებულს ამბავსა და გარემოებას რომ ნახავს მკითხველი თავის მშობლიურს ლიტერატურაში, იქვე უნდა ნახოს მათი განზოგადებაცა, ცხოვრების ვითარების ერთობლივი განსჯაც. თუ ასე მწყობრად არ არის შეერთებული და ხელი-ხელ ჩაკიდებული თეორია და პრაქტიკა, თუ რამ გარემოებაა ნაამბობი და იქვე პირში იდეა არა აქვს წაყენებული, ლიტერატურა კი არ გვექნება, ლიტერატურა აღმზრ-დელი და განმანათლებელი, არამედ ნუსხა სხვადასხვა დარიგებისა სხვადასხვა გვარისავე საზოგადო ტკივილების დასაამებლად და განსაკურნებლად. როგორც ის მკურნალი, რომელმაც მხოლოდ კარაბადინი ანუ ცარიელი ნუსხა იცის წამლების და სამკურნალო მეცნიერების საფუძველი კი არ შეუთვისებია, განათლებული მკურნალი კი არ არის, არამედ ვიგინდარა ექიმბაშია, ისე ლიტერატურას ნება არა აქვს, ჩემის აზრით, თავის ქვეყნის განმანათლებლის სახელი დაიჩემოს, თუ მარტო დღევანდელი დღის პრაქტიკულ საქმეს ემსახურება და საპრინციპო საგნების განსჯასა და განხილვას კი უფრთხის და ერიდება. ამისთანა ლიტერატურას

შეუძლიან შეაჩვიოს თავისი მკითხველები მხოლოდ ჭიანსა და ქარაფშუტა მსჯელობას, დაუფიქრებელს ჩიტი-რეკიაობას და თავმოწონებულს მამლაყინწობას, რომელიც პირველი და ნიშნობლივი ბეჭედია უმეცრებისა და უცოდინარობისა. არიან იმისთანა კაცებიო, ამბობს ჯ. სტ. მილლი თავის თხზულებაში: «О свободе» რომელნიც ამბობენ, საკმაოა კაცმა ის იცოდეს, რაც მართალია, თუნდ არავითარი გაგებაც არა ჰქონდეს, რა საფუძველზეა დამყარებული ის მართალი, თუნდ არ შეეძლოს დაიცვას და დაიფაროს ოდნავ ხელშეხებისაგანაც კი. ამისთანა ხალხს ასეთი თუ ისეთი credo (მრწამსი) აქვთ და ჩვეულებრივ ასე ჰგონებენ, რომ თუ ნება მივეცით ამ credo-ს შესახებ მსჯელობა-ლაპარაკისა, კეთილი არა გამოვა რაო. როცა უფროს-ერთი ამისთანა ხალხია, თითქმის შეუძლებელია, რომ საყოველთაოდ მიღებული, გამეფებული აზრი ცნობიერად და დაფიქრებით უარჰყოს ვინმემ; ხოლო დაუფიქრებლივ და უსაბუთოდ კი შეიძლება ძალიან ადვილად უარჰყონ... მართალია, რომელიც მრწამსად გადაქცეულა და არა გონიერ სარწმენადაო, _ განაგრძობს შემდეგ მილლი, _ ჩვეულებრივ უღონოა გაუმაგრდეს სრულიად სუსტს საბუთსაც კი, მაგრამ ვსთქვათ, ეს ასე არ არის; ვსთქვათ, რომ მართალი არ გადაქცეულა რწმენად, ხოლო როგორც მრწამსი, ისე ფესვ-გამდგარია და გაბოძიძგებული კაცის გონებაში, რომ ვერავითარი საბუთი ვერას დააკლებს. ახლა განა ეს ცოდნაა მართლისა? განა ასეთს ცოდნას მოაზრე ადამიანის ცოდნა დაერქმის? განა ასეთი მართალ-მორწმუნეობა იგივე ცრუმორწმუნეობა არ არის, მხოლოდ იმ გარჩევით თუ, რომ ამ შემთხვევაში ის ცრუ-მორწმუნეობა ისეთის სიტყვებით გამოითქმის, რომელიც მართალსა ნიშნავს?...»

8

თუმცა ესეც კია, არსებული გარემოება ჩვენის ცხოვრებისა ისეთი იყო, რომ ჩვენის წარმატების მეთაურნი და ხელმძღვანელნი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, იგივ ჩვენი «მამები» ძალა-უნებურად სავსებით ჩაებნენ სამშობლო ქვეყნის საქმეებში და ამის გამო სრულიად თვალთაგან მიეფარათ ის საერთო-საკაცობრიო იდეალები, რო-მელიც ასულდგმულებდა პირველში, როცა ის-ის იყო გამოვიდნენ საასპარეზოდ და დაიწყეს თავისი საქებური მოღვაწეობა. სამწუხაროდ, ცხოვრების მოედანზე რომ გამოვიდნენ, ვეღარ იპოვეს ის ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძველი, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდა მოერიგებინათ ერთმანეთში თავისი ვრცელი კაცთმოყვარე აზრები და ცხოვრების მიერ გაჩენილი და დაბადებული პრაქტიკული საქმეები; ვერ მოახერხეს ერთმანეთისათვის შეეწონებინათ თავისი თეორიები, თავისი პრინციპები და ის მწვავე, საყურადღებო საგნები, რომელიც ჩვენის წარმატების ვითარებას წამოეყენებინა. ისევ ის ამჯობინეს, რომ ცხოვრებას დაუთმოთ და მოვურიგდეთო, თუმცა გაწირვაც მოგვინდეს იმისი, რაც გვწამდა და რაც ჩვენი უკეთესი იმედი იყო ყმაწვილ-კაცობაშიო.

ასეთის ქცევისა და მოქმედების წყალობით, საზოგადოებრივი მოძრაობა, მართალია, უფრო გაფართოვდა, უფრო ბლომად ჩაიყოლია ხალხი, ჩააბა სხვადასხვა ნაწილი საზოგადოებისა, მაგრამ ღირსებით კი იგი მოძრაობა, ეჭვი არ არის, უფრო დამცირდა. ამ გარემოების სამწუხარო ვითარება ის არის, რომ რაოდენობით გაძლიერებას, სიფართოვეს მოძრაობისას იმავე დროს თან არა სდევდა სიღრმე და სიკეთეცა. გაჩნდა საკმაოდ დიდი აუდიტორია, რომელიც

თვალ-გაფაციცებით უგდებდა ყურს თავის მეთაურების ქადაგებას, მაგრამ რაკი აუდიტორია სავსე იყო ყველა ჯურის ხალხით, იდეით-მოსილი მხარე სალიტერატურო მოძღვრება-ქადაგებისა მიილია, მისუსტდა და ის მთავარი ადგილი, რომელიც პირველში ეჭირა, დაუთმო უფრო გასაგებ, მდაბიო სალაპარაკო სავარჯიშოს. ეს იყო მიზეზი, რომ მალე ანუსხული იქნა რამდენიმე პრაქტიკული საქმე, რომელიც თითქო ამირანის ციხეში მომწყვდეულაო, ერთ ადგილას ტრიალებენ და გამოსასვლელი კარი კი ვერსად უპოვიათ. თუმცა ამ საქმეების ცოდნა ადვილად და სუბუქად მისაღწევია, მაგრამ ვინც ესენი იცის, ინტელიგენტის სახელიც იმას დაულოცეს. გავიდა დრო და თანდათან გაიმარჯვა სატრაბახო სათნოებამ, გარეგანმა ღირსებამ. არ ითქმის, რომ საეროვნო გრძნობა არ გამოფხიზლებულიყოს, ცოტად თუ ბევრად არ გამტკიცებულიყოს, სიყვარული სამშობლოსი არ გაძლიერებულიყოს და თავისი კუთვნილი ალაგი არ დაეპყრას. მაგრამ არც-კი ის ითქმის, რომ იმავე დროს შინაარსს ამ გრძნობისასაც და სიყვა-რულისასაც ზედ არ დაჰკროდეს დაღი აზრის უბადრუკობისა და სავალალო ჭკუა-მოკლეობისა. თითოეული წევრი იმ დიდის აუდიტორიისა მოგვარდებათ და თავ-პირს დაგაკაწრით, თუ გაჰბედეთ და არ მოწონებით დაიწყეთ ლაპარაკი ჩვენის რომელისამე საეროვნო ნაკლულევანების თაობაზედ, ან არადა, მზად არის დაგსახოთ მტრად და მოღალატედ ერისა, თუ გაბედეთ და სთქვით, რომ კანონიერი და სამართლიანი საქმე არ არის ის მუხლები პროგრამისა, რომელიც შენ აჩქარებითა და აშაფათებით შეგითვისებია სამშობლო ლიტერატურის ჩაძახებით განუსჯელად და განუკითხველადაო. მაგრამ აბა სცადეთ და ჰკითხეთ ამისთანა «დამცველს»: კაცო, ეგ რა აზრები შეგითვისებია, აბა დაამტკიცე და საფუძველი მიჩვენე, თუ მართალია და ჭეშმარიტი შენი აზრებითქო, და მაშინვე, თქვენდა სამწუხაროდ, დარწმუნდებით, რა წითელი კოჭიცა ბრძანდება ის თქვენი ფაფხურა «დამცველი» ქვეყნისა. ხელში შეგრჩებათ არა კაცი გონიერად დარწმუნებული, არამედ გამსჭვალული, მილლისა არ იყოს, ცრუ და ამაო მორწმუნეობითა; ხელში შეგრჩებათ ისეთი კაცი, რომელსაც სრულიად არ გაეგება თავი და ბოლო საზოგადოებრივი საქმეებისა. თუ ამისთანა ყოფა, ერთის მხრით, იმას ამტკიცებს, რომ ცხოვრებაში ღრმად გადგმულა ფესვები შესაწოვად და შესათვისებლად უმთავრესის საზოგადოებრივი პროგრამისა, ამასთანავე ეგ ყოფა იმასაც ამტკიცებს, სამწუხაროდ, რომ ჩვენში გაჩენილა ერთხელვე გამოჭრილი ნიმუში, ერთხელვე დაწესებული წასაბაძველი კალაპოტი, ხოლო ამისთანა ნიმუშსა და კალაპოტს ადვილად შეუძლიან ამოჰკვეთოს და ამოაგდოს ყოველივე ნიშან-წყალი წარმატებისა და ყოველივე საღი ნერგი, რომელიც თავისუფლად აპირობს გაზრ-დასა და გაშლას. ერთხელვე გამოჭრილი ნიმუში, მზა-მზარეული ფორმულა, სხვების მიერ მოფიქრებული წამალი, რასაკვირველია, აღარ მოითხოვს არავითარ გონების დამოუკიდებელ გარჯას და ამიტომ ადვილად შემძლებელია წაართვას ადამიანს ყოველი ღონე თვით-მოქმედებისა და თვით-მექმეობისა; ხოლო ამას ის მოსდევს, რომ კაცს სურვილი ეკარგება და ხალისიც უქრება ცოდნისა, ძიებისა, რისამე ახლის მოღვაწეობისა და იმ ცოდნათა მოგროვებისა, რომელიც მარჯვენა ხელია განვითარებული ადამიანისათვის. უქმობა კი, ანუ იმისთანა საქმიანობა, რომელიც გულს არაფერს ეუბნევა, ვერაფერი მოძღვარია. ადამიანი იზრდება და წარმატებას ჰპოულობს გარჯასა და ბრძოლაში; ის ფიქრი, რომ მეც ცოტას რასმე ვმატებ ცხოვრებასაო, ცოტა რასმე ახალს, თავისებურსაო, ისეთსა, რაც აქამდე არ იყო, ხალისს უორკეცებს, ძალ-ღონეს ერთი-ორად უხდის. კაცი იძენს რწმენას და

ახლა უკვე ცნობიერად, მხნედ და მღვიძარებით ესარჩლება იდეას, იბრძვის თავის საყვარელისა, თავის ღონითვე მოპოვებულისა და გრძნობით გამთბარის აზრებისა და მრწამსისათვის. ხოლო გაფუქსავატებამ, ძირ-დაწევამ ყოველ იმისამ, რაც უნდა მოეკითხებოდეს ყოველ წარმატებულს ადამიანს, იმ გაფუქსავატებამ, რომელმაც აიყოლია ჩვენი ლიტერატურა, მოიდნო და მოინარეკლა ყოველივე თვითმყოფობა ჩვენის ინტელიგენციისა, დაანამცეცა მისი აზრი და წაართვა ცნობა ვრცელის ევროპულის განათლების საჭიროებისა, გააცუდა იმისი მოღვაწეობა და გააქვავა იმისი გული. გამუდმებულმა ფიქრის ტრიალმა სულ ერთისა და იმავე საგნებისა და ცნობათა გარშემო, გამუდმებულმა და ერთგვაროვანმა ღეჭვამ ერთისა და იმავე ათასჯერ ნატანჯისა და ნაწვალების სჯა-ბაასისამ მოჰღალა გულის-ყური, გააბეზრა ფიქრი და, გააქრო რა ყოველივე ხალისი და სიცოცხლე, დაჰბადა, ფრიად სამწუხარო ყოფა: გულ-გრილი და სულითა და ხორცით მოშვებული ცქერა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, დაჰბადა უგულო და თავმოწონებული ფორმალისტობა.

ამ სახით, იმის გამო, რომ ლიტერატურა ძალას ატანდა მხოლოდ პრაქტიკულ საქმეებს, მან ხელი მოჰკიდა ადვილად გასაგებს, მდაბიო საგნებს და თითქმის სრულიად მიივიწყა და მიაფუჩეჩა საპრინციპო, სათეორიო საგნები. მართალია, გაჩნდა ყურ-მახვილი და გამგონი აუდიტორია, მაგრამ ვაი, რომ ქვეყანას მოაკლდა ნიჭიერი და წარმატებული მოძღვარი და მქადაგებელი. ჩვენმა ლიტერატურამ მისცა საგზალი უმრავლესობას, უფროს-ერთს თავის მკითხველს, და უმცირესობა კი, ინტელიგენცია ცარიელი დასტოვა, მაშინ როდესაც ეს ინტელიგენცია მუდამ სათავეში უნდა ედგას ყოველს დიდსა და მნიშვნელობიანს მოძრაობას. ლიტერატურამ გაადიდა და გააძლიერა ცოდნა და გაგება უმრავლესობისა და შეაჩვია, რომ უფრო მეტს მოჰკითხავდეს თავის საზოგადოების მეთაურებს, ხოლო იმავე დროს დაამცირა გონებრივი და ზნეობრივი სიმაღლე უმცირესობისა. რაკი ერთხელვე გაჩნდა ასეთი უთანასწორობა, ასეთი მეტობა და ნაკლებობა მეორისა, რაკი ამ მეტ-ნაკლებობას ჰხედავს თვით ინტელიგენციაც, რაღა საკვირველია, რომ ამ ინტელიგენციამ ცხვირპირი ჩამოუშვა და ვეღარც თაოსნობას იჩენს და ვეღარც მხნეობას, რომელიც მარტო მაშინ კი არ მოდის, როცა ჰგრძნობ, _ ჩემ მიერ დასაფარველი სამართლიანი საქმეაო, არამედ უფრო მაშინ, როცა გრძნობ, რომ ძალ-ღონე მაქვს იმ სამართლიანის საქმის დასაცველად და დასაფარველადაო.

ამგვარად ჩვენმა ცალ-კერძად მომართულმა საზოგადოებრივმა აზრმა და გრძნობამ მოაშორებინა ქართველ ინტელიგენციას თვალი და გული რუსეთისა და საზოგადოდ საერთო საკაცობრიო ლიტერატურის საუნჯესაგან. მაშინაც კი, როცა ის ინტელიგენცია სწავლასა და მზადებაში უნდა ყოფილიყო საზოგადო სამსახურისათვის, ზურგი შეაქცევინა ყველა დიდ გადასაწყვეტ საგნისათვის და თავად ლიტერატურა კი აღარ ეცადა და აღარ იზრუნა ჯეროვანი სავარჯიშო მიეცა ხელში იმის მაგიერ, რომელსაც მოაშორა; თავად კი ვეღარ მოახერხა დაეკმაყოფილებინა მისი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, ის სურვილი მომზადებისა, რომელიც მუდამ სჩვევია ახალგაზრდობას. ყოველ ამის წყალობით ყმაწვილ-კაცობა ორ ცეცხლშუა ჩავარდა: მარჯვნივ წავიდოდა, სიკვდილს ვერ ასცდებოდა, მარცხნივ წავიდოდა _ უკან ვეღარ დაიხევდა. ახალგაზრდობამ რუსეთში ყოფნის დროს ვერ შეიძინა საჭირო გონებრივი და ზნეობრივი საგზალი, დაბრუნდა შინ და აქაც არავითარი ღონე არ იყო ამ შეძენისა, და ამგვარად ჩავარდა იმ საცოდავს ყოფაში, რომელიც ასე აღონებს და აძმარებს ყველას, ვისაც კი გული შესტკივა თავის ქვეყნისათვის.

1889 წ.

მოკლე მიმოხილვა წარმოება-აღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა

ბატონყმობის გადავარდნამ ბევრნაირად და მრავალგვარად შესცვალა ჩვენი ცხოვრება. მოისპო ბატონყმობა და მასთან ერთად შეირყა ის ბურჯებიცა, რომელზედაც ძველი ცხოვრება იყო დამყარებული, გაჩნდა ახალი ურთიერთობა, მრავალი ახალი გარემოება, რომელსაც ბატონყმობის დროს სრულიად არა ჰქონდა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში.

ბატონყმობის შედეგ დიდი მნიშვნელობა მიეცა ფულს. დღეს ისე არას ეტანებიან, როგორც ფულს. ყველა, რა წოდებისა და ხარისხის კაციც უნდა იყოს, ფულის შეძენას ცდილობს, ფულის შოვნისათვის იღვწის და იდგამს წელებზე ფეხს. ასეა სოფელშიაც და ასეა ქალაქშიაც. ფულს ეტანება თავადიცა და აზნაურიც, გლეხიცა და მღვდელიც.

იმდენი ფული კი, რამდენიც ეხლა ტრიალებს ჩვენს ქვეყანაში, წინად არას დროს არა ყოფილა. 30-40 წლის წინად ფული სულ არსად იყო. გლეხკაცის ხელში ფულს სულ ვერა ჰნახავდით. თავად-აზნაურობასაც არა ჰქონდა ფული და არც მისდევდა ფულის შეძენას, ყველაფერი, რაც-კი საჭირო იყო მისთვის, სახლში მოეძებნებოდა. თუ პური და ღვინო ჰქონდა ბლომად, სხვას არაფერს დაეძებდა.

ფულის სიცოტავეს და ნაკლებობას წინანდელ დროში სხვათაშორის ისიც ამტკიცებს, რომ წინად, ბატონყმობის დროს ყოველივე იაფი იყო. მაშინდელი დიდი იაფობა დღეს ზღაპარი ჰგონიათ. ცხადია, რომ იმ დროს ფული ყოფილა ნაკლებად. ფულის ნაკლებობის გამო ვაჭრობა და აღებ-მიცემაც ძლიერ ნაკლებად და მცირედ იყო გავრცელებული, რადგან ვაჭრობისა და აღებ-მიცემის გავრცელებას სხვათაშორის ფული უნდა მრავლად.

მაშ ასე გამოდის, რომ როცა ფული მართლა ცოტა იყო ჩვენში, არავის არ უჭირდა, არავინ არა ჰგრძნობდა მის საჭიროებას და არც არავინ ჩიოდა, რომ ფული ცოტა მაქვსო, ეხლა-კი, როცა ფული ბევრი დატრიალდა, ერთი ათად და ერთი ასად მეტი, როცა დაარსდა ამოდენა ბანკები ფულის გასამრავლებლად, ყველა იმას ვიძახით, რომ ფული ცოტაა, არსად არის და მეტად გვიძნელდება მისი შოვნაო. ზოგი ჰკვირობს კიდეც, ხომ არსად მიდის ფულიო.

რა არის ამ ამოცანის მიზეზი? რისგან არის, რომ, როცა მართლა ბევრი ფულია, ცოტა გვეჩვენება და როცა მართლა ცოტა იყო, მაშინ ბევრიც გვეგონა. ჩემის აზრით, ამისი მიზეზი ის არის, რომ სრულიად და ძირეულად შეიცვალა მეურნეობა ქვეყნისა. ეს მეურნეობა წინად ბუნებური იყო, განცალკევებული და ახლა ფულებურია, ახლა სააღებ-მიცემო შეიქნა და დადგა ის მეუფება ფულისა, რომელიც არის ნიშნობლივი თვისება სააღებ-მიცემო მეურნეობისა.

წინად ყველას თავისი საჭირო თვითონვე მოჰყავდა: საჭმელ-სასმელიც სახლში ჰქონდა, ჩასაცმელ-დასახურავსაც სახლში იკეთებდა. არც არასა ჰყიდდა თითქმის და არც არასა ჰყიდულობდა. ბატონს ყველაფერი, რაც მისთვის საჭირო იყო, სახლშივე ჰქონდა. გლეხსაც აგრეთვე, რასაც ერთი აკეთებდა და რაც ერთს მოჰყვანდა, იმასვე აკეთებდა, ისვე მოჰყვანდა მეორეს, მესამეს და ასე ამ გვარად.

გასაყიდიც რომ ჰქონოდა გლეხს, ან ბატონს ვის რას მიჰყიდდა, როდესაც იგივე საქონელი და ქონება სხვასაც ჰქონდა და არც ეჭირვებოდა. ამის გამო ვაჭრობა, აღებ-მიცემა და მრეწველობა შეხუთული იყო. ვაჭრობის შეხუთვის გამო, მისვლა-მოსვლაც ერთმანეთში სრულიად საჭირო არ იყო. ამიტომ გზებიც არ გახლდათ და რაც იყო, ისიც უვარგისი.

რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ცხოვრება შემდგარიყო და შეტბორებულიყო და ზედ ხავსი ჰქონოდა მოკიდებული. რა საჭირო იყო მაშინ ფული? ფული ღონეა, ხერხია გაცვლა-გამოცვლისათვის, აღებ-მიცემისათვის. მაგრამ რაკი ეს ცვლა არ იყო, რაკი აღებ-მიცემა არსადა სჩანდა, რაკი ერთიც იმას აკეთებდა, რასაც სხვა, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მაშინ ფულს წარმოებისათვის. ვისაც ფული ჩაუვარდებოდა მაშინ ხელში, წარმოებასა და საქმეში კი არ გამოიყენებდა ხოლმე, არამედ ჰმალავდა სკივრებში, ჰფლავდა ქილებით მიწაში. ფული მაშინ განძი იყო და სრულიად არა ჰქონდა ის პირდაპირი თვისი მნიშვნელობა, რომ შუამავლობა გაეწია სხვა და სხვა გვარ მწარმოებელთა შორის საეკონომიო ურთ-ერთობაში.

მოვიდა გლეხკაცობის განთავისუფლება, გადავარდა ბატონყმობა და მოისპო ასეთი ყოფაცა. ბატონს ჩამოერთვა მუქთი მუშა. ყმამ უკვე განთავისუფლებულმა, თავისთვის დაიწყო მუშაობა და მხნეობა. ამ ორ შუა ჩადგა ფული შუამავალივითა და მაჭანკალივით. ვისაც რამ უნდოდა გაეკეთებინა, უნდა მუშისთვის დაეძახნა და მუშა კი უფულოდ აღარას აკეთებდა. ფული საჭირო შეიქნა. სადაც უნდა ყოფილიყო, კაცს ფული უნდა ეშოვნა, რომ სასმელ-საჭმელი ჰქონოდა და ჩასაცმელ-დასახურავი. თავად-აზნაურობამ, მართალია, ფული ბლომად აიღო გლეხების განთავისუფლების სამაგიეროდ, მაგრამ ის ფული მალე გაუქრა ხელში: სულ ქეიფსა და ვარხალალოს მოუნდა: ბატონყმობამ თავად-აზნაურობა კეთილ-ცხოვრებას, გამუდმებულს ქეიფსა და საზღვარ-დაუდებელს ლხინსა და ლოთი-ფოთობას შეაჩვია. გაჩნდა თუ არა მის ჯიბეში ფული, მაშინვე, აბა გაუსვათ და გამოუსვათო, აბა ვინ უფრო მოქეიფეა, ვის უფრო მეტი გულ-კეთილობა აქვსო, ვის უფრო უყვარს ტოლ-ამხანაგიო და, შენი მტერი იყოს, ის მიღებული ფული მალე გაჰქრა და სხვის ჯიბეში ჩავიდა წკრიალით. აი ამიტომ არის დღეს თავად-აზნაურობა დაღონებული და დაძმარებული და გამალებული ეძებს ფულს.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხკაცსაც ათას-გვარად დასჭირდა ფული. ფულის მოსაპოვებლად კი მხოლოდ ორი გზაა, როგორც მებატონისათვის, რომელიც ეხლა მარტო მემამულეა, ისე გლეხისათვის: ან უნდა გაჰყიდოს, რაც მოჰყავს სოფლად, ესე იგი, მიჰმართოს ბაზარს, ან უნდა ისესხოს. არის მესამე გზაც: მოჯამაგირედ დადგომა. ამ მესამე გზას უფრო დაადგა თავად-აზნაურობაცა და გლეხობაც. თავად-აზნაურობის შვილები, რომლებსაც არა ჰყოფნიდათ მამულის შემოსავალი, შედიოდნენ, და შედიან დღესაც კერძო და სახელმწიფო სამსახურში. ხოლო ამისათვის საჭიროა სწავლა-განათლება, ცოდნა და მართლაც სწავლა-განათლების შეძენა უპირველეს საჭიროებად გადაიქცა თავად-აზნაურობისათვის. სოფლებიდამ, ვინც მეტია, ვისაც არ ჰყოფნის მამულის შემოსავალი, ის მიდის სამსახურში. მეორე ნაწილი-კი სხვა გვარ განათლებას ეტანება, ისეთს განათლებას, რომელიც სოფელსა და მამულებს კი არ მოაშორებს, არამედ დაამკვიდრებს სოფლად და მისცემს ცოდნასა და მომზადებას მამულის მოვლისას იმ გვარად, რა გვარადაც ახალი ცხოვრება, ახალი ფულებური სააღებ-მიცემო მეურნეობა მოითხოვს. დიდის თანაგრძნობის ღირსია ეს ახლად დაბადებული სურვილი

ისეთის სწავლა-განათლების შეძენისა, რომელსაც საგნად აქვს უკეთესი მოვლა მამულებისა, უკეთესი წარმოება სოფლად, უკეთესი სასოფლო მეურნეობა. კიდეც იმიტომ არის, რომ ამ ბოლო დროს თავად-აზნაურობაც და გლეხობაც ასე ძლიერ ეტანება სასოფლო-სამეურნეო განათლებას.

რაც შეეხება გლეხობას, მოჯამაგირეობა და მით ფულის შოვნა აქაც ისეა გავრცელებული, როგორც თავად-აზნაურობაში. გლეხობაც ვინც მეტია და საჭირო არ არის სოფელში სამუშაოდ, ჰგზავნის აქეთ-იქით სამოჯამაგირეოდ. გლეხი დგება მოჯამაგირედ მემამულის ოჯახში, მიდის ქალაქ ადგილას მოჯამაგირედ, ხელოსნად, მუშაობს რკინის გზებზე, დადის ქირაზე და, ბოლოს, იგი ვაჭრობა მრეწველობაშიაც იღებს მონაწილეობას. მოჯამაგირეობაში მოგებულ ფულს ხმარობს ვაჭრობაში, თავის საკუთარსა და კერძო საქმეში. წინად სხვაზე დამოკიდებული, ახლა თან-და თან საკუთარ საქმის პატრონია, საკუთარი ვაჭრობა აქვს, საკუთარი აღებ-მიცემა, საკუთარი სავაჭრო, ან სამრეწველო საქმე. ეს გარემოება დიდის ყურადღების ღირსია ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ეს ჩვენს საგანს არ შეეხება.

ჩვენ ისევ იმ საგანს უნდა დაუბრუნდეთ, როგორ და რა გზით შეიძლება გამრავლდეს ქვეყანაში ფული, ესე იგი, ვაჭრობისა და აღებ-მიცემის გაძლიერებას და საკრედიტო ანუ ფულის სასესხებელ დაწესებულებათა გახშირებას. ჩვენებურ ბანკებს საიმისო დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია ჩვენს ცხოვრებაში, რადგან გლეხკაცობის უმრავლესობა კარგა ხანს ვერ სესხულობდა იქიდამ ფულს და არც მამული ჰქონდა დასაგირავებელი. ბანკები დაარსდა უფრო იმიტომ, რომ შემწეობა გაეწია თავად-აზნაურთა მეურნეობისათვის, რომელსაც ძალიან გაუჭირდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. მაგრამ მოსალოდნელის შემწეობის მაგიერ, ბანკიდამ აღებული ვალი უფრო მძიმე ტვირთად დააწვა თავად-აზნაურთა მამულებს. თავად-აზნაურობას ისღა თუ დარჩენია ნუგეშათ, რომ მარტო იმას არ დაემართა ასეთი საქმე, მთელის ქვეყნიერების თავად-აზნაურობა ანუ მათი მამულებიც დიდის ვალებით არის დატვირთული. ისტორია საადგილ-მამულო ბანკებისა ევროპაშიცა და რუსეთშიც შეურყევლად ამტკიცებს, რომ მხოლოდ იშვიათად მოხმარებია თავად-აზნაურს ბანკში ნასესხები ფული და გაუსწორებია მისი საქმეები. თავად-აზნაური ბანკის ვალს იმიტომ კი არ იღებს, რომ თავის მამულსა და მიწა-წყალს მოახმაროს, განაკარგოს, გაანაყოფიეროს, არამედ იმიტომ, რომ თავის ღირსების შესაფერად იცხოვროს და სახელი და ეხტიბარი არ გაიტეხოს. ასე ცხოვრებას რა სჯობია, მაგრამ ხათაბალა ეს არის, მაგ სახელის დევნას ის მოსდევს, რომ მამული თავად-აზნაურობისა სწრაფად გადადის სხვის ხელში. ეს ისეთი ამბავია, რომ არ იქნებოდა ურიგო დაფიქრებულიყვნენ მის გამო ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა, თავად-აზნაურობა თვით განგებით არის მოწოდებული ქვეყნის წარმატებისათვისო.

ვაჭრობისა და აღებ-მიცემის გაძლიერება ჩვენში უეჭველია. თან და თან წინანდელი მეურნეობა ჰკარგავს თავის თვისებას ბუნებურის წარმოებისას. ეს მეურნეობა ნაწილოვანდება და ბევრი სხვა ახალი წარმოებაც ჩნდება. ამ გარემოებას ის მოსდევს, რომ ქვეყანა უფრო უმატებს წარმოებას და ეს მატება წარმოებისა ორის გზით მიდის. ერთი გზა ის არის, რომ წინანდელი, მამა-პაპეული წარმოება მატულობს და მატულობს ამ წარმოებაში თვით ამაგი და გარჯაცა. ჩვენ ვამბობთ სასოფლო მეურნეობის თაობაზედ. მეორე გზა ის არის, რომ სხვა, სულ ახალი წარმოება ჩნდება, ისეთი წარმოება, რომლის ხსენებაც არ იყო წინად. ამ

ორმა გზამ დაჰბადა შეძლება და ღონე, რასაც აუცილებლად მოჰყვა გონებრივი და ზნეობრივი წარმატება. აქამდე ჩვენებურს მწარმოებელს, თავის საჭიროებათა გარდა, ახლო ბაზარი ჰქონდა სახეში და იქ ჰფიქრობდა თავის ნაამაგევის გასაღებას; ეხლა კი აღებ-მიცემის გაძლიერებამ თვალ-წინ დაუყენა უფრო შორეული ბაზრები, ისეთი ბაზრებიც კი, რომელიც ზღვებსა და ცხრა მთას იქით არის. ჩვენს წარმოებაზე მოქმედობს ეხლა არა მარტო ახლო-მახლო ბაზრის საჭიროება, არამედ საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნილებაცა. აუარებელი მინდვრები გადაიქცა სასიმინდეებათ და სიმინდის მოყვანამ უკან დააყენა სხვა ჭირნახულის მოყვანა; ზოგან აუარებელი თუთუნი ითესება; იქ თუთით გაივსო ბაღები და აბრეშუმის მოყვანას გამოეკიდნენ; აქ ვენახებს ატანენ ძალას; ერთგან ხეხილის ბაღებს აშენებენ, მეორეგან ქვა-ნახშირისა და ქვა-გუნდის მეტს არას აწარმოებენ თითქმის. სად იყო ეს ამბავი ძველად, ბატონყმობის დროს. მაშინდელმა მეურნეობამ არ იცოდა ქვეყნის ამაგის დანაწილოვანება (разделение труда): თითეული აკეთებდა იმასვე, რასაც ყველა აკეთებდა. ხოლო ყველანი რასაც კი აკეთებდნენ, მეტად უხერხულად და უშნოდ აკეთებდნენ. მას უკან კი, რაკი ამაგის დანაწილოვანება ჩამოვარდა, ქვეყნის წარმოებაც დაიყო თავ-თავის ნაწილებად და მორიგდა თემ-თემად. ერთგვარმა წარმოებამ ერთგან მოიკიდა ფეხი, მეორე გვარმა _ მეორეგან. საცა რომლისთვისაც უკეთესი იყო და სამჯობინარო, იქ გაიდგა ფესვი. ასეთი დანაწილება ამაგისა, ასეთი მორიგება წარმოებისა ქვეყანაში ახალისებს წარმოებას იმიტომ, რომ რაკი სულ ერთგვარს საქმეს ადგიხარ, იმ საქმეში ოსტატდები და ხელოვანდები კიდეცა და, მაშასადამე, მეტსაც მოიჭირნახულებ, შენს ამაგს მეტი ნაყოფიც მოაქვს. ამავე დანაწილებას ამაგისას და მორიგებას წარმოებისას მოსდევს ისიცა, რომ სპობს და აქრობს ქვეყანაში პირველ ყოფილს განკერძოებას, განცალკევებას, რომლის გამო საეკონომიო წარმატება ვერ გასცილებია მცირე წრეს ადგილობრივ საჭიროება-მოთხოვნილებისას. მხოლოდ ამაგის დანაწილოვანებას მოსდევს ვრცელი, ფრთაგაშლილი წარმატება აღებ-მიცემისა და წარმოება-მრეწველობისა. ამ გარემოებას თავისი მავნებელი თვისებაც კი აქვს ახლანდელს საეკონომიო წესწყობილების ვითარებაში, მაგრამ თუ ისტორიულის მხრით გავსჩხრეკთ საგანს, ვერ უარ-ვყოფთ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდად მოქმედობს ერის ცხოვრების წესწყობილებაზე. ვაჭრობისა და აღებ-მიცემის გაძლიერების გამო, რომელიც მოჰყვა ამაგის დანაწილოვანებას, სიმინდის მწარმოებელი, მაგალითად, იმერეთში ამ ჟამად ამერიკასა და საფრანგეთის მოსავალს უფრო უყურებს, ვიდრე ქართლ-კახეთისას; თვალი შავი ზღვისკენ უჭირავს, გული უცხოელების ბაზრისაკენ აქვს, იმიტომ რომ ის ბაზარი ჰკვებავს და აცხოვრებს. წინად არ იცოდა, ან თუ იცოდა, არას დასდევდა, რა მეურნეობა ჰქონდა შორეულ საფრანგეთის რომელსამე ბურჟუას. ეხლა კი იმ ბურჟუას ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, რა უფრო მოიყვანოს ჩვენებურმა მწარმოებელმა, რას უფრო მიაქციოს ყურადღება, პურსა, თუ ღვინოს, აბრეშუმსა თუ მატყლს, ბამბას, თუ სიმინდს. ჩვენებურმა მწარმოებელმა ანგარიში დაიწყო, ვარაუდს მოჰყვა. მისი წარმოების ხასიათი და თვისება, თვითონ მის ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ბაზრის საჭიროებაზეა. რაც სარფა, რაც სახეიროა, ის უნდა მოიყვანოს, იმას უნდა მიაქციოს ყურადღება. ერთის სიტყვით ბაზარია მისი ხელმძღვანელი.

წინად მწარმოებელს თითქმის მარტო თავისთვის მოჰყავდა, რაც ესაჭიროებოდა; ეხლა კი თითქმის სულ საბაზროდ, ბაზარში გასატანად მოჰყავს.

წინად ჰყიდდა, ბაზარში გაჰქონდა, რაც მეტი რჩებოდა, თვით ჰყიდულობდა ძალიან ცოტა რამეს, რადგან ყოველივე საჭირო სახმარებელი თვითონვე მოჰყავდა. ეხლა კი ყველა-გვარი თავის ნაამაგევი ბაზარში გააქვს და უნდა ფულად აქციოს. ამიტომ, რაც თითონ მისთვის არის საჭირო, ფულით ჰყიდულობს. წინად ფულის მოხმარება და მნიშვნელობა არც-კი იცოდა და ეხლა კი ყველაფერს ფულითა ჰზომავს, ფულითა რწყავს, ყველაფერს ფულად აფასებს, იმისთანა რამესაც-კი, რასაც წინად ვერც გაჰყიდდა, ვერც იყიდდა _ მაგალითად: სიყვარული, სახელი, სათნოება, ნიჭი, ტალანტი და სხვანი.

ცხადია, რომ ასეთმა ძირეულმა შეცვლამ ერის ცხოვრებისამ დაჰბადა მრავალი ახალი ამბავი და გარემოება, როგორც საეკონომიო ცხოვრებაში, ისე საზოგადოებურშიაც. მხოლოდ ამ დროიდამ იწყება განცხოველება, გამოფხიზლება ჩვენის ცხოვრებისა და იბადება სასარგებლოცა და მავნებელი ვითარებაცა. ერთიცა და მეორეც თან სდევს ძირეულს ცვლილებას ჩვენის ქვეყნის საეკონომიო წყობილებისას. ერთის მხრით განათლებას ვეტანებით, ვგრძნობთ ერთობას ეკონომიურისა, ზნეობრივისა და გონებრივის ინტერესებისას, თუნდა ერთი ქართლელი ვიყოთ, ან კახელი და მეორე მეგრელი, ან იმერელი. ამ ერთობის გრძნობიდამ ის აზრიცა, რომ სამშობლოც ერთი გვაქვს, ერიც ერთი ვართ. მაგრამ მეორეს მხრით თავს იჩენს ზნეობრივის პრინციპების დაუდგრომლობა, ძლიერდება ხელ-მრუდობა, უპატივცემლობა სხვისის საკუთრებისა. ეს სიკეთეცა და უკეთურობაც ნიშნობლივი თვისებაა დაუდუღებელის, დაუწყნარებელის დრო-ჟამისა. გავა დრო, უმეტესს წარმატებაში შევა ცხოვრება და მტკიცე საფუძველზე დამყარდება საზოგადოებრივი წესწყობილებაც.

1890 წ.

მსხვილ თავად-აზნაურთა იდეოლოგია

ჩვენ მოგვივიდა დიდად საინტერესო წიგნი თავ. ანდრია ერისთავისა, რუსულად გამოცემული პეტროგრადში ამ მოკლე ხანში. წიგნის სათაური ამნაირია: «Вопрос экономической и духовной жизни грузин». Издание «Северной печати» 1916. («კითხვები შესახებ ქართველთა ეკონომიური და სულიერი ცხოვრებისა»).

თავ. ანდრია ერისთავი ერთად ერთი წარმომადგენელია სახელმწიფო საბჭოში საქართველოდან. თავ. ანდრია ერისთავი, ამასთანავე ერთად, ერთი წარმომადგენელია განაპირა ქვეყნებისა, ეგრეთ წოდებული «ინოროდცებისა», რომელიც აქამდის შედიოდა უკიდურეს მემარჯვენეთა ჯგუფში და ახლა ცოტა მარცხნივ გადაიხარა და მემარჯვენეთა ცენტრში უჭირავს ადგილი.

ბევრს ჩვენში დიდად აკვირვებს ეს გარემოება. «სად საქართველოს წარმომადგენელი და სად რუსეთის უკიდურესი მემარჯვენეთა პარტია, რომელსაც ჭირივით ეზიზღება და რომელიც ყოველნაირად ებრძვის არარუსთა მისწრაფებას და პოლიტიკურ ინტერესებსო», _ ამტკიცებენ ბევრნი. ამნაირი პოლიტიკური პოზიციის შეუფერებლობა ვერაფრით ვერ აუხსნიათ ზოგიერთს, გარდა პირადი ტაქტიკური მოსაზრებისა თავ. ანდრია ერისთავის მხრივ.

არიან ისეთებიც, რომელთაც ეჭვი შეაქვთ თავ. ანდრია ერისთავის პოლიტიკურ გულწრფელობაში...

ვინც თავად ანდრია ერისთავის ზევით დასახელებულ წიგნს თვალს გადაავლებს, ის უეჭველად დარწმუნდება, რომ თავ. ანდრიას მისი პოლიტიკური და სოციალური მსოფლმხედველობა ნებას არ აძლევდა სახელმწიფო საბჭოში ის რომელიმე სხვა ჯგუფს მიკედლებოდა, გარდა უკიდურეს მემარჯვენეთა ჯგუფისა, რომ მისი ადგილი უსათუოთ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც მან თითონ აირჩია. ამნაირად, ყოველივე ლაპარაკი თავ. ანდრია ერისთავის გულწრფელობაზედ, ანდა მის პოლიტიკურ გამოურკვევლობაზედ, სრულიათ უსაფუძვლო და შემცდარია. როცა თავ. ანდრია ერისთავმა ნამდვილი თავისი ფიზიონომია დაგვანახვა, თავისი ახალი წიგნის საშუალებით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ თავ. ანდრიას გარკვეული, კარგად მოსაზრებული და ბეჯითი პოლიტიკური პროგრამა ჰქონია და ის სრულიად კანონიერად უმშვენებს მხარს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენეთა პარტიას.

რა მიზანს ემსახურება რუსეთის მემარჯვენეთა პარტია, რაში მდგომარეობს მათი მოქმედების პროგრამა, მათი მიმართულება?

როგორც მოგეხსენებათ, უმეტესი ნაწილი მემარჯვენეებისა შესდგება მსხვილი თავად-აზნაურობისაგან და უმაღლესი ხარისხის სახელმწიფო მოხელეებისაგან. ცხადია აქედგან, რომ მათი მიზანი მსხვილი მემამულეების ინტერესების დაცვაში გამოიხატება ეკონომიურ სფეროში და არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური რეჟიმის დაცვაში და გაძლიერებაში _ პოლიტიკაში.

სრულიად ამნაირივეა თავ. ანდრია ერისთავის მიმართულებაც: ისიც, როგორც რუსეთის მემარჯვენეები, გამოდის მსხვილი მემამულეების დამცველად და არსებული პოლიტიკური რეჟიმის მომხრედ. ამ მხრივ არავითარი განსხვავება მათ შორის არ არსებობს, მათი ხმა, მათი მიმართულება შეთანხმებულია, ერთსულოვანია, ერთფეროვანი.

მაგრამ თავ. ანდრია ერისთავი ქართველია, და სრულიადაც არ მალავს თავის ქართველობას და ეს შეადგენს, ჩემის აზრით, მოსაწონ მხარეს მისი გამოსვლისას. როგორც ქართველი მემამულე, ის არ არის კმაყოფილი რუსეთის პოლიტიკისა საქართველოში და უმეტესი ნაწილი მისი წიგნისა შეიცავს დაურიდებელ კრიტიკას ამ პოლიტიკისას. მაგრამ საფუძვლები ამ კრიტიკისა არისტოკრატიულია და არა დემოკრატიული, ან პროგრესიულ-ბურჟუაზიული. თავ. ანდრია ერისთავი უჩივა რუსეთის ადგილობრივ და ცენტრალურ პოლიტიკოსებს იმის გამო, რომ მათ ჯეროვანის ყურადღებით არ მოეკიდენ მსხვილი ქართველი მემამულეების ინტერესებს, დაასუსტეს თავისი პოლიტიკით ეს ერთათ-ერთი ძლიერი და ფხიზელი კლასი, _ მისი აზრით, _ საქართველოში.

თავ. ანდრია ერისთავი ბრძანებს (გვ. 62): «ვინც იცნობს საქართველოს წარსულს, იმან უნდა იცოდეს, რომ ქართველი ხალხის ისტორია იმავე დროს არის ისტორია მისი თავად-აზნაურობისა, რომელიც 2000 წლის განმავლობაში გამოდიოდა, სამღვდელოებასთან ერთად, მებაირაღტრეთ ნაციონალურ იდეისა და მართლმადიდებლობისა».

რა გასაკვირველია, თავ. ანდრია ერისთავის აზრით, რომ რუსეთის მთავრობას მოესურვებია და აღესრულებია კიდეც ქართველი თავად-აზნაურობის და სამღვდელოების დასუსტება და ჩამოქვეითება, როცა თვით ქართველმა ინტელიგენციამ ვერ დააფასა თავად-აზნაურობის ისტორიული სამსახური და

ზურგი შეაქცია მას? ამით, თავ. ანდრია ერისთავის აზრით, ინტელიგენცია აცდა ისტორიულს და ნაციონალურ გზას და დაისახა იმნაირი იდეალები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ ქართველი ხალხის ბედთან და მომავალთან.

თავ. ანდრია ერისთავი იმდენად გულდაწყვეტილია ამნაირი რუსეთის პოლიტიკის ხასიათით, იმდენად მავნებლათ და არა სასარგებლოთ სთვლის მას, რომ სოციალისტობასაც კი სწამებს ყოფილ კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს...

თავ. ანდრიას ვერ წარმოუდგენია, რომ იმნაირი კანონის შემოღება, როგორც დროებით ვალდებულ გლეხთა მიწების გამოსყიდვაა, შესაძლებელი ყოფილიყოს, თუ არა სოციალისტების გავლენით. თურმე, ნუ იტყვით, ეს კანონი სოციალისტური ხასიათის ყოფილა და უსამართლობაზედ აშენებული!.. კანონის უსამართლობა, რასაკვირველია, ეხება თავად-აზნაურობას, რომელიც მოტყუებული და გაქურდული დარჩა...

ამნაირია თავ. ანდრია ერისთავის საზოგადოებრივი შეხედულებანი! როგორც ხედავთ, ეს ნამდვილი კლასობრივი ან წოდებრივი იდეოლოგიაა. ხალხი, ერი, მისთვის არ არსებობს; ერთადერთი ძალა, რომელზედაც შეიძლება საქართველოში ლაპარაკი, თავად-აზნაურობაა და ამის გამო თავად-აზნაურობის დაქვეითება და დასუსტება თვით საქართველოს დაქვეითებას და დასუსტებას მოასწავებს. სამწუხაროდ, თავ. ანდრია ერისთავი თავის ამნაირ კრიტიკულ ანალიზს საქართველოს ცხოვრებისას პირდაპირ დასკვნებს არ უკეთებს, მაგრამ ეს დასკვნები თავისთავად ნათელია. ვისაც საქართველოს გაძლიერება და ბედნიერება უნდა, მან ხელი უნდა შეუწყოს თავად-აზნაურობის გაძლიერებას და აღორძინებას _ აი ფარული ფორმულა თავ. ანდრია ერისთავისა.

ჩვენი მკითხველისთვის სრულიათ არ არის საჭირო განმარტება, რომ წამოყენებულ ფორმულას ჩვენ ვერ მივემხრობით. ჩვენც გვსურს საქართველოს გაძლიერება, აღორძინება, მაგრამ ა ხ ა ლ ი და ა რ ა ძ ვ ე ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი თ. ჩვენ გვინდა შევქმნათ ახალი საქართველო, დავბადოთ ახალი დროის შესაფერი და მშრომელი ხალხის დამცველი პირობები და არა ძველ კალაპოტში ჩავაყენოთ ჩვენი ქვეყანა. თავ. ანდრია ერისთავის ფორმულა გულისხმობს ძველს, ფეოდალურ საქართველოს, ჩვენ კი ვფიქრობთ ახალ საქართველოზედ; ის ალერსს უგზავნის წარსულს, ჩვენ მივილტვით მომავლისაკენ, მაგრამ ძველის დაბრუნება _ წმინდა უტოპიაა, აუსრულებელი ოცნებაა, მაშინ, როდესაც მომავლისაკენ ლტოლვილება, მის დაახლოვებისათვის დაუღალავი მუშაობა _ რეალური მიზანია, რომლის განხორციელებაში მიიღებს მონაწილეობას არა რომელიმე ვიწრო წრე, არამედ თვით ხალხი, მშრომელთა უმრავლესობა.

რა საშუალებით, ვისი იმედით ფიქრობს თავ. ერისთავი თავის იდეალების განხორციელებას? ეს მის საიდუმლოებას შეადგენს, რომელიც ავტორმა არ მოისურვა ჩვენ გაგვიზიაროს. ყოველ შემთხვევაში, თვით ქართველი მშრომელი ხალხის და ქართველი ინტელიგენციის დიდი იმედი არ უნდა ქონდეს თავ. ანდრიას, ვინაიდგან ის გულმოდგინე უარისმყოფელია ქართველების თვით-მოქმედებისა.

უკიდურესი მემარჯვენე თავადი ერისთავი, როგორც უკიდურესი მემარცხენენი დასელები, საქართველოს ავტონომიის, საქართველოს პოლიტიკური თვითმართველობის წინააღმდეგია. კიდევ მეტი: თავ. ანდრია ერისთავი ბრძანებს (გვ.12): «მე ვერ წარმომიდგენია, რომელ ჭკვიან (серьезный) ქართველს შეუძლია იმ

პირობებში, რომელშიდაც ცხოვრობს ეხლა უმრავლესობა მისი თანამე-მამულეებისა, იოცნებოს თავის ქვეყნის ავტონომიაზედ, როცა უსაჭიროესი მოთხოვნილებები ჩვენი ქვეყნისა ჯერ არ არიან დაკმაყოფილებულნი».

ამნაირად, თავ. ანდრია ერისთავი, როგორც თავად-აზნაურობის იდეოლოგი, კითხვას აყენებს ამნაირად: გარდაქმნა საქართველოში სოციალური ურთიერთობისა მსხვილი მემამულეების სასარგებლოდ და მიღება შეუცვლელად იმ პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც ეხლა გაბატონებულია რუსეთში.

სხვანაირია ლოზუნგები სხვა მომქმედი ჯგუფებისა საქართველოში.

დასელები ბრძანებენ: გარდაქმნა სოციალური ურთიერთობისა პროლეტარიატის სასარგებლოდ და მიღება უცვლელად იმ პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც ხალხის მეცადინეობით და ბრძოლით იქნება მოპოებული რუსეთში როგორც რუსეთის ხალხისათვის, ისე არა რუსთა ხალხთათვის.

ფედერალისტები ამტკიცებენ: გარდაქმნა სოციალური ურთიერთობის სასარგებლოდ მთელი მშრომელი ხალხისა, განურჩევლად პროლეტარიატისა და გლეხობისა, და შემოღება საქართველოში დემოკრატიულ პრინციპებზე აშენებული პოლიტიკური თვითმართველობისა, რომელიც უნდა მომდინარეობდეს როგორც ბუნებრივი შედეგი იმ დემოკრატიული ბრძოლისა რუსეთში, რომელსაც მიზნად ექნება რადიკალური გარდაქმნა პოლიტიკური რეჟიმისა მთელ სახელმწიფოში.

რანაირ სოციალურ და პოლიტიკურ ლოზუნგს იძლევა ის ჯგუფი, რომელიც თავის თავს «ნაციონალ-დემოკრატს» უწოდებს, ჩვენ არ ვიცით. თუ დავიჯერეთ მათი რწმუნება, რომ მათ აინტერესებთ არა სოციოლოგია, არა პოლიტიკა, არამედ მატერიალური და სულიერი კულტურა ჩვენი ქვეყნისა და მართლა მარტო ამით განისაზღვრა მათი პროგრამა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ დასახელებული ჯგუფი პოლიტიკურ პარტიად შეუძლებელია რომ ჩაითვალოს და ყოველნაირად საზოგადოებრივი და პოლიტიკური ომი მათთან ფუჭი და უმიზნო უნდა იქნეს, რადგანაც კულტურის საქმე ყველა პარტიებს, განურჩევლად მიმართულებისა, დიდად აინტერესებს.

იგივე არ ითქმის თავ. ანდრია ერისთავის გამოსვლის შესახებ. ახალი მისი წიგნი მოწმობს, რომ ავტორი გარკვეული პოლიტიკური მიმართულების კაცია და ეს გარემოება მას ახასიათებს, როგორც საუკეთესო წარმომადგენელს მსხვილი თავად-აზნაურობისა. ჩვენ არ ვეთანხმებით არც ერთს დებულებას მისი წიგნისას, არ ვიზიარებთ არც ერთს მის მოსაზრებას. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ მისი ზევით დასახელებული წიგნი მშვენიერი ნიმუშია მსხვილი თავად-აზნაურობის იდეოლოგიისა და ამ მხრივ ის უსათუოდ მიიქცევს საყოველთაო ყურადღებას.

1916 წ.